პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წლიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კალოუბ (ყოფ. დოდო-
მიხეილის) ქ. № 66, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10
საათიდან დღის 12 საათამდე
ტელეფ.) რედაქტორის 14—90
) მდივნის 10—66
) ღამის მორიგის 12—32

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხებს, წითელ-არმიელებს, მოწაფეებს და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფურცლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი. ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ., საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განცხადებულის გარდა განცხადების ფასიდან იღება 10% საქალაქო გადასახადი. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. საკვლევისპერო განცხადებები—15 და 20 მ.

შაბათი, 29 დეკემბერი, 1928 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 302 (2345)

დღიური

— ინგლისის პროფკავშირთა საბჭო უმუშევართა შეკრების წინააღმდეგ.
— გაზ. „დეილი ქრონიკლ“ მოითხოვს, რომ ინგლისმა განაახლოს ურთიერთობა საბჭ. კავშირთან.
— სენ-ეტიენში (საფრანგეთი) გაფიცულია მემაღაროეთა 80 პროცენტი.
— გაიხსნა რუმინეთის ახალი პარლამენტის სესია.
— ინგლისმა იცნო ჩინეთის საბაჟო ავტონომია.
— კამპანია ბორის სტეფანოვის განთავისუფლების სასარგებლოდ რუმინეთში.

კომუნისტი

მიიღება ხელისმოწერა იანვრისათვის

კვირას, 30 დეკემბერს, კანტორა ღია იქნება ხელის მოწერის მისაღებად დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე

კანტორა ღია იქნება აგრეთვე ორშაბათს, 31 დეკემბერს, დილის 9 საათიდან 4 საათამდე.

კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ 8—81

ინგლისი ეკონომიური კატასტროფის მოლოდინში

ამჟამად მთელი ინგლისის უმუშევართა შორის წარმოებს მზადება ლონდონზე გასალაშქრებლად. მათი მიზანია ლევისი აუტანელი მდგომარეობის საჯარო დემონსტრაცია და პროლეტარიატის დარაზმვა კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

ინგლისის მუშათა მასის ცხოვრება სულ უარესდება. ეს დაკავშირებულია ამ ქვეყნის მრეწველობის საერთო დეგრადაციასთან. ინგლისის ეკონომიური სიძლიერე თავის დროზე გამომდინარეობდა ვეებერთელა კოლონიების თუ ნახევრად კოლონიების განუკითხავი ექსპლოატაციისაგან და დანარჩენ კაპიტალისტურ მსოფლიოს სამრეწველო განვითარების შედარებითი ჩამორჩენილობიდან. რის გამო მის პროდუქციას ყველგან ფართო გასავალი ჰქონდა. ეხლა კი სხვა სურათი იშლება ჩვენს წინ. უკანასკნელ რამოდენიმე ათეულ წლების განმავლობაში, განსაკუთრებით მსოფლიო ომისა და მის შემდეგ, კოლონიებში შეიქმნა და საგრძნობლად განვითარდა ადგილობრივი ინდუსტრია. სხვა კაპიტალისტურ ქვეყნების ეკონომიკის ზრდა დაეწია ინგლისისას და ბევრგან მან კიდეც გაუსწრო. კერძოდ ჩრდილოეთ ამერიკა არაჩვეულებრივად გაძლიერდა, იგი სასტიკ კონკურენციას უწევს ძველ მსოფლიო ჰეგემონს და პოზიცია-პოზიციაზე ალებს მას. ამავე დროს ინგლისის ბურჟუაზიამ თავისი მტაცებლური პოლიტიკით მძლავრი ბოიკოტისტური მოძრაობა გამოიწვია მისი საქონლის მიმართ (ინდოეთში, ჩინეთში და სხ.), ხოლო საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაწყვეტით მან უდიდესი ბაზარი დაკარგა და ინგლისის მრეწველობას აუნაზღაურებელი ზიანი მიაყენა.

ყველაფერი ეს ქმნის ღრმა კრიზისს ინგლისის მეურნეობაში. კერძოდ კატასტროფიულ მდგომარეობაშია ქვანახშირის მრეწველობა. ლითონის და საფეიქრო მრეწველობის შემცირებამ ქვეყნის შიგნით შეზღუდა ქვა-ნახშირის მოხმარება. ნაოსნობის თხელ სათბობზე გადასვლამ (ჯერჯერობით ნაწილობრივ) აგრეთვე შეამცირა მისი გასაღების ბაზარი. ამ მხრივ ელექტროფიკაციის განვითარებამაც მეტად მნიშვნელოვანი როლი ითამაშა.

ამასთან, თვით ქვანახშირის მრეწველობის ტექნიკური მოწყობილება ძალზე ჩამორჩენილია. მადანის ამოღება მეტ წილად პრიმიტიულად წარმოებს. ამოღების მექანიზაცია გატარებულია მრეწველობის მხოლოდ ერთ მეხუთედ ნაწილში. გარდა ამისა, ეს დარგი ჯერ კიდევ დაქუცმაცებულია წვრილ და დამოუკიდებელ ერთეულებად, რომელნიც ერთმანეთ შორის ულმობელ ქიშპობას ეწევიან ფასების საკითხში. ორივე აღნიშნული გარემოება, რა თქმა უნდა, ხელს ვერ უწყობს თვითღირებულების დაკლებას, კონკურენციის უნარის განმტკიცებას უცხოეთის ბაზარზე და სხ.

ყველა ამ მიზეზის გამო ქვანახშირის ექსპორტი უაღრესად შემცირებულია. ეს წარმოება სულ უფრო საზარალო ხდება. დიდძალი მაღარო სავსებით დახურულია, ნაწილი კი დროგამოშვებით მუშაობს. უმუშევარ მემაღაროეთა რიცხვი სამას ათასამდე აღწევს (მემაღაროეთა რაოდენობა დაახლოვებით ერთ მილიონ კაცს უდრის). ბევრი კიდევ მხოლოდ სამი-ოთხი დღე მუშაობს კვირაში. ხსენებული სამასი ათასი კი პირდაპირ სასიკვდილოდაა განწირული. მათ არსებობის არავითარი წყარო არ გააჩნიათ და არც პერსპექტივა აქვთ, რომ როდისმე სამუშაოს გამოძებნიან.

კაპიტალისტები თავის მდგომარეობის გამოსწორებას ცდილობენ მუშების ექსპლოატაციის გაძლიერებით. ოფიციალური ცნობებითაც კი 1928 წლის განმავლობაში ნაყოფიერება მუშის შრომის ინტენსივობის ზრდის საშუალებით გადიდებულია 20 პროცენტით, მაშინ როცა ხელფასი შემცირებიათ 16 პროცენტით. სინამდვილეში, რა თქმა უნდა, სათანადო პროცენტები მეტი უნდა ვიგულისხმოთ. აქ არაფერს ვამბობთ რვა და მეტი საათის სამუშაო დღის შემოღებაზე მაღაროებში, მემაღაროეთა გაფიცვის დამარცხების შემდეგ 1926 წ. ეს ყველამ იცის. მაგრამ მრეწველები ამითაც არ კმაყოფილდებიან და შეტევას მუშებზე უფრო ანვითარებენ.

სადაა გამოსავალი? მრეწველები მოითხოვენ დიდძალ სუბსიდიას სახელმწიფოსაგან, მაგრამ უკანასკნელის მხრით დაუსრულებელი დახმარება მძიმე ტვირთად აწვება მოსახლეობას გადასახადების სახით. მაღაროების რეორგანიზაცია თანამედროვე ტექნიკურ საფუძველზე უამრავ კაპიტალს მოითხოვს, რაც ინგლისს არ მოეპოვება. ამასთან, იმ სტრუქტურული ცვლილებების გამო ქვანახშირის მრეწველობას საზიანოდ, რომელთა შესახებ ზევით ვილაპარაკეთ, ესეც ვერ დასძლევს არსებულ კრიზისს, მით უმეტეს, რომ მისი გატარება, სახსრების გარდა, გულისხმობს ხანგრძლივ დროს. კატასტროფა კი სულ ახლოვდება.

კერძოდ რა ეშველება უმუშევრებს, რომლებიც სიმშილით იხოცებიან? მთავრობას, ტრედ-იუნიონებთან შეთანხმებით, განზრახული აქვს ემიგრაციის ფართოდ მოწყობა დომინიონებში. მაგრამ იქაც უმუშევრობას აქვს ადგილი. დომინიონები ამ ზომის წინააღმდეგი არიან. კონსერვატორების მიერ ამ მხრით გადადგმული ნაბიჯი (რამოდენიმე ათას მუშის გადასახლება კანადაში) სკანდალით დამთავრდა: გადასახლებული ინგლისელი მუშები მონების მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, ბევრმა მათგანმა გაჭირვება ვერ აიტანა და თვითმკვლელობა არჩია.

ეხლა ინგლისში კამპანია წარმოებს დამშეულ უმუშევართათვის დახმარების აღმოსაჩენად. აღსანიშნავია, რომ „საქველმოქმედო“ წამოწყებაში ზოგიერთი კაპიტალისტური ჯგუფებიც იღებენ მონაწილეობას. მთავრობაც აპირებს ამისათვის მცირეოდენ საშუალებათა გადადებას. მათ, ცხადია, ამოძრავებთ არა კაცთმოყვარეობის გრძნობა, არამედ საარჩევნო მოტივები და რევოლიუციონურ აჯანყების შიში.

მაგრამ ასეთი გზით, რა თქმა უნდა, კაპიტალისტები და მათი ხელისუფლება ვერ შესძლებენ მუშათა კლასის რისხვის თავიდან აცილებას, თუმცა მათ რეფორმისტები ყოველნაირად უჭერენ მხარს. უკანასკნელთა გამცემლობის ნათელსაყოფად, სხვათა შორის, საგულისხმოა, რომ ტრედ-იუნიონების კონგრესი ცდილობს ჩაფუშოს უმუშევართა ლონდონისაკენ გამოლაშქრება, რის შესახებ დასაწყისში ვსთქვით.

ეკონომიური კრიზისი ინგლისში ღრმავდება და ამასთან დაკავშირებით ჩვენ ახლო მომავალში ჯერ კიდევ გაუგონარი სოციალურ ქარტეხილის, კლასთა გრანდიოზული შეჯახების მოწმენი გავხდებით. ნამდვილი გამოსავალი შექმნილ მდგომარეობიდან მხოლოდ ერთია: კაპიტალისტური წყობილების დამხობა და მუშათა კლასის მიერ ძალა-უფლების დაპყრობა. რა თქმა უნდა, ეს მოკლე ხანში არ მოხდება: ინგლისის კაპიტალს კიდევ შესწევს ძალა მუშათა კლასისათვის წინააღმდეგობის გასაწევად და მის დასაჩაგრავად. მაგრამ რომ საქმეთა მსვლელობა სწორედ აქეთკენ მიაქანებს ინგლისს, ეს უდავოა.

ბრძოლა მემარჯვენე საფრთხესთან კომუნისტურ ინტერნაციონალში

კომინტერნის მეექვსე კონგრესის მუშაობაში და რეზოლიუციებში წითელ ზოლად არის გავლებული ის აზრი, რომ ეხლანდელ ისტორიულ საფეხურზე კომპარტიებში მთავარ საფრთხეს წარმოადგენს მემარჯვენე საფრთხე. ამ აზრის სისწორეს სავსებით ამტკიცებს ბრძოლა, რომელიც სწარმოებს კომინტერნის სხვადასხვა სექციაში. განსაკუთრებით დამახასიათებელია ამ მხრივ უკანასკნელი ამბები გერმანიის კომპარტიაში. ამ ამბებს უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციოს მსოფლიო კომუნისტური პარტიის და კომუნისტური ინტერნაციონალის ყველა წევრებმა ვინაიდან ისინი აშკარად გვიჩვენებენ, თუ საითკენ მიჰყავარ ოპორტუნისტული გამთიშველების ფრაქციულ ბრძოლას.

19 დეკემბერს, კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმმა გერმანიის კომპარტიის ყველა წევრს მიმართა ღია წერილით, რომელშიაც ნათლად დახატა გერმანიის კომპარტიის შინაპარტიული მდგომარეობა და დაადასტურა ის პირობები, რომლების შეუსრულებლადაც შეუძლებელია მემარჯვენე ჯგუფის დარჩენა პარტიაში. მემარჯვენეებმა არ შეასრულეს კომინტერნის აღმასკომის მიერ წარდგენილი პირობები და გერმანიის კომპარტიის ცეკას პოლიტბიურომ დაადგინა—გამორიცხოს პარტიიდან ვალხერი, ფროლიხი, ჰაუზენი, კოლერი, ტიტელი და სხვები.

მემარჯვენე ჯგუფის ასეთი საქციელი კომინტერნის სექციისათვის მოულოდნელი როდია. ის არის 1923 წლის ოპორტუნისტული ტაქტიკის გაგრძელება. როცა მემარჯვენეებმა დაუშვეს სხვადასხვა მძიმე შეცდომა და როცა იდგა საკითხი მათი პარტიიდან გამორიცხვის შესახებ. ბლოკის მაშინდელი კაპიტულიაცია სოციალ-დემოკრატიის წინაშე, რეფორმიზმის არა სწორად შეფასება, ცდა საბჭოების, როგორც აჯანყების ორგანოების, შეცვლისა საქარხნო კომიტეტებით და პროლეტარიატის დიქტატურისათვის ბრძოლაზე ფაქტიურად უარის თქმა—ყველა ეს შეცდომა არსებითად დღესაც ახასიათებს ბრანდლერს, ტალჰეიმერს და ყველა მემარჯვენეს გერმანიის კომპარტიაში. თუ 1923 წლის შეცდომა ბრანდლერის მომხრენი ერთ ხანს ხდუმდნენ, მით მაინც არასოდეს არ უთქვამთ უარი თავიანთ შეხედულებებზე. ესენის პარტყრილობის (1927 წელს) შემდეგ ბრანდლერი მოითხოვდა გამოექვეყნებინათ მისი „სამოქმედო პროგრამა“, რომელიც წარმოადგენს მენშევიკური აზროვნების ტიპიურ ნაყოფს. ხსენებულ „პროგრამა“-ში ბრანდლერი ცდილობს კონტრაბანდული გზით, რევოლიუციონური ლოზუნგის („წარმოებაზე კონტროლი ეხლანდელ მომენტში“) სახით, შეაპაროს კომპარტიაში სოციალ-დემოკრატიული ლოზუნგი „სამრეწველო დემოკრატიის“ შესახებ.

მთელი 1927 წლის განმავლობაში მემარჯვენენი ეწეოდნენ ფრაქციულ ბრძოლას და გაძლიერებულ პროპაგანდას თავიანთ შეხედულებათა სასარგებლოდ, მემარჯვენეებმა თავიანთი ნამდვილი სახე გვიჩვენეს რურის ლითონის მრეწველობაში მომხდარი ამბების დროს, ისინი იმეორებდნენ სოციალ-დემოკრატების ჭორებს მებრძოლი კომიტეტების და კომპარტიის მოქმედების შესახებ რურში. მემარჯვენეები აკრიტიკებდნენ კომპარტიის პოლიტიკას პროფმოძრაობის საკითხებში, ზღუდავდნენ პროფკავშირთა რევოლიუციონური ოპოზიციის მოქმედებას, მოუწოდებდნენ რეფორმისტ ბელადებისათვის მხარის დაჭერისაკენ, „პროფკავშირთა მთლიანობისათვის“ უარს ამბობდნენ დამოუკიდებელ ორგანიზაციაზე და პროფკავშირთა წევრების დარაზმვაზე რევოლიუციონური ოპოზიციის ხელმძღვანელობით.

რურის ბრძოლაში, სადაც პარტიამ პირველად გამოიყენა პრაქტიკულად პროფინტერნის მეოთხე კონგრესისა და კომინტერნის მეექვსე მსოფლიო კონგრესის დირექტივები, მემარჯვენე ფრაქცია მივიდა იქამდე რომ გადამწყვეტ მომენტში დაიწყო ბრძოლა პარტიის ლოზუნგებისა და ტაქტიკის წინააღმდეგ და შეეცადა სახელი გაეტეხა რევოლიუციონური მებრძოლი კომიტეტებისათვის ამით მან ფაქტიურად დახმარება გაუწია სოციალ-დემოკრატებს. მემარჯვენე ჯგუფმა ბრანდლერის, ტალჰეიმერის, ვალხერის და სხვების ხელმძღვანელობით აშკარა წინააღმდეგობა გაუწია იმას, რომ შემუშავებულიყო ბრძოლის ახალი მეთოდები მუშათა კლასობრივი ფრონტის მოსაწყობად კომპარტიის და პროფკავშირთა რევოლიუციონური ოპოზიციის ხელმძღვანელობით.

ასეთია ძირითადი მიზეზი, რომელმაც გამოიწვია ამ გაუსწორებელი ოპორტუნისტების გამორიცხვა პარტიიდან. 1923 წლის კაპიტულიანტური პოლიტიკისა და ესენის პარტიული ყრილობის შემდეგ პარტია დისკუსიას აწარმოებდა მემარჯვენეებთან და ცდილობდა დაერწმუნებინა ისინი მათ შეხედულებათა ხიფათიანობაში. მაგრამ მას შემდეგ, რაც ისინი ბრძოლის დროს ზურგიდან თავს დაესხნენ პარტიას და მოქმედებდნენ ისე, როგორც სოციალ-დემოკრატიის დამქაშები, რენეგატების ამ უმნიშვნელო ჯგუფმა თვითონ დააყენა თავისი თავი პარტიის რიგების გარეთ.

რურში ბრძოლის დაწყებისთანავე მემარჯვენეებმა წინასწარ განაცხადეს, რომ მუშები აუცილებლად დამარცხდებიანო. მათი პერმანენტული კაპიტულიანტური ხასიათი გამოიხატა იმაში რომ მათ მაშინვე უარი განაცხადეს მუშების მიერ წამოყენებულ მოთხოვნაზე (საათში 15 პფენიგის მომატების შესახებ) და სამედიატორო განაჩენის წინააღმდეგ ბრძოლაზე. ისინი ეწეოდნენ მუშათა კლასის ყველაზე უფრო ჩამორჩენილი ფენების სულისკვეთების სპეკულიაციას. როცა ბრძოლა თავდებოდა, მათ აშკარად განაცხადეს, რომ მოთხოვნა 15 პფენიგის მომატების შესახებ შეცდომაა, მაგრამ საჭიროა ბრძოლა შრომის მინისტრის ვისელის სამედიატორო განაჩენის გასატარებლადო. ამგვარად, ისინი არსებითად ეთანხმებოდნენ რეფორმისტების ბელადების და სოციალ-დემოკრატი მინისტრების თვალსაზრისს. რეფორმისტების ბელადების და სოციალ-დემოკრატი მინისტრების მსგავსად მემარჯვენეები სცდილობდნენ რადიკალური ფრაზებით დაეფარათ თავიანთი კაპიტულიანტური პოლიტიკა. ისინი მოითხოვდნენ მოქმედების კომიტეტის შექმნას „ფოლადის ტრესტის მაგნატების თაღლითური ჩვენებისათვის კონტროლის გასაწევად“, ისინი მოითხოვდნენ აგრეთვე „ყადაღის დადებას ყველა კომერციულ დოკუმენტზე და კომერციული საიდუმლოს გაუქმებას“. როგორც წინად ამ შემთხვევაშიაც მათ ერთი სიტყვაც კი არ დაუძრავთ იმაზე, თუ როგორი გზით, როგორი საშუალებებით უნდა გატარდეს ცხოვრებაში ეს მოთხოვნები. ისევე, როგორც 1923 წელს, ეხლაც ისინი ავრცელებდნენ მასებში ილიუზიას რომ თითქმის მუშათა კონტროლი წარმოებაზე შეიძლება მიღწეულ იქნას სხვაგვარი საშუალებებით და არა კაპიტალის დამხობით, პროლეტარიატის შეიარაღებით და მუშათა დეპუტატების საბჭოს შექმნით; რეფორმისტების ბელადები ბრძოლის ბოლოს იცავდნენ იმავე თვალსაზრისს, რომელზედაც მემარჯვენეები იდგნენ.

დამახასიათებელია, რომ, მიუხედავად მემარჯვენეთა ყოველგვარი ცდისა რომლებმაც თავიანთი ფრაქციული ორგანიზატორები გაგზავნეს რურის ოლქში, არც ერთმა მუშამ არ დაუჭირა მხარი მათ შეხედულებებს. ისეთ ოლქებშიაც კი, როგორიცაა ტიურინგია, სადაც მემარჯვენეებმა პარტიული აპარატი ჩაიგდეს ხელში, მუშები გამოვიდნენ მათი პოლიტიკის წინააღმდეგ და მოითხოვეს მემარჯვენეთა გამორიცხვა პარტიიდან. ვალხერის და კომპანიის შეხედულებებს მხარი დაუჭირეს მხოლოდ პარტიის მტრებმა—რეფორმისტებმა. გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანების ბელადები (მაგალითად ეგერტი) სოციალ-გამცემელთა ორგანოში „ფორვერტს“-ში რურის მუშათა ბრძოლის შესახებ გამოსთქვამდნენ ისეთ აზრს, რომელიც ძალიან ჰგავდა მემარჯვენეთა შეხედულებას. „მემარცხენე“ სოციალ-დემოკრატიული „ლეიპციგერ ფოლქსცეიტუნგი“ აშკარად ეთანხმებოდა ბრანდლერის მოქმედების პროგრამას და გამოსთქვამდა იმედს, რომ „თუ პაულ ბეტხერი (მემარჯვენე კომუნისტების ლეიპციგელი წარმომადგენელი) დაშლის ტელმანის ჯგუფს, მაშინ ბრანდლერი დაშლის გერმანიის კომპარტიას და შემდეგ, მიზიდულობის კანონის თანახმად დარჩენილი ნამსხვრევები შეუერთდებიან გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას“-ო. ბრანდლერის მომხრენი ობიექტიურად წარმოადგენდნენ რეფორმიზმის აგენტურას კომუნისტურ პარტიაში.

გერმანიის კომპარტიის ბრძოლას ოპორტუნისტულ საფრთხესთან ძალიან აბრკოლებს პოლიტიკა შემარიგებლებისა, რომლებიც ფართო შინაპარტიული „კონცენტრაციის“ განხორციელებას მოითხოვენ. მემარჯვენე ჯგუფის ლიკვიდაციის ნაცვლად, შემარიგებლები მოითხოვენ შეთანხმების დადებას პარტიის უმრავლესობასა და ცალკე ჯგუფებს შორის. შემარიგებლები ილაშქრებენ მემარჯვენე ფრაქციონერების გამორიცხვის წინააღმდეგ და ფაქტიურად ბრძოლას აწარმოებენ არა მემარჯვენეებთან, არამედ პარტიის ცეკას წინააღმდეგ. მაშინ, როდესაც მემარჯვენეები კომინტერნის ხაზს უპირისპირებენ პრინციპიალურად განსხვავებულ სოციალ-დემოკრატიულ ხაზს, შემარიგებლები ანვითარებენ ოპორტიუნისტულ შეხედულებებს როგორც კაპიტალიზმის დროებითი ნაწილობრივი სტაბილიზაციის ხასიათის შეფასებაში, ისე ტაქტიკის მრავალ მეტად მნიშვნელოვან საკითხში. უკანასკნელი ხანის ამბებმა გვიჩვენეს, რომ შემარიგებელთა ჯგუფი შეიძლება გადაიქცეს პარტიის ოპორტიუნისტული ელემენტების შემკრებ ცენტრად, თუ შემარიგებლები დაუყოვნებლივ არ აიღებენ ხელს თავიანთ ჯგუფურ პოზიციაზე.

გერმანიის კომპარტიის გაწმენდა მემარჯვენე ფრაქციონერთაგან მთავარ წინასწარ პირობას წარმოადგენდა პარტიის რევოლიუციონური ამოცანების განხორციელებისათვის. საჭიროა მაქსიმალურად გაძლიერდეს იდეოლოგიური ბრძოლა ოპორტიუნისტულ საფრთხესთან. პარტიის ყველა წევრმა სავსებით უნდა შეითვისოს კომინტერნის მე-6 მსოფლიო კონგრესისა და პროფინტერნის მე-4 კონგრესის გადაწყვეტილებანი.

ბრძოლას გერმანიის კომპარტიის შიგნით მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს კომინტერნის ყველა სექციისათვის. მართალია გერმანიის კომპარტიის განვითარების თავისებური პირობებისა და გერმანიაში კლასობრივი ბრძოლის ძლიერი გამწვავების გამო, ოპორტუნისტული საფრთხე უფრო მკაფიოდ იჩენს თავს გერმანიის კომპარტიის რიგებში (კერძოდ რურის მუშების ბრძოლასთან დაკავშირებით), ვიდრე კომინტერნის სხვა სექციებში, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყველა ქვეყანაში სადაც კომპარტია მუშაობს ძლიერი სოციალ-დემოკრატიული პარტიების გარემოცვის პირობებში, არსებობს მემარჯვენე საფრთხე. ეს მემარჯვენე საფრთხე თავის გამოხატულებას პოულობს როგორც პრინციპიალურ საკითხებში, ისე კომუნისტური ინტერნაციონალის ტაქტიკის გამოყენებაში. ამიტომ კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმის ღია წერილი კომინტერნის ყველა სექციისათვის უნდა გადაიქცეს გამოსავალ წერტილად ფართო კამპანიის გაჩაღებისათვის იმ მიზნით რომ გაჩაღდეს მძაფრი ბრძოლა მემარჯვენე, აშკარა ოპორტუნისტული საფრთხის წინააღმდეგ.

„პრავდა“, 28 დეკემბერი.

განიარაღების მოსამზადებელი კომისია მოწვეულ იქნება 1929 წლის 15 აპრილს

ამერიკა „არაოფიციალურად“ იმუშავებს ექსპერტთა კომისიაში

ნახშირის მრეწველობის კრიზისი ინგლისში.—მრეწველები დახმარებას მოითხოვენ მთავრობისაგან

ინგლისის ბურჟუაზიული პრესა უმუშევარ მემაღაროეთათვის დახმარების აღმოჩენის წინააღმდეგ

განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისიის მოწვევა

ბერლინი, 28 დეკემბერი. ერთა ლიგის სამდივნოს ცნობით, ლოუდენი განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელ კომისიას იწვევს 1929 წლის 15 აპრილისათვის (ლოუდენი ამ კომისიის თავმჯდომარეა). (ადს).

„ინგლისმა უნდა მიჰბაძოს გერმანიის მაგალითს“

„დეილი ქრონიკლი“ გერმანია-საბჭოთა კავშირის შეთანხმების შესახებ

ლონდონი, 27 დეკემბერი. ლიბერალური „დეილი ქრონიკლ“-ი კომენტარიებს უკეთებს გერმანია-საბჭოთა კავშირის ეკონომიურ მოლაპარაკებას და სწერს:

„გერმანელებს დანარჩენ უცხოელ კომერსანტებთან შედარებით იმდენად დიდი შეღავათები ენიჭებათ, რომ მომავალში უცხოელთა ყველა კომერციული ოპერაცია საბჭოთა კავშირთან, ალბად, გერმანელი აგენტების მეშვეობით იწარმოებს, თუ ცალკე სახელმწიფოებმა გერმანიის მაგალითს არ წაბაძეს“.

გაზეთი აღნიშნავს იმ ზარალს, რომელიც მოსდის ინგლისის ვაჭრობას იმის გამო, რომ ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობა გაწყვეტილია.

„ბოლდუინის მთავრობას, — სწერს გაზეთი, — თითქოს განზრახული აქვს არასოდეს არ აღადგინოს ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან“.

დასასრულ **გაზეთი იმ აზრს გამოსთქვამს, რომ ინგლისის მთავრობამ გერმანიის მთავრობის მაგალითს უნდა წაბაძოს.** (ადს.).

რეაქციონური აჯანყების დამარცხება ავღანისტანში

ქაბული, 27 დეკემბერი. ქაბულის ფრონტზე მთავრობის ჯარის შეტევა გრძელდება. 25 დეკემბერს ღამით მთავრობის ჯარმა დაიკავა პაგმანი. ჩარიკარის გზაზე გრძელდება მოწინააღმდეგის დევნა. რომელიც ქაბულიდან დაახლოვებით 30 კილომეტრის მანძილზე იმყოფება. 26 დეკემბერს აეროპლანების რაზმმა ყუმბარები დაუშინა ჩარიკარს და ჩარიკარის [illegible] ზოგიერთ სიმაგრეს, რომლებიც ჯერ კიდევ აჯანყებულთა ხელშია. აჯანყებულებმა აიკლეს ბალიბალას სამხედრო საავადმყოფო, სადაც 24 დეკემბრამდე მათი მთავარი შტაბი იმყოფებოდა. მათვე აიკლეს მრავალი ყიშლაღი ქაბულის ირგვლივ.

ქაბულში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ იმ ფაქტს, რომ აჯანყებულთა მეთაურებსა და ინგლისის მისიას შორის (მისია იმყოფება იმ რაიონში, სადაც აჯანყებულთა ოპერაციები სწარმოებდა) განუწყვეტელი კავშირი არსებობდა. (ადს).

დაუესის გეგმის გადასინჯვა

კულიჯი შეერთებული შტატების მონაწილეობის შესახებ ექსპერტთა კონფერენციაში

ვაშინგტონი, 27 დეკემბერი. კულიჯმა განაცხადა, რომ იგი იწონებს ევროპის სახელმწიფოების წინადადებას შეერთებული შტატების ექსპერტების მონაწილეობის შესახებ ექსპერტთა მომავალ კონფერენციაში. ამასთან ერთად კულიჯი მოითხოვს, რომ **ამერიკის ექსპერტები დანიშნოს სარეპარაციო კომისიამ** და რომ ისინი (ექსპერტები) კონფერენციის „არაოფიციალური“ მონაწილენი იყვნენ. ამერიკის არა ოფიციალური მონაწილეობა ექსპერტთა კონფერენციაში ანთავისუფლებს მას სენატის სანქციისაგან. **მეორეს მხრივ, პოლიტიკური წრეების აზრით, კულიჯი „არაოფიციალურ“ მონაწილეობას მოითხოვს იმისთვის, რომ შეეძლოს უკან დახევა, თუ ეს საჭირო იქნება.**

„ვაშინგტონ პოსტ“-ი აღნიშნავს, რომ რეპარაციების საკითხის გადასინჯვა არის იმ მოლაპარაკების შედეგი, რომელიც ამ ცოტა ხნის წინად მოხდა ჩერჩილსა (ინგლისის ფინანსთა მინისტრი), პარკერ გილბერტსა (ამერიკელი — რეპარაციების საქმეთა გენერალური აგენტი) და ამერიკელ ფინანსისტს მორგანს შორის. გაზეთის ცნობით, **ექსპერტთა კონფერენცია გადაათვალიერებს დაუესის გეგმას და ევროპის სახელმწიფოების დავალიანებას შეერთებულ შტატებისადმი.** (ადს).

ნახშირის მრეწველობის კრიზისი ინგლისში

მაღაროების პატრონები დახმარებას მოითხოვენ

ლონდონი, 27 დეკემბერი. როგორც სამხრეთ უელსის მაღაროების პატრონები იუწყებიან, წელს სამხრეთ უელსში დაიხურა 60 წარმოება, რომელშიაც მუშაობდა 40.000 მემაღარო. მაღაროების პატრონების სიტყვით, ახლო მომავალში მოსალოდნელია სხვა მაღაროების დახურვაც, თუ ისინი საჭირო „დახმარებას“ არ მიიღებენ. ამ შემთხვევაში ისინი სამუშაო ხელფასის შემცირებას გულისხმობენ. (ადს).

არ სურთ დაეხმარონ უმუშევარ მემაღაროებს

ლონდონი, 28 დეკემბერი. ინგლისის პრესა თავდაჭერილად შეხვდა ბოლდუინის მიერ თემთა პალატაში გამოქვეყნებულ მთავრობის წინადადებას გადაიდოს ფული მემაღაროების დასახმარებლად იმ რაიონებში, სადაც უმუშევრობაა.

„მორნინგ პოსტ“ ამის შესახებ სწერს, რომ მუდმივ ქველმოქმედებას შეუძლია კიდევ უფრო გააფართოოს ადგილებზე უმუშევართა სიღატაკე და მათხოვრობა და ხელი შეუშალოს მუშა-ძალის გამოყენებას მრეწველობის სხვა დარგებში და ქვეყნის სხვა რაიონებში (ადს).

საბჭოთა ქვა-ნახშირის ექსპორტი

ხარკოვი, 28 დეკემბერი. „დონუგოლ“-ის ცნობებით, **საბჭოთა ქვანახშირის ექსპორტი განუწყვეტლივ იზრდება,** მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ქვა-ნახშირის მრეწველობაში ადგილი აქვს სიძნელეებს და დიდ კონკურენციას ქვა-ნახშირის მსოფლიო ფირმებს შორის. **„დონუგოლ“-მა ამას წინად ერთ ფრანგულ ფირმასთან დასდო ხელშეკრულება ყოველწლიურად 100.000 ტონა ქვა-ნახშირის მიწოდების შესახებ. ამ დღეებში ტრესტმა 8 იტალიურ დიდ ფირმასთან დასდო ხელშეკრულება კომუნალური მეურნეობისათვის ყოველწლიურად 300.000 ტონა ქვა-ნახშირის მიწოდების შესახებ.**

„დონუგოლს“ მრავალი შეკითხვა მოსდის სკანდინავიის, ნორვეგიის, ჰოლანდიის და შვეიცარიის დიდ ფირმებისაგან. ამ ქვეყნებში დღემდე არ გაგვეჩნდა დონეცის ქვა-ნახშირი.

მემაღაროეთა გაფიცვა საფრანგეთში

პარიზი, 27 დეკემბ. „ლიუმანიტე“ გადაჭრით უარყოფს ოფიციალურ ცნობებს იმის შესახებ, რომ სენტ-ეტიენში გაფიცულია მემაღაროების 56 პროცენტი. „ლიუმანიტე“ აღნიშნავს, **რომ 25.000 მუშიდან გაფიცულია 20.000, ე. ი. 80 პროცენტი.**

„ლიუმანიტე“-ს სიტყვით, რეფორმისტების აგიტაცია გაფიცვის წინააღმდეგ (გაფიცვას ისინი „უდროოთ“ სთვლიან), არავითარ გავლენას არ ახდენს მემაღაროებზე. (ადს).

გენსაბჭო უმუშევართა შეკრების წინააღმდეგ

ლონდონი, 27 დეკემბერი. ტრედუნიონების გენსაბჭომ გამოაქვეყნა განცხადება იმის შესახებ, რომ 1929 წლის გაზაფხულზე უმუშევრები აპირებენ ლონდონზე „გალაშქრებას“-ო. განცხადებაში აღნიშნულია, რომ „არც ერთი პროფკავშირი, რომელიც ტრედუნიონების კონგრესს ეკუთვნის, მხარს არ დაუჭერს „ლაშქრობას“ და ამიტომ საჭიროა, რომ გენსაბჭომ მოიწონოს ეს გადაწყვეტილებაო“. (ადს).

ინგლის-ჩინეთის ხელშეკრულების შინაარსი

ლონდონი, 27 დეკემბერი. რეიტერის სააგენტო იუწყება:

„ინგლის-ჩინეთის ხელშეკრულება, რომელსაც ნანკინში მოაწერეს ხელი, ანიჭებს ჩინეთს სრულ საბაჟო ავტონომიას, მაგრამ ითვალისწინებს, რომ ჩინეთის მთავრობამ არ უნდა დაბეგროს ჩინეთის მოქალაქენი ისეთი გადასახადებითა და ბაჟებით, რომლებიც საერთო ხასიათის გადასახადებისაგან განსხვავდებიან. გარდა ამისა, ბრიტანეთის გემების ვაჭრობა ჩინეთის წყლებში უდიდესი უპირატესობის პრინციპით სარგებლობს. უდიდესი უპირატესობის პრინციპით სარგებლობს აგრეთვე ინგლისის საქონელი ჩინეთში და ჩინეთის საქონელი ბრიტანეთის ტერიტორიებზე. ხელშეკრულებას დართული აქვს დეკლარაცია, რომლის მიხედვითაც ინგლისის ყველა დომინიონი უერთდება ახალ ხელშეკრულებას (ადს).

მელითონეთა რეფორმისტული კავშირის კონფერენცია

„მიიღეს“ ზევერინგის წინადადება

ბერლინი, 27 დეკემბერი. მელითონეთა სრულიად გერმანიის რეფორმისტული კავშირის კონფერენციამ ყველა ხმის უმრავლესობით ერთის წინააღმდეგ დაადგინა — უარყოს შინაგან საქმეთა მინისტრის ზევერინგის სამედიატორო გადაწყვეტილება იმ კონფლიქტის გამო, რომელსაც ადგილი ჰქონდა რეინ-ვესტფალიის ლითონის მრეწველობაში. ამასთან კონფერენციის მიერ მიღებული რეზოლიუცია აღნიშნავს, რომ ზევერინგის გადაწყვეტილებაში „არ არის გათვალისწინებული მუშების მრავალი სამართლიანი სურვილი“.

ამავე დროს რეზოლიუცია მიმართავს მთავრობას მოწოდებით — „არ დაუშვას სიძვირის შემდგომი ზრდა“, და მოითხოვს კონტროლის დაწესებას ლითონის მრეწველობაზე (ადს).

რუმინეთის ახალი პარლამენტის პირველი სესია

ვენა, 28 დეკემბერი. ბუქარესტიდან მიღებული ცნობით, 22 დეკემბერს გაიხსნა რუმინეთის ახლად არჩეულ პარლამენტის პირველი სესია. ხელმწიფის სიტყვა ხაზ-გასმით აღნიშნავდა „რუმინეთის მშვიდობიანობის მოყვარეობას და მის მეგობრულ დამოკიდებულებას მოკავშირეებთან“ და იძლეოდა დაპირებას, რომ მთავრობა ჯერ კიდევ პარლამენტის მიმდინარე სესიაზე შეიტანს მთელ რიგ მნიშვნელოვან კანონპროექტს, მაგალითად, მმართველ-გამგეობის დეცენტრალიზაციის შესახებ, ჟანდარმერიისა და პოლიციის რეორგანიზაციის შესახებ, საბაჟო გადასახადის შემცირების, მრეწველობის და მიწადმოქმედების განვითარების ხელისშეწყობის და „უცხოეთის კაპიტალის თანამშრომლობის შეზღუდვის მოხსნის შესახებ“.

ლიბერალებმა და ავერესკუს პარტიამ გამოაქვეყნეს დეკლარაცია, რომელშიაც პროტესტს აცხადებენ იმის წინააღმდეგ, რომ არჩევნების დროს ხელისუფლება მიმართავდა ძალადობას.

28 დეკემბერს დეპუტატთა პალატაში დაიწყო 1929 წლის ბიუჯეტის განხილვა. ცნობილია, რომ უცხოეთის ფინანსიური წრეები თანახმა არიან მისცენ სესხი რუმინეთს მხოლოდ იმ პირობით, თუ ბიუჯეტი სასწრაფოდ იქნება გატარებული პარლამენტში (ადს).

გემ „სიპინგის“ დაკავების გარშემო

შანხაი, 27 დეკემბერი. ჩინეთის ხელისუფლების ცნობით, საბჭოთა სავაჭრო ფლოტის მიერ დაქირავებული გემი „სიკინგი“, რომელიც ჩინეთის ხელისუფლებამ დაიკავა ვუზუნში, კვლავ ჩინეთის სამხედრო ორგანოების ხელშია. გარდა 60 ჩინელი მგზავრისა, დაპატიმრებულია გემის კაპიტნის თანაშემწე, რუსი. ხელისუფლებამ დაიკავა ორი კუბო, რომელშიაც, ხელისუფლების ცნობით, თითქოს იარაღია დამალული. კუბოები ჯერ არ გაუხსნიათ. გაზეთების ცნობით, ჩინელი მგზავრები დააპატიმრეს იმიტომ, რომ მათი ჩვენება არ ეთანხმებოდა მათ პასპორტებს და დოკუმენტებს. რუსი თანაშემწის დაპატიმრების მიზეზი ჯერ არ არის გამორკვეული (ადს).

„კელნიშე ცაიტუნგ“ „დეილი ტელეგრაფის“ წინააღმდეგ

ბერლინი, 27 დეკემბერი. სახალხო პარტიის ორგანო „კელნიშე ცეიტუნგ“-ი მკაცრად აკრიტიკებს იმ ინგლისურ გაზეთებს, რომელნიც ცდილობენ თავიანთი ყალბი ინფორმაცია საბჭოთა კავშირის შესახებ დაასაბუთონ „კელნიშე ცეიტუნგზე“ დაყრდნობით. გაზეთი სწერს:

„უკანასკნელი წლების განმავლობაში „კელნიშე ცეიტუნგ“-მა სახელი გაითქვა, როგორც სარწმუნო წყარომ ცნობებისა აღმოსავლეთის შესახებ. ამიტომ მას არ შეუძლია დაუსჯელად დასტოვოს ის, რომ „დეილი ტელეგრაფ“-ი ცდილობს „კელნიშე ცეიტუნგის“ სახელით დაფაროს თავისი ფანტასტიური ცნობები რუსეთის შესახებ“ (ადს).

რადიო-საუბარი 13.500 კ. ლ. მანძილზე

სტოკჰოლმი, 28 დეკემბერი. ამ დღეებში რადიო-ტელეფონით ლაპარაკი სწარმოებდა სტოკჰოლმსა და ბანდუგს (იავა) შორის, ამსტერდამის ხაზით 13.500 კილომეტრის მანძილზე. ლაპარაკის გადაცემა სწარმოებდა ნაწილობრივ ტელეფონის კაბელით ნაწილობრივ რადიო-ტელეფონით. სიტყვები საუცხოოდ ისმოდა. (ადს).

მოჯამაგირის მოკვლა

ანდიჟანი, 28 დეკემბერი. ანდიჟანის ოლქის ყიშლაღ ტაჯიში მხეცურად მოჰკლეს მოჯამაგირე. თვითგასამართლების მომწყობი იყო ვაჭრებისა და ბაების ჯგუფი, რომელმაც მოჯამაგირეს დააბრალა ადგილობრივი ჩაიხანის პატრონის მოკვლა. მოჯამაგირის დანაშაულობის საბუთი არ აღმოჩნდა. ამ საქმის გამო დაპატიმრებულია 7 კაცი. (ადს).

დაიწყო ვოიცეხოვსკის პროცესი

პირველი დღე

ვარშავა, 28 დეკემბერი. დღეს დილით სახალხო სასამართლოში დაიწყო ემიგრანტი იური ვოიცეხოვსკის საქმის გარჩევა რომელსაც ბრალდება საბჭოთა კავშირის სავაჭრო წარმომადგენლის ლიზარევის მოკვლის ცდა 1928 წლის 4 მაისს. თავმჯდომარეობს მოსამართლე კრასოვსკი. ბრალდებულს იცავენ ვექილები შიმკოვსკი და ბოლშევიზმთან მებრძოლი ლიგის თავმჯდომარე ნიედელსკი რომელიც ერთ დროს სრულუფლებიანი წარმომადგენლის ვოიკოვის მკვლელს კავერდას იცავდა. დამცველებმა 40-დე მოწმე მიიწვიეს. სრულუფლებიანი წარმომადგენლობისა და სავაჭრო წარმომადგენლობის მხრით მოწვეულნი არიან სავაჭრო წარმომადგენელი ლიზარევი, სრულუფლებიანი წარმომადგენლობის მრჩეველი კოციუბინსკი და სავაჭრო წარმომადგენლობის მდივნები დიაკოვი და მაკაშენკო. ეს მოწმეები სასამართლოში არ გამოცხადებულან. ამის გამო სასამართლომ დაადგინა, დასჯერდეს მათ ჩვენებას წინასწარი გამოძიების დროს. გარეშე საქმეთა სამინისტროს მხრით მოწმეებად გამოწვეულნი არიან სამინისტროს აღმოსავლეთის განყოფილების უფროსი გოლოვკო და იურისკონსულტი ბაგინსკი. ბრალმდებლად გამოდის პროკურორის ამხანაგი ნისენზონი.

თავიდანვე დამცველები ცდილობენ ჩაშალონ პროცესი და ობსტრუქცია მოახდინონ. დამცველები იმას უჩივიან, რომ დანაშაულობის შემადგენლობის განსაზღვრა შეიცვალა მას შემდეგ რაც ბრალდების აქტი ჩააბარეს ბრალდებულს. (როგორც ვიცით, ვოიცეხოვსკის პირველად ბრალად წარუდგინეს მკვლელობის განზრახვა, შემდეგ კი თანამდებობის პირის მოკვლის განზრახვა). როცა გამოირკვა, რომ მოწმეების ნაწილი არ გამოცხადდა, დამცველებმა ეს არგუმენტად გამოიყენეს და მოითხოვდნენ საქმის გადადება, „არავისათვის საიდუმლოებას არ შეადგენს—განაცხადა ნიედელსკიმ, რომ საბჭოები ცდილობდნენ საქმის მალე გარჩევას, ახლა კი მათი მოწმეები არ გამოცხადდნენ“. დამცველების თხოვნა საქმის გადადების შესახებ სასამართლომ უარყო.

სასამართლო შეუდგა ბრალდების აქტის წაკითხვას. ბრალდების აქტი აღნიშნავს ვოიცეხოვსკის ნალაპარაკევის მიხედვით, რომ იგი ლიზარევის კი არა, კოციუბინსკის მოკვლას აპირებდა. ვოიცეხოვსკიმ იშოვა კოციუბინსკის ფოტოგრაფიული სურათი და რევოლვერით შეიარაღებული მოვიდა ვარშავაში მკვლელობის ჩასადენად. რაკი მას სულ სამი ვაზნა ჰქონდა, ის ცდილობდა ეყიდა ვაზნები, მაგრამ ვერ მოახერხა, რადგან იარაღების ტარების ნება არ ჰქონდა. 4 მაისს დილიდანვე ვოიცეხოვსკი უთვალთვალებდა სრულუფლებიან წარმომადგენლობას, რომელიც პოზნანის ქუჩაზეა. მაგრამ სრულუფლებიანი წარმომადგენლობის ბინიდან არავინ გამოდიოდა. ამის შემდეგ ვოიცეხოვსკი ხელახლა მივიდა პოზნანის ქუჩაზე. მან შეამჩნია, რომ სრულუფლებიანი წარმომადგენლობის ავტომობილი მიადგა. ვოიცეხოვსკი ვილჩისა და მარშალკოვსკის ქუჩების კუთხეში დადგა და ელოდა ავტომობილს. მან არ იცოდა, თუ ვინ იჯდა ავტომობილში. შემდეგ ბრალდების აქტი მოწმეთა ჩვენების მიხედვით აღნიშნავს, რომ ვოიცეხოვსკი გულდახურული, უფლების მოყვარული კაცია და ცდილობდა დაწინაურებას. გამორკვეულია, რომ ვოიცეხოვსკიმ ჩაიდინა ფულადი ხასიათის ბოროტმოქმედება „რუსი ახალგაზრდობის გაერთიანების თანხების მითვისებით“. გაერთიანების საერთო კრებამ არ დაამტკიცა ფულის ანგარიში, ვოიცეხოვსკი დროებით გამორიცხა გაერთიანებიდან და მოიწვია სამხანაგო სასამართლო მისი საქმის გასარჩევად. ბრალდების აქტში აღნიშნულია აგრეთვე რომ ვოიკოვის მოკვლის შემდეგ სრულუფლებიანმა წარმომადგენლობამ განუცხადა გარეშე საქმეთა სამინისტროს, რომ იური ვოიცეხოვსკი მკვლელობის მოზიარეა; მაგრამ ვოიცეხოვსკის გაჩხრეკამ არავითარი შედეგი არ გამოიღო. ვოიცეხოვსკი სამართალშია მიცემული იმ მუხლის ძალით, რომელიც ითვალისწინებს თანამდებობის პირის მოკვლის ცდას, ამ შემთხვევაში იმ წარმომადგენლობის კომერციული მრჩევლისა, რომელიც გარეშე საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებულ დიპლომატიური კორპუსის სიაშია შეტანილი (ადს).

ამუნდსენის წერილის პოვნა

ოსლო, 28 დეკემბერი. ნორვეგიის დეპეშათა სააგენტო იუწყება: „ტრომსედან გვატყობინებენ, რომ ფინმარკენის ოლქის სანაპიროზე (ნორვეგიის ჩრდილოეთი ოლქი, ტრომსეს ოლქისა და ფინეთის მოსაზღვრე) ნაპოვნია ბოთლი წერილით, რომელსაც ხელს აწერს ამუნდსენი და რომელიც შეიცავს ცნობას „ლატამა“-ს კატასტროფის შესახებ. დაწვრილებითი ცნობების უქონლობის გამო, ჯერ ძნელია იმის თქმა, ნამდვილად ამუნდსენისაა ეს წერილი, თუ არა“.

პროფკავშირთა მერვე ყრილობის გადაწყვეტილებანი

საკავშირო პროფსაბჭოს საანგარიშო მოხსენების გამო

მოსკოვი, 28 დეკემბერი. საკავშირო პროფსაბჭოს მოხსენების გამო ყრილობამ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომელშიაც საკავშირო პროფსაბჭოს წინადადება ეძლევა მომავალში სამუშაო ხელფასის პოლიტიკა შეუფარდოს სოციალისტური მრეწველობის რეალურ შესაძლებლობებს და მუშათა კლასის მატერიალური დონის შემდგომი ზრდის უზრუნველყოფის საჭიროებას. ყრილობამ წინადადება მისცა საკავშირო პროფსაბჭოს უზრუნველჰყოს სამუშაო ხელფასის უფრო მეტი ზრდა მძიმე ინდუსტრიაში, მიიღოს აგრეთვე ზომები იმისათვის, რომ თანდათან მოისპოს მეტად დიდი განსხვავება კვალიფიციურ და არა-კვალიფიციურ მუშათა სამუშაო ხელფასში. ყრილობამ წინადადება მისცა ყველა პროფორგანიზაციას — უზრუნველჰყოს ღონისძიებანი მუშათა შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდისათვის, ამავე დროს აწარმოოს სისტემატიური ბრძოლა შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის. ყრილობამ მოიწონა საკავშირო პროფსაბჭოს მოქმედება საერთაშორისო პროფმოძრაობის დარგში, მოქმედება, რომელიც მიმართული იყო მთელი მსოფლიოს მუშათა კლასთან ძმური კავშირის დამყარებისაკენ.

მრეწველობის განვითარების 5 წ. გეგმის შესახებ

კუიბიშევის მოხსენების გამო ყრილობამ აღნიშნა, რომ ხუთწლიანი გეგმა უზრუნველჰყოფს მძიმე ინდუსტრიის სწრაფ ზრდას და იმ დარგების სათანადო ზრდასა და ახალი მოწყობილობით მომარაგებას, რომელნიც მოხმარების საშუალებებს აწარმოებენ, იმ მიზნით, რომ შემცირდეს საქონლის ნაკლებობა, ხოლო შემდეგ სრულიად დაძლეულ იქნეს იგი. სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ და საგეგმო ორგანოებმა ყოველი ღონე უნდა იხმარონ, რომ კაპიტალური მშენებლობისათვის სახსრების საბოლოო განაწილების დროს ანგარიში გაუწიონ რესპუბლიკების ინდუსტრიალური რაიონების საწარმოო შესაძლებლობათა მაქსიმალურ გამოყენებას.

ყრილობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ახალ საწარმოთა (საავტომობილო და საავიაციო მშენებლობა, ქიმიური წარმოება, მანქანათმშენებლობა და სხვ.) შექმნისა და განვითარების საქმეს, რისთვისაც გამოყენებულ უნდა იქნას ტექნიკის უკანასკნელი მიღწევები.

ყრილობას საჭიროდ მიაჩნია მრეწველობის ზეგავლენის გაძლიერება ნედლეული კულტურების საქონლიანობისა და მოსავლიანობის გადიდებაზე; საჭიროდ მიაჩნია აგრეთვე ნედლეულის ყველა სახის პირველადი დამუშავების ხარისხის გაუმჯობესება. ხუთწლიანი გეგმა უნდა შეიცავდეს სატრანსპორტო მეურნეობის ისეთს რეკონსტრუქციას, რომლითაც გათვალისწინებული უნდა იყოს ახალი რკინის გზებისა და გზატკეცილების გაყვანის გაძლიერება, რკინის გზებზე ორთქლმავლებისა და ვაგონების შეცვლა და გემების ტონაჟისა და სანაოსნო ტრანსპორტის გადიდება.

პროფკავშირების მონაწილეობა ბრძოლაში საბჭოთა აპარატის გაუმჯობესებისათვის

ამხ. ორჯონიკიძის მოხსენების გამო გამოტანილ დადგენილებაში ყრილობა სავსებით მხარს უჭერს იმ მუშაობას, რომლის ჩატარებაც განზრახული აქვს მუშათა და გლეხთა ინსპექციას საბჭოთა აპარატის შესამოწმებლად და იქიდან, უცხო ელემენტების გასადევნად. ყრილობა სცნობს, რომ აპარატის შემოწმება უნდა ხდებოდეს ფართო პროლეტარული საზოგადოებრიობის, პირველ რიგში კი პროფკავშირების, მონაწილეობით. ყრილობა წინადადებას აძლევს მუშათა და გლეხთა ინსპექციას, საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად დაამუშაოს ის პრაქტიკული ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველჰყოფენ საბჭოთა აპარატს უცხო ელემენტებისაგან და უკანვე დააბრუნებენ იმ პირებს, რომელნიც მოხსნილ იქნენ საბჭოთა აპარატის საზოგადოებრივ შემოწმების წესით. პროფკავშირების წინაშე ისახება მეტად რთული ამოცანები, რომლებიც შეეხებიან საბჭოთა და სამეურნეო თანამდებობებზე იმ მუშების, მუშა-ქალებისა და მოსამსახურეების დაწინაურებას, რომელნიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ საზოგადოებრივ მუშაობაში. დაწინაურების საქმეში მუშაობამ უფრო მასიური და გეგმიანი ხასიათი უნდა მიიღოს.

სამომხმარებლო კოოპერაციის ამოცანების შესახებ

ამხ. ლიუბიმოვისა და პოზდნიშევის მოხსენებათა გამო ყრილობამ აღნიშნა, რომ სამომხმარებლო კოოპერაციის ყველაზე უფრო გადაუდებელ ამოცანას შეადგენს ამ კოოპერაციაში რაციონალიზაციის გატარება და მისი სავაჭრო ტექნიკური ბაზის გარდაქმნა. სამომხმარებლო კოოპერაციამ უნდა გააფართოვოს სავაჭრო ქსელი, უფრო რაციონალურად მოაწყოს არსებული მაღაზიები, გააუმჯობესოს საწყობებში საქონლის შენახვის საქმე, გააფართოვოს სატრანსპორტო საშუალებები და მიიღოს სხვა ღონისძიებანი იმისათვის, რომ გაუმჯობესებულ იქნას მომხმარებელთა დაკმაყოფილების საქმე და აწეულ იქნას გასასაღებელი პროდუქტების ხარისხი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მომხმარებლებს შორის იშვიათი საქონლის განაწილების მოწესრიგებას, რომელიც ძნელი საშოვარია.

შრომის კომისარიატის მუშაობის შესახებ

ამხ. ტოლსტოპიატოვის მოხსენების გამო ყრილობამ აღნიშნა, რომ მუშა-ხელის დაქირავება მომავალში უნდა ხდებოდეს შემდეგი მიმართულებით: უნდა გაფართოვდეს სახელმწიფო ორგანოებთან ხელშეკრულების დადების პრაქტიკა, რომ სამუშაოზე იგზავნებოდნენ უმთავრესად კავშირის წევრები და რომ მუშა-ხელის დაქირავება სწარმოებდეს მხოლოდ შრომის ბირჟის საშუალებით. კერძოდ, საჭიროა დამუშავდეს საკითხი იმ პირთათვის შეღავათების მინიჭების შესახებ, რომელნიც განაპირა რაიონებში იგზავნებიან, იქ წარმოებულ მშენებლობასთან დაკავშირებით, ამ რაიონების დასახლების მიზნით. შრომის ბირჟების პრაქტიკაში შეტანილ უნდა იქნას მეტი საზოგადოებრიობა, მათ მუშაობაში ჩაბმულ უნდა იქნან აქტიური და ჯანსაღი ელემენტები უმუშევრებიდან. საჭიროა, რომ შრომის სახალხო კომისარიატმა და პროფკავშირებმა გააძლიერონ უმუშევრებს შორის კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა, მოაწყონ სხვადასხვა კურსები, სკოლები, თვითმოქმედების კულტურული საღამოები, წრეები და სხვ.

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

„აზნავთისა“ და „გროზნავთის“ უმოქმედობა ხარჯების შემცირების დარგში

მოსკოვი, 28 დეკემბერი. მთავარმა ინსპექციამ მოახდინა „აზნავთისა“ და „გროზნავთის“ სამეურნეო მდგომარეობის გამოკვლევა და სცნო, რომ არც ერთ ამ დიდმნიშვნელოვან სამეურნეო ორგანიზაციებში არ არის განხორციელებული დირექტივა სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის შესახებ. ინსპექციამ კატეგორიული წინადადება მისცა „აზნავთი“-სა და „გროზნავთი“-ს გამგეობებს დაუყოვნებლივ მიიღონ ზომები აღნიშნულ დირექტივების განსახორციელებლად.

936 მილიონი მანეთი საბინაო აღმშენებლობაზე

მოსკოვი, 28 დეკემბერი. საბინაო კოოპერაციის საბჭომ შეიმუშავა ხუთწლიანი საპერსპექტივო გეგმა, რომლის თანახმად საბინაო აღმშენებლობაზე მთელ საბჭოთა კავშირში უნდა დაიხარჯოს 936 მილიონი მანეთი.

გეგმა ითვალისწინებს საცხოვრებელი მოედნის ნორმას თითო სულზე. ამიერ-კავკასიისათვის, გეგმის თანახმად, საცხოვრებელი მოედნის ნორმა თითო სულზე უნდა აყვანილ იქნას 9 კვადრატულ მეტრამდე.

ამიერ-კავკასიის სოფლების სანიმუშო რადიოფიკაცია

მოსკოვი, 28 დეკემბერი. ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატმა გამოიტანა დადგენილება იმის შესახებ, რომ ამიერ-კავკასიის სამივე რესპუბლიკაში მოაწყონ თითო სოფლის სანიმუშო რადიოფიკაცია.

თელავისა და ველისციხის საკრედიტო ამხანაგობათა გამარჯვება

მოსკოვი, 28 დეკემბერი. დღეს მოსკოვის ბევრი გაზეთი ეხება სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობათა სრულიად საკავშირო კონკურსის საბოლოო შედეგებს. გაზეთები აღნიშნავენ, რომ მეორე ჯილდო საკავშირო კონკურსში ერგო თელავის სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობას, ხოლო მესამე ველისციხის ამხანაგობას. აღნიშნულ ცნობასთან ერთად მოყვანილია თელავის და ველისციხის ამხანაგობათა მუშაობის მიმოხილვა.

დღეს თბილისში ჩამოვლენ კაპიტალისტური ქვეყნების მუშკორები,—ჩვენი მხურვალე სალამი უცხოელ თანამოკალმეებს!

საზღვარგარეთელ მუშკორებს

მთავარ სახელოსნოს მუშკორებისაგან

ამხ. სტალინის სახელობის მთავარ სახელოსნოების მუშკორები მოგესალმებით თქვენ, როგორც კაპიტალისტური დასავლეთის მუშათა მოწინავე ნაწილს, როგორც კომუნისტური იდეების განხორციელებისათვის მედგარ მებრძოლთ.

ჩვენ ვიცით, რომ დასავლეთის კაპიტალისტები, რენოდელისა და მაკდონალდის ტიპის სოციალისტებთან ერთად, მუდამ ცილსა სწამებენ და უგვამოხრივ სახელს უტეხენ საბჭოთა სოციალისტურ მშენებლობას, რათა საშუალება მისცენ დასავლეთის ბურჟუაზიას შეტევაზე გადავიდეს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამიტომ თქვენი ჩამოსვლა, მუშკორთა საერთაშორისო კავშირის განმტკიცების გარდა, საშუალებას მოგცემთ დასავლეთის მუშა-კომპარტიების ორგანოების ფურცლებზე გამოხატოთ სიმართლე საბჭოთა კავშირის შესახებ და ამით ამხილოთ ცილისმწამებელთა სოციალისტ-შემთანხმებელთა ბანაკი.

მომავლისათვის აღვთქვამთ—მოგაწოდოთ სწორი ინფორმაცია სოციალისტური მშენებლობის მიღწევებსა და დეფექტებზე, ხოლო თქვენგან, ძვირფასო ამხანაგებო, სასურველია მოგვაწოდოთ ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს დასავლეთში ბრძოლა ლენინიზმის იდეების გამარჯვებისათვის და როგორია ჩვენი უცხოელი ძმების პროლეტარების ცხოვრების პირობები.

დედანზე ხელს აწერს 120 მუშკორი და მუშა.

შეხვედრის გეგმა

გუშინ თბილისის კომიტეტში შესდგა თბილისის გაზეთების წარმომადგენელთა თათბირი, საზღვარგარეთელ მუშა-კორესპონდენტების შეხვედრის შესახებ. თათბირმა მიიღო შემდეგი გეგმა: სტუმრებს სადგურზე შეხვდებიან მუშკორებისა და რედაქციების წარმომადგენლები. შეხვედრის შემდეგ დღის პირველ საათზე მიტინგები მოეწყობა რკ. გზის მთავარ სახელოსნოში, ტრამვაის პარკში, დიდ თამბაქოს ქარხანა პროლეტარში.

დღეს საღამოს მელითონეთა (ყოფ. ცენტ. მუშათა) კლუბში საღამოს 6 საათზე გაიმართება თბილისის მუშკორებისა და ჩამოსულ მუშკორ სტუმრების საზეიმო კრება. კრების შემდეგ მოეწყობა კონცერტი. კვირას სტუმრები დაათვალიერებენ ზაჰესს, ორშაბათს რედაქციებს და სხვა დაწესებულებებს.

დღეს, საღამოს 6 საათზე, მელითონეთა კლუბის (ყოფ. მუშათა ცენტრალური კლუბი) შენობაში შესდგება

თბილისის ნაბეჭდ და კედლის გაზეთების მუშკორთა, სამხკორთა და ახალგაზრდა კორესპონდენტთა საერთო საქალაქო კრება უცხოეთის მუშკორებთან ერთად.

დღის წესრიგში—უცხოეთის მუშკორთა მოხსენებები.

თათბირი საშეფო მუშაობის შესახებ

მეორე სხდომა

თათბირის მეორე სხდომაზე დაიწყო კამათი ბაქოს და თბილისის საშეფო საბჭოების მუშაობის და ამხ. რუბენის მოხსენების გარშემო.

ამხ. საფუარიძე: აღნიშნავს, რომ საშეფო ორგანიზაციის ცუდი ფინანსიური მდგომარეობა აბრკოლებს ამ ორგანიზაციის მუშაობას. სამეურნეო ორგანოები კ. რომლებთანაც ჩამოყალიბებულია საშეფო სახელოსნოები, უჯრედები, უჯრედს ფინ. დახმარებას არ უწევენ. სამეურნეო ორგანოებმა ხარჯთ-აღრიცხვაში შეტანილი უნდა იქნეს სათანადო თანხები ამ მუშაობისათვის.

ახუნდ-ზადე: საშეფო ორგანიზაციას კავშირი არა აქვს სოფლად ღარიბ და საშუალო გლეხობასთან, რაც ერთ-ერთ სუსტ მხარედ ჩაითვლება მის მუშაობაში. ამხანაგები ბრალს სდებენ კომკავშირს, იმაში, რომ იგი სუსტად მონაწილეობს საშეფო მუშაობაში ეს ბრალდება მართალია. მაგრამ ამავე დროს საშეფო საზოგადოებასაც არ გადაუდგამს პრაქტიკული ნაბიჯი კომკავშირის ჩასაბმელად თავის მუშაობაში.

ამხ. ხოჯამირიანი: საშეფო საზოგადოება ხშირად სხვა ორგანიზაციებისაგან განცალკევებულად მუშაობს. მედსანშრომის, მშენებელთა და მიწ-ტყის პროფკავშირებმა (რომელთაც კავშირი აქვთ სოფელთან) დახმარება უნდა გაუწიონ საშეფო საზოგადოებას თავის კულტურული ძალებით სოფლად.

ბელიანი: სოფლად მასიური მუშაობა არ სწარმოებს. სოფლის მშრომელთა ფართო მასებთან საშეფო საზოგადოებამ კავშირი უნდა გააბას სოფლად არსებულ აქტივის საშუალებით. კოოპერაციის მუშაობის, მანქანებით მომარაგების და სხვ. საქმეში ხშირად სოფელში ადგილი აქვს ხოლმე არასასურველ მოვლენებს, ამის შესახებ კი საშეფო საზოგადოებამ არაფერი იცის, რადგან წელიწადში 2—3 ნახულობენ სოფელს და დანარჩენ დროს მოწყვეტილნი არიან მისგან.

ამხ. არუთინოვი: მიუხედავად მე-15-ე პარტყრილობის გადაწყვეტილებისა, საშეფო ორგანიზაცია არ მონაწილეობს ღარიბთა მ. კავშირებაში. საშეფო საზოგადოება ხელს უნდა უწყობდეს პარტიას სოფლის მეურნეობის ალორძინების და კოლექტივიზაციის საქმეში და არ უნდა კმაყოფილდებოდეს მიტინგების გამართვით სოფლად. საჭიროა მასიური მუშაობის გამოცოცხლება. საშეფო ორგანიზაციებთან არსებულ სოციხტემის სექციაში ხშირად არა სასურველი ელემენტები ძვრებიან, რაც მოწმობს საშეფო საზოგადოების სუსტ ხელმძღვანელობას ამ სექციაზე.

ამხ. მეიფარიანი: შედარებით კომკავშირთან, პროფკავშირთან და სხვ. საშეფო ორგანიზაცია გვიან წარმოიშვა. ამიტომ პირველთა მოვალეობას შეადგენს საშეფო ორგანიზაციისათვის ხელის შეწყობა, მაგრამ ხშირად ხელის შეწყობის ნაცვლად ადგილი აქვს ხელის შეშლას, რაც გამოიხატება იმაში, რომ პროფკავშირები საშეფო საზოგადოებას არ აძლევენ კლუბებს წარმოდგენების დასადგმელად, კონცერტ-ბალის საღამოების მოსაწყობად და სხვ.

ამხ. გეგეჭკორი: ზოგიერთი ორგანიზაციები (კომკავშირი, პროფკავშირები) საშეფო მუშაობას აწარმოებენ საშეფო საზოგადოებისაგან დამოუკიდებლად, რასაც ბოლო უნდა მოეღოს. ამავე დროს საშეფო საზოგადოებას დღემდე არა აქვს შემოფარგლული თავისი ფუნქციები რის გამო მუშაობაში ადგილი აქვს პარალელიზმს და სხვ., საჭიროა ფუნქციათა შემოფარგვლა. საშეფო საზოგადოებამ საინჟინერო-ტექნიკური ძალები უნდა გამოიყენოს კონკრეტულ სამშენებლო ამოცანათა შესასრულებლად სოფლად.

ამხ. ტაბიძე: საშეფო ორგანიზაციები ხშირად შეფობას იღებენ ისეთ სოფლებზე, რომლებიც მისგან დაშორებული არ არიან და ამავე დროს უფრო მოშორებული და ჩამორჩენილი სოფლები შეფობის გარეშე არიან მიტოვებული. სოფლად საჭიროა ისეთი აქტივის შექმნა, რომელიც საშეფო ორგანიზაციის უახლოესი ინფორმატორი იქნება. ხშირად საშეფო ორგანიზაცია სოფლად სდგამს რადიოს, რომელიც რამდენიმე დღის შემდეგ ფუჭდება. საშეფო ორგანიზაციამ კი ამის შესახებ არაფერი იცის იმრიგად ჩვენ იმის მაგივრად რომ შევაკეთოთ გლეხს რადიო, ვაფუჭებთ.

ამხ. იონიძე: ზოგიერთ საშეფო ორგანიზაციები დიდ ყურადღებას აქცევენ კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას და ამავე დროს ივიწყებენ სამეურნეო მუშაობას. საჭიროა მუშაობის წარმოება ორივე მიმართულებით.

ამხ. ურუშაძე: ჩვენი საშეფო ორგანიზაციის მუშაობაში ადგილი აქვს ხოლმე ხშირად ორ მავნე გადახრას: ზოგი ორგანიზაცია ადგილზე კმაყოფილდება თანამდებობრივი პირებთან მოლაპარაკებით და გვერდს უხვევს გლეხობას, ზოგი კი გვერდს უხვევს ადგილობრივ ორგანიზაციებს და უშუალოდ მიდის გლეხობასთან, იწვევს მათ კრებებს, უკეთებს მოხსენებებს, აძლევს დაპირებებს რჩევა-დარიგებებს და სხვ. და ამრიგად ხშირად ითვისებს სასოფ. საბჭოს, კომკავშირის, ხელისუფლების და სხვ. ფუნქციებს.

ორივე ამ გადახრას ბრძოლა უნდა გამოეცხადოს. საჭიროა აგრეთვე პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერება ე. წ. სათვისტომო სექციაზე.

ამხ. ტაბიძე: სოფლად გამწვავებული კლასთა ბრძოლა პარტიის წინაშე აყენებს საშეფო ორგანიზაციის მუშაობის გამოცოცხლების და ამ ორგანიზაციის კლასიურ იარაღად გამოყენების საკითხს, ბაქოს საშეფო საბჭოს შეფობა აუღია ისეთ მაზრებზე, სადაც მუშაობა ისედაც დამაკმაყოფილებელია და ამავე დროს ამ შეფობას მოკლებულია უფრო ჩამორჩენილი მაზრები. ასევე შეიძლება ითქვას თბილისის საშეფო ორგანიზაციის შესახებ. მიუხედავად არსებული დირექტივისა იყო შემთხვევები, როცა ადმინისტრაცია მუშას ჯამაგირიდან უქვითავს ი 2—3 დღის ხელფასს, რომლის განმავლობაში მუშა საშეფო საზოგადოების დავალებით წასული იყო სამუშაოდ სოფლად. ამას სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს.

თათბირი დაიხურა

შემდეგ მოსმენილი იქნა ამხ. რუბენის დასკვნა კამათის ირგვლივ და თბილისის და ბაქოს საშეფო საბჭოების წარმომადგენელთა საბოლოო სიტყვა, რის შემდეგ მიღებული იქნა სათანადო რეზოლუცია და თათბირი დაიხურა.

საქართველოს ცენტრალური გლეხკომის პლენუმი

გუშინ საქ. გლეხთა ცენტრალური სახლის დარბაზში, ამხ. ქ. ხომერიკის თავმჯდომარეობით გაიხსნა საქართველოს გლეხთა ურთიერთ დამხმარე საზოგადოებათა ცენტრალური კომიტეტის მეორე პლენუმი. რომლის დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები: 1) მოხსენებები ადგილებიდან, 2) ცენტრალური გლეხკომის პრეზიდიუმის მოხსენება 3) გლეხკომები და საბჭოების გადარჩევა, 4) ცენტრალური გლეხკომის სამოქმედო გეგმის გამომუშავება და 5) მიმდინარე საკითხები.

დღის წესრიგის და რეგლამენტის დამტკიცების შემდეგ პლენუმმა მოისმინა მოხსენებები ადგილებიდან

როგორ მუშაობენ გლეხთა ურთიერთ დამხმარე კომიტეტები

ოზურგეთის მაზრაში

(ამხ. მგალობლიშვილის მოხსენება)

ოზურგეთის სამაზრო გლეხკომი აერთიანებს 35 სათემო გლეხკომს—9429 წევრით. გლეხკომის წევრები იყოფა ოთხ კატეგორიად. საწევრო გადასახადი განსაზღვრულია 45 კაპიკიდან 1 მანეთამდე. 9429 წევრიდან საწევრო გადასახადი შემოტანილი აქვს 5384 წევრს. განთავისუფლებულია საწევრო გადასახადიდან 2452 ღარიბი გლეხი. გლეხკომების წევრთა შორის 5945 წ. ღარიბი გლეხია და 3484 საშუალო გლეხი. სისტემატიურად იმართებოდა სათემო გლეხკომების პრეზიდიუმის სხდომები. ერთდროული დახმარება მიეცა 638 წევრს 1.857 მანეთის რაოდენობით. 1453 გლეხს მიეცა სესხად 3.524 მანეთი და 60 კ.; შრომითი დახმარება გაეწია 66 ოჯახს. იურიდიული დახმარება—1.183 წევრს. გლეხკომებმა თავის ხარჯზე ჩასწერა კოოპერატივის წევრად 159 გლეხი. რაზედაც დაიხარჯა 641 მან. და 50 კაპ.; ლანჩხუთის სათემო გლეხკომს აქვს საკუთარი საავადმყოფო ორი საწოლით. სათემო გლეხკომებს აქვს სახნავ-სათესი მიწები, ბაღ-ვენახი სანერგე, 2 სახარაზო, 12 სასადილო, 5 სამჭედლო; 4 პურის საცხობი; 2 [illegible], 1 ნავი მდინარე სუფსაზე 5 მეურმეთა არტელი, 1 ტრაქტორი და სხვ.

ა. წ. 1 ოქტომბრისათვის სათემო გლეხკომებს აქვს 6505 მან. ფულად. 4230 მან. საქონელი; გასესხებული თანხა—15.197 მან. და 56 კ. სულ 25.932 მანეთი. თვით სამაზრო გლეხკომი აწარმოებს შეშის და ბამბის ოპერაციას. აქვს წითელი სასადილო, საყასბო, ლიმონათის ქარხანა და თივის საწყობი. საანგარიშო ხნის განმავლობაში სამაზრო გლეხკომმა თავის სახსრებიდან ღარიბ გლეხებს დახმარების სახით მისცა 456 მან. სამაზრო გლეხკომს აქვს გლეხთა სახლი რომელსაც აქვს 21 საწოლი. სახლის შემოსავალი ფარავს ხარჯებს. სახლთან მოწყობილია ბაკი. ოზურგეთის გლეხთა სახლში ერთი წლის განმავლობაში ღამე გაათია 5003 კაცმა. აქედან სრულიად უფასოდ 1.455 კაცმა. გლეხკომი აწარმოებს კულტურულ მუშაობასაც.

ზუგდიდის მაზრაში

(ამხ. ბერულავას მოხსენება)

სამაზრო გლეხკომს ეკუთვნის სათქვავ-სახერხი ქარხნის ნახევარი, აქვს გლეხთა სახლი, საბანაო, 2 სასადილო [illegible] „თეკანაშში" 34 ოთახი, ხე-ტყის მასალის საწყობი და სხვ. გლეხთა სახლით ისარგებლა 4.633 კაცმა. აქედან უფასოთ—2034 კაცმა, შეღავათიან ფასებში 60 კაცმა, დაწესებულებების ხარჯზე 884 კაცმა. იურიდიული დახმარება მიეცა 151 გლეხს გლეხკომის სამკითხველოთი ისარგებლა 1.633 კაცმა, გლეხთა სახლმა სამჯერ მოაწყო გლეხობის ექსკურსია.

მაზრაში 1927 წ. ითვლებოდა 27 გლეხკომი. ერთი წლის განმავლობაში მოეწყო კიდევ 14 გლეხკომი. სათემო გლეხკომები ემსახურება 103 სოფელს, სადაც ითვლება 18.944 კომლი, მაზრაში სათემო გლეხკომები აერთიანებენ 5.330 წევრს. აქედან ღარიბები არიან 3855 და საშუალო გლეხები 1.496; შემოტანილი აქვს საწევრო გადასახადი 3.594 წევრს განთავისუფლებულია გადასახადისაგან 420 წევრი; გაეწია ერთდროული დახმარება 334 წევრს, შრომითი დახმარება აღმოეჩინა 31 წევრს. იურიდიული დახმარება მიეცა 1.067-ს. სათემო გლეხკომებს აქვს 2 წისქვილი, 3 სასადილო, 1 ბორანი და სხვ.

სენაკის მაზრაში

(ამხ. ლომიას მოხსენება)

სენაკის მაზრაში არსებობს 41 სასოფლო გლეხკომი რომელიც ემსახურება 181 სოფელს. გლეხკომებში გაერთიანებულია 11.199 გლეხი. აქედან ღარიბები—6942, საშუალო გლეხები 3840; უკანასკნელი წლის განმავლობაში გლეხკომების წევრთა რიცხვი გაიზარდა 1.149 კაცით. სამაზრო გლეხკომს მჭიდრო კავშირი აქვს ცენტრის სხვადასხვა ორგანიზაცია-დაწესებულებებთან: ცენტრალურ გლეხკომთან, რედაქციებთან, გლეხთა ცენტრალურ სახლთან და სხვ. სამაზრო გლეხკომის საარსებო წყაროს შეადგენს—შემოსავალი: სასადილოებიდან, გლეხთა სახლიდან და სხვ.

სასოფლო გლეხკომებს აქვს 11 სასადილო; მარტვილში აბაშაში, ბანძაში და სხვ. აქვს აგრეთვე 6 პურის საცხობი, 22 სახარაზო-სამჭედლო და სხვ. სასოფლო გლეხკომებმა გაუწიეს დახმარება 285 წევრს (1212 მანეთის რაოდენობით), ნატურით—216 წევრს. სესხად გაცემულია 1.012 მან., კოოპერატივის წევრად ჩაწერილი იქნა 271 ღარიბი გლეხი.

სასოფლო გლეხკომები აწარმოებენ კულტურულ მუშაობასაც. ღარიბ მოსწავლეებისათვის შეიძინეს 693 მანეთის სასწავლო ნივთები. სამკითხველოებს და 200 ღარიბ გლეხს გამოუწერეს ჟურნალ-გაზეთები და სხვ.

მოხსენებების შემდეგ პლენუმის პირველი სხდომა დაიხურა.

პარტიაში

ნოემბრის პლენუმის შედეგების დამუშავება

(საგარეჯოს პარტაქტივის კონფერენცია)

23 დეკემბერს, საგარეჯოში მოწვეულ იქნა სათემო პარტიული კონფერენცია კომკავშირის აქტივთან ერთად. კონფერენცია მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა ამხ. გორდელაძემ.

დღის წესრიგში დასმული იყო მხოლოდ ერთი საკითხი—ს. კ. პ. (ბ) ცეკას ნოემბრის პლენუმის შედეგები, რომელზედაც მოხსენება გააკეთა საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივანმა ამხ. ლ. სუხიშვილმა.

მომხსენებელი უმთავრესად შეეხო ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საკითხს, სასოფლო-მეურნეობის კოლექტივიზაციას, ღარიბ და საშუალო გლეხობის, მოჯამაგირეების და სოფლის კომუნისტების კოლექტივებში გაერთიანების საქმეს, პარტიაში აღმოცენებულ მემარჯვენე საფრთხეს, ტროცკისტულ ოპოზიციის ნაშთების გამოცოცხლების ცდას, პარტიის ზრდის მოწესრიგების საკითხს და სხვ.

მოხსენების ირგვლივ მიცემულ იქნა 35 შეკითხვა, რომელზედაც მომხსენებელმა ამომწურავი პასუხი გასცა.

კამათში გამოსული ამხანაგები უმთავრესად აღნიშნავდნენ სოფლის მეურნეობის გაძლიერებისათვის და კოლმეურნეობათა მუშაობის გაუმჯობესებისათვის ხელის შეწყობის და დახმარების ზემდგომი ორგანოების მიერ. აღნიშნავდნენ აგრეთვე ბრძოლის გაძლიერების აუცილებლობას მემარჯვენე საფრთხის წინააღმდეგ და სხვ.

მოხსენების ირგვლივ მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია: „საგარეჯოს პარტიული ორგანიზაცია მთლიანად უერთდება და იწონებს საკ. კ. პ. (ბ) ცეკას ნოემბრის პლენუმის დადგენილებებს მემარჯვენე გადახრის და მასთან შემრიგებელთა წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, რომელმაც თავი იჩინა სიძნელეთა გამწვავების პერიოდში და გამოიხატება იმაში, რომ ის ხელფლობს შეანელოს მძიმე ინდუსტრიის განვითარების ტემპი, მიაფუჩეჩოს კლასობრივი ბრძოლა ქალაქად და სოფლად.

კონფერენცია ერთხმად აცხადებს, რომ იგი ურყევად და მტკიცედ იბრძოლებს პარტიის ცეკას ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა ცხოვრებაში გასატარებლად.

ლ. ნაც—ლი.

საბჭოთა უჯრედები სახ. აპარატის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში

(თბილისის პარტკონფერენციისათვის)

საბჭოთა უჯრედების ბრძოლა ბიუროკრატიზმთან და საბჭოთა - სამეურნეო დაწესებულებების სხვა დეფექტებთან თბილისის მე-8 პარტკონფერენციის შემდეგ ხასიათდებოდა შემდეგი ძირითადი მომენტებით: უჯრედები სუსტ აქტივობას იჩენდნენ საბჭოთა აპარატის ზედმეტ ხარჯებთან, ბიუროკრატიზმთან და უყაირათობასთან ბრძოლის საქმეში; ისინი საკმაო ყურადღებას არ აქცევდნენ აპარატის შემადგენლობაში პარტიის წევრთა რიცხვის გადიდებას, რის გამოც ზოგიერთ დაწესებულებაში პარტიის წევრები შეადგენენ თანამშრომელთა მთელი მასის მხოლოდ 5-6 პროცენტს.

ადმინისტრაცია, უჯრედი და ადგილკომი („სამკუთხედი") შეთანხმებულად არ მუშაობდნენ, ადგილი ჰქონდა აშკარა და ფარულ ბრძოლას ადმინისტრაციასა, უჯრედსა და ადგილკომს შორის. სუსტად იყო დაყენებული მასიური მუშაობა, კერძოდ ეკონომთათბირების საქმიანობა. იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც ხელმძღვანელნი სათანადო ყურადღებით არ ეპყრობოდნენ უჯრედებს.

ცეკას პრეზიდიუმმა, ქალაქის რაიონული კომიტეტის გამომკვლევი კომისიის მოხსენების გამო მიღებულ დადგენილებაში აღნიშნა: „ცალკე სახელმწიფო დაწესებულების ხელმძღვანელობა და სამეურნეო მუშაკის ბიუროკრატიზმმა, უჯრედებისა და ქვედა საფეხურის პროფორგანიზაციებისაგან მოწყვეტამ და პროტექციონიზმის არსებობამ ხელი შეუწყო ზოგიერთი დაწესებულების აპარატის სოციალური შემადგენლობის გაუარესებას, აპარატში ისეთი პირების გაძრომას, რომლებიც შრომის ბირჟას არ ჰყავდა აღრიცხული და, ცალკე შემთხვევებში, აპარატიდან პარტიის წევრების განდევნასაც კი".

ცეკამ აღნიშნა, რომ სახელმწიფო და სამეურნეო დაწესებულებების ზოგიერთი ხელმძღვანელი „არ იჩენდა სწორ მიდგომას უჯრედების მუშაობისადმი", ანგარიშს არ უწევდა უჯრედების გადაწყვეტილებებს და ადმინისტრატიული ურთიერთობა გადაჰქონდა პარტიულ ცხოვრებაში.

თბილისის კომიტეტი დაეყრდნო თბილისის პარტკონფერენციის, და ზემდგომ პარტორგანოების გადაწყვეტილებებს და საბჭოთა უჯრედების წინაშე წამოაყენა შემდეგი ამოცანები: აპარატის შემადგენლობის გაუმჯობესება, კომუნისტების და მუშების რიცხვის გადიდება აპარატში, მისი გაწმენდა სოციალურად უცხო ელემენტებისაგან, მუშაობის რაციონალიზაცია, აპარატის გაიაფება, ბრძოლა ბიუროკრატიულ დამახინჯებასთან და სხვ.

როგორ ხორციელდებოდა ეს დირექტივები ადგილებზე? უჯრედების უმრავლესობა შეუდგა დაწესებულების ხელმძღვანელთა მოხსენებების პერიოდულად მოსმენას, უფრო აქტიურად და ყურადღებით დაუწყო თვალყურის დევნება თავისი დაწესებულების მუშაობას.

მუშაობა აპარატის გაუმჯობესებისა და გამარტივებისათვის და ბრძოლა საქმის გაჭიანურებასთან დაკისრებული ჰქონდა ეკონომკომისიებს და რაციონალიზაციის ბიუროებს, მაგრამ უჯრედების მიერ არასაკმაო პრაქტიკული ხელმძღვანელობის გაწევის გამო ეს მუშაობა ვერ სწარმოებდა სავსებით დამაკმაყოფილებლად.

თბილისის კომიტეტი სისტემატიურად მუშაობდა საბჭოთა აპარატის შესწავლისა და ანალიზის საკითხზე. მიუხედავად იმისა, რომ აპარატის სოციალური შემადგენლობის გაუმჯობესების საქმეში, მიღებულ ღონისძიებათა მეოხებით, 1928 წლის 1 იანვრისათვის მიღწეულ იქნა ერთგვარი დადებითი შედეგები უკანასკნელ დროს აპარატის სოციალური შემადგენლობა მაინც რამდენადმე გაუარესდა. კერძოდ ქალაქის რაიონში 1928 წლის ოქტომბერში, 1927 წლის 1 ივლისიდან შედარებით გვაქვს შემდეგი სურათი: მუშების რიცხვი სახელმწ. დაწესებულებებში 19,1 პროცენტიდან შემცირდა 14,7 პროცენტამდე, გლეხების ჯგუფი —86 პროცენტიდან 18,5 პროცენტამდე მოსამსახურეთა რიცხვი გაიზარდა 31,9 პროცენტიდან 48,3 პროცენტამდე, ოდნავ გაიზარდა უცხო ელემენტების რიცხვი—15,4 პროცენტიდან 18,5 პროცენტამდე. და უმნიშვნელოდ გაიზარდა პარტიის და კომკავშირის წევრთა რიცხვი—22,3 პროცენტიდან 28,8 პროცენტამდე.

ამ მოვლენის მიზეზად უნდა ჩაითვალოს მთელი რიგი დეფექტები და პარტიული ხაზის გამრუდება, კერძოდ დაწესებულებათა აპარატის შემადგენლობის სუსტი მოწესრიგება ადმინისტრაციის, აგრეთვე ზოგიერთი უჯრედის მიერ, პროტექციონიზმი და სხვ.

ნათქვამის დასამტკიცებლად საინტერესოა მოვიყვანოთ უკანასკნელი ცნობები საბჭოთა აპარატის თანამშრომელთა შემადგენლობისა და მოძრაობის შესახებ ქალაქის რაიონშივე.

1928 წლის 1 აპრილისათვის 64 დაწესებულებაში მუშაობდა 6.537 კაცი, ამ რიცხვს 1 აპრილიდან 1928 წლის 1 ოქტომბრამდე მოაკლდა 1.431 კაცი ანუ 20,5 პროცენტი, მოემატა 1.881 კაცი, ანუ 28 პროცენტი; აქედან, პარტიული ორგანიზაციების მივლინებით—377 კაცი, ანუ 20,6 პროცენტი, შრომის ბირჟის მეშვეობით—1.110, ანუ 60,6 პროცენტი, „სხვა გზებით"—344 კაცი, ანუ 18,8 პროცენტი.

ეს ციფრები იმას მოწმობენ, რომ პარტორგანიზაციების მივლინებისა და შრომის ბირჟის საშუალებით მიღებასთან ერთად, დღემდე გრძელდება მუშაკთა საკმაოდ მნიშვნელოვანი რიცხვის მიღება „სხვა გზებით". „სხვა გზებია" მიღება ბარათებით, პროტექციით. თბილისის კომიტეტის აგრეთვე რაიონული კომიტეტის მიერ მთელი რიგი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების გამოკვლევის დროს ირკვეოდა, რომ ადგილი ჰქონდა ერთეულ და მასიურ პროტექციის შემთხვევებს, მაშინ, როდესაც ხელმძღვანელ სამუშაოზე მუშების დაწინაურებას ხშირად დაბრკოლებები ელობებოდა. მუშების დასაწინაურებლად თანამდებობათა განსაზღვრული რიცხვის გადადებისათვის საჭირო იყო პარტორგანოების ძლიერი ზეგავლენა.

საბჭოთა აპარატი გაიაფებისა და შემცირების ნაცვლად განუწყვეტლივ იზრდება. ქალაქის რაიონის იმავე 64 დაწესებულებაში 1 აპრილს ითვლებოდა 6.537 თანამშრომელი, ხოლო 1928 წლის 1 ოქტომბერს—7.027, ესე იგი ზრდა შეადგენს 7,5 პროცენტს. აღნიშნული დაწესებულებებიდან 29 დაწესებულების შემადგენლობა გაიზარდა, 19 უცვლელად დარჩა და მხოლოდ 16 დაწესებულებაში თანამშრომელთა რიცხვი რამდენადმე შემცირდა. სხვა რაიონებშიაც აპარატი იზრდება (ა.-კ. რკინის გზების სამმართველოს გარდა), ან უცვლელი რჩება.

ეს იმას მოწმობს, რომ პარტიის დირექტივა აპარატის გაიაფების შესახებ თითქმის არ სრულდება. საბჭოთა სამეურნეო აპარატის რაციონალიზაციის საქმეში არის მთელი რიგი მიღწევები (ინსტანციების რიცხვის, ზედმეტი მიწერ-მოწერის შემცირება და სხვ.), მაგრამ აპარატის გაბერვისა და მისი სოციალური შემადგენლობის ნაწილობრივი გაუარესების პირობებში ამ საკანცელარიო რაციონალიზაციის ზომებს მნიშვნელობა ეკარგება.

დაწესებულებათა უჯრედების მუშაობის ერთ-ერთ ძირითად ნაკლს წარმოადგენს ის, რომ ყველა უჯრედს არა აქვს შეგნებული, თუ რა როლს თამაშობს იგი პარტიის ღონისძიებათა განხორციელების საქმეში ბიუროკრატიზმთან ბრძოლაში და დაწესებულებათა მუშაობის მოწესრიგებაში. ადგილ-ადგილ უჯრედები ისეთ ფორმალურ დამოკიდებულებას იჩენენ თავიანთი დაწესებულებების მიმართ, რომ იქ ყველაფერი თავის რიგზე ჰგონიათ, აშკარად ჰფარავენ ნაკლოვანებებს.

ხშირად უჯრედები არა თუ არ იბრძოდნენ უყაირათობის დაუშვებელ და დანაშაულებრივ ფაქტებს და საბჭოთა აპარატის სხვა დეფექტებს, არამედ არც კი იცოდნენ და არც აინტერესებდათ, თუ რა ხდებოდა მათ დაწესებულებაში.

გასულ წელს საბჭოთა უჯრედების უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენდა ადმინისტრატიულ სამეურნეო ხარჯების 20 პროცენტით შემცირება. ჩატარებული შემოწმებით ირკვევა, რომ საბჭოთა დაწესებულებების მხოლოდ 50 პროცენტმა შეასრულა დირექტივა ხარჯების შემცირების შესახებ. დანარჩენმა დაწესებულებებმა ან სულ არ შეასრულეს ეს დირექტივა, ან არასაკმაოდ შეასრულეს.

უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა უჯრედების მხოლოდ ნაწილი იღებდა მონაწილეობას ამ დირექტივის შესრულებისათვის ბრძოლაში.

ამრიგად, მოყვანილი ცნობებიდან ჩვენ უნდა გამოვიყვანოთ შემდეგი დასკვნები: საბჭოთა უჯრედებმა მხოლოდ ერთი ნაბიჯი გადადგეს საბჭოთა აპარატის გასაუმჯობესებლად. საჭიროა კიდევ დიდი და ხეირიანი მუშაობა. საბჭოთა უჯრედებმა უნდა აიღონ გადაჭრილი კურსი ჩვენი აპარატის გაჯანსაღებისა, მისი სოციალური შემადგენლობის გაუმჯობესებისა, მუშების უფრო ენერგიულად დაწინაურებისა და საბჭოთა აპარატის გამარტივება-გაიაფებისაკენ.

ი. რუხაძე.

კომკავშირში

კომკავშირის ქალაქის რაიონის მე-11 კონფერენცია

მეორე სხდომა

კონფერენციის მეორე სხდომამ მოისმინა ამხ. გოგოშვილის მოხსენება რაიონული კომიტეტის მუშაობის შესახებ.

შემდეგ ნორჩ-პიონერთა რაიბიუროს მუშაობის შესახებ თანამოხსენებით გამოვიდა ამხ. იაგნიტინსკი.

პიონერთა შორის მუშაობა

თითქმის ყველა წარმოებებთან, დაწესებულებებთან და სკოლებთან არსებობს ნორჩ-პიონერთა კოლექტივები. ადგილებზე კომკავშირის უჯრედები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ნ. პ. კოლექტივებს. ამის გამო რაიბიურომ სათანადო დირექტივები დაუგზავნა ადგილებს, რათა ამ უკანასკნელებს პიონერთა კოლექტივებზე მისამაგრებლად გამოეყო მომზადებული კომკავშირელები.

შემჩნეულია, რომ კომკავშირის უჯრედები არ იყვნენ დაინტერესებული კოლექტივებში მუშაობით; ისინი ნ. პ. კოლექტივების ხელმძღვანელებათ აყენებდნენ ისეთ კომკავშირელ მუშაკს, რომელმაც ჯეროვნად არ იცოდა პიონერთა შორის მუშაობის ფორმები დამითომ დები ვერ ერკვეოდა საერთოდ პიონერთა ამოცანებში.

რა თქმა უნდა ეს ყველა უჯრედებზე არ ითქმის. ჩვენ რაიონში არის ისეთი უჯრედები, რომლებიც დაინტერესებული არიან პიონერთა შორის მუშაობაზე და სწორ ხელმძღვანელობასაც უწევენ მათ.

რაიბიურო სათანადო ყურადღებას აქცევდა კოლექტივების ხელმძღვანელთა კადრის შერჩევას და მომზადებას.

საანგარიშო პერიოდში ადგილი ჰქონდა ორგანიზაციის სწრაფი ტემპით ზრდას. მაგ. ქალაქის კონფერენციისათვის ორგანიზაციაში იყო 1.830 პიონერი, 887 ოქტომბრელი და 123 კომკავშირელი. ეხლა კი გვყავს 2.233 პიონერი, 1.127 ოქტომბრელი და 165 კომკავშირელი, ორგანიზაციაში 1.620 ვაჟია და 613 ქალი. ნაც. შემადგენლობა ასეთია: ქართველები—965 პიონერი, სომხები—665, რუსები—462 და თურქები—60.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ პიონერთა კოლექტივების ზრდა მიმდინარეობდა მუშების შვილების ხარჯზე. კოლექტივების რიცხვი რაიონში უდრის 42-ს.

კოლექტივების უმეტესობას მეტად ძნელ პირობებში უხდებათ მუშაობა; ზოგიერთ მათგანს არა აქვს ბინები, არა ჰყავს ხელმძღვანელები და სხვა. თვითეული კოლექტივი ცალკე ატარებს საზოგადო-სასარგებლო მუშაობას. ყველა კამპანიებში პიონერები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ.

ზაფხულის პერიოდში მოწყობილ იქნა ზასკაუტ გასვლა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 700 პიონერმა. ბანაკებში პიონერებს მოწყობილი ჰქონდა სხვადასხვა წრეები.

მათ ბინების სწორ ხელმძღვანელობას და ადგილებზე ცოცხალი კავშირის დაჭერას ხელს უშლიდა სხვადასხვა მიზეზები. მომავალში კოლექტივებზე ხელმძღვანელობის გაძლიერებას სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს.

ამავე სხდომაზე მოსმენილ იქნა სარევიზიო კომისიის მოხსენება.

საბჭოთა არჩევნებისათვის

ახლოვდება საბჭოთა საანგარიშო დაწყების ვადა, ზოგან კი არჩევნების მოსამზადებელი მუშაობა ჯერ კიდევ შესაფერისად არ გაშლილა.

საბჭოთა, საზოგადოებრივმა და კოოპერატიულმა ორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ მონაწილეობა მოსამზადებელ მუშაობაში.

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში

გუშინ, საქართველოს ცაკში შესდგა ცენტრალური საარჩევნო კომისიის სხდომა. დღის წესრიგის პირველ საკითხზე — ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ დღემდე ჩატარებულ მუშაობისა და ადგილებზე მოსამზადებელი მუშაობის მიმდინარეობის შესახებ მოსმენილ იქნა ამხ. ვარძიელის მოხსენება.

სხდომამ აღნიშნა ზოგიერთ მაზრების მოსამზადებელი მუშაობის დაგვიანება (ქუთაისი, სენაკი და სხვ.), ინფორმაციული ცნობების მიწოდების არა დამაკმაყოფილებლად დაყენება, როგორც თემებიდან და ქალაქებიდან მაზრებისადმი, აგრეთვე მაზრებიდან ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში და სხვადასხვა საზოგადოებრივი და კოოპერატიული ორგანიზაციების ადგილებზე სუსტი მონაწილეობა საარჩევნო კამპანიის მოსამზადებელ მუშაობაში.

ამავე სხდომამ დაადგინა აგრეთვე, რომ ქალაქებისა და თემსაბჭოების, სხვადასხვა ორგანიზაციების და წარმოებების შორის საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის უკეთ ჩატარების მიზნით შეჯიბრებისა და გამოძახების მოწყობა. ამისათვის გამოყოფილი იქნა ცალკე კომისია შემდეგი შემადგენლობით: ვ. ჯაფარიძე (თავმჯდომარე), ბერაძე, ანთიძე, ვ. კვირიკაშვილი და მირიმანოვი. კომისიას დაევალა შეჯიბრებისა და გამოძახების ჩასატარებლად სათანადო გეგმის შემუშავება.

საბჭოების არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად წარმოებებიდან გამოყოფილ მუშების გასანაწილებლად გამოიყო კომისია ამხ. ვარძიელის თავმჯდომარეობით.

სხდომამ განიხილა არჩევნებთან დაკავშირებული სხვა საკითხებიც.

პროფკავშირები—არჩევნების სამზადისში

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმი ჯერ კიდევ ნოემბერში შეუდგა საბჭოთა არჩევნებისათვის მოსამზადებელ მუშაობას. შედგენილ იქნა პროფკავშირების მონაწილეობის გეგმა საარჩევნო კამპანიაში და ამ გეგმის განხილვისა და დამტკიცების შემდეგ პრეზიდიუმი შეუდგა მის ცხოვრებაში გატარებას. ყველა პროფორგანიზაციებს დაეგზავნა ცირკულიარული წერილი პროფკავშირების არჩევნებში მონაწილეობის მნიშვნელობის შესახებ და ყველა კავშირებს წინადადება მიეცათ გააცხოველონ ამ მიმართულებით საგიტაციო კამპანია და გამოიყენონ ამ მიზნით მათ განკარგულებაში არსებული ყოველგვარი საშუალებანი (კლუბები, წითელი კუთხეები, კედლის გაზეთები და სხვ.).

საკითხი პროფკავშირების საბჭოთა არჩევნებში მონაწილეობის შესახებ დასმულ იქნა აგრეთვე საქ. პროფკავშირთა მეშვიდე ყრილობაზე, სადაც ამ საკითხის გამო მოხსენების მოსმენის შემდეგ, მიღებულ იქნა რეზოლუცია, რომელიც სახავს მთელ რიგ ღონისძიებებს პროფკავშირების მიერ მთელი მასების და განსაკუთრებით კი ქალების, ახალგაზრდობის, წარმოებაში ახლად ჩაბმული მუშების, სოფლის მეურნეობაში მომუშავე მუშების და მშრომელი ინტელიგენციის საარჩევნო კამპანიაში ჩასაბმელად.

გარდა ამისა, პროფსაბჭოს საორგანიზაციო განყოფილების მიერ მოწვეულ იქნა თბილისის პროფაქტივის კრება, სადაც მოისმინეს მოხსენება საბჭოთა გადარჩევის შესახებ. ამას თანავე ორჯერ შესდგა საორგანიზაციო თათბირი ამავე საკითხზე.

17 დეკემბრამდე ცალკე კავშირების მიერ ჩატარებულია შემდეგი სამუშაო: ყველა კავშირებმა მისცეს დირექტივა ადგილებს საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის შესახებ. იმ კავშირებმა, რომელთაც შეკავშირებული მასები ჰყავთ სოფლად, ჩაატარეს კონფერენციები, რომელზედაც ისმენდნენ მოხსენებებს არჩევნების მნიშვნელობის შესახებ და კავშირის წევრთა გამოყენების საკითხს შრომითი გლეხობის ჩასათრევად საარჩევნო კამპანიაში. მიწა-ტყის და განათლების კავშირის მიერ გამოიცა მოწოდებები ნაციონალურ უმცირესობათა ენებზე.

[illegible], ქიმიკოსთა, ხეზე-მომუშავეთა, მედსანშრომის, მუშაკთა და სხვა კავშირების მიერ მაზრებში დაიგზავნა კავშირის ცენტრ. გამგეობების პასუხისმგებელი მუშაკები ხსენებულ სამუშაოს საწარმოებლად ადგილებზე. დაგზავნილ ამხანაგებს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა პროფკავშირების [illegible] დაავალა მიიღონ აქტიური მონაწილეობა საბჭოების გადარჩევის მოსამზადებელ მუშაობაში.

ფაბქარხადგილკომები უკვე შეუდგნენ მუშა-მოსამსახურეთა სიების შედგენას. გამოირკვა, რომ ზოგიერთ კავშირების მიერ აღრიცხვაზე არ არის გატარებული უმუშევართა 50 პროც., ვინაიდან უკანასკნელები არ გამოცხადებულან.

პროფსაბჭოს საორგანიზაციო განყოფილებამ მისცა დირექტივა, რათა დაეგზავნოთ ინდივიდუალური უწყებები ყველა იმ უმუშევრებს, რომლებიც აღრიცხვაზე არ არიან გატარებული. რომ ამ გზით არც ერთი უმუშევარი არ დარჩეს აღრიცხვის გარეშე.

ამასთანავე ერთად მოსამზადებელ მუშაობას აწარმოებდა პროფსაბჭოს კულტგანყოფილება, მოწვეულ იქნა ცალკე კავშირების კულტგანყოფილებების გამგეების თათბირი, რომელზედაც მოსმენილ იქნა საინსტრუქციო მოხსენება პროფკავშირების კულტგანმანათლებელ ორგანიზაციების საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობის შესახებ.

კულტგანყოფილებებმა იწვიეს აგრეთვე ხელოვნების, სამკითხველოების და სხვ. მუშაკების თათბირები. რომლებზედაც [illegible] გეგმა დავალებანი, ჩამოყალიბებულ იქნა ლექტორების სპეციალური ჯგუფი. გამოცემული იქნა ცოცხალი გაზეთი ქართულ და რუსულ ენებზე.

თბილისში მიღებული დირექტივებს ასრულებენ პროფსაბჭოს მითითების თანახმად.

ყველა კავშირებმა მოიწვიეს აქტივის კრებები რომლებზედაც მოისმინებოდა საკითხი საარჩევნო კამპანიის შესახებ.

განათლების, მუშაკთა და მიწა-ტყის კავშირის მიერ მოწვეულია სარაიონო კრებები. მშენებელთა კავშირმა მოიწვია [illegible] გამგეობის და [illegible] გაფართოებული სხდომა. კლუბებში [illegible] პროფსაბჭოს კულტგანყოფილების მიერ გა[illegible] [illegible]. [illegible] 6 თით კლუბში გამართულია მოსაწყობად. რომელიც მიეძღვნება თბილისის საბჭოს მუშაობას.

როგორ მიმდინარეობს მოსამზადებელი მუშაობა

ოზურგეთის მაზრაში

ოზურგეთი

საბჭოთა არჩევნების წინასწარი სამზადისი დაიწყო 15 დეკემბრიდან. თემი დაყოფილია რამოდენიმე საარჩევნო უბნად და გამოყოფილია სათემო საარჩევნო კომისია 11 კაცისაგან შემდგარი.

მთელი საარჩევნო პერიოდი დაყოფილია სამ ნაწილად: 20 იანვრამდე არჩევნების წინასწარი სამზადისი, 20 იანვრიდან 25 თებერვლამდე საბჭოების საანგარიშო მოხსენება და ხმის უფლება წართმეულთა ე. წ. შავი სიების შედგენა, რის შემდეგ დაიწყება არჩევნები.

წინასწარ სამზადისში აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ ადგილობრივი პროფესიონალური, პარტიული, კომკავშირის და ქალთა ორგანიზაციები.

თემის საარჩევნო კომისია უშუალოდ დაკავშირებულია სამაზრო საარჩევნო კომისიასთან, რომელიც აწვდის მათ ყოველგვარ დირექტივებს.

21 დეკემბერს შესდგა თემსაბჭოს გაფართოებული თათბირი, სადაც განხილულ იქნა პრეზიდიუმის მიერ შემუშავებული გეგმა საბჭოთა მომავალ არჩევნების ჩასატარებელ ღონისძიებათა შესახებ. რომელიც უცვლელად იქნა დამტკიცებული.

საბჭოს არჩევნებთან დაკავშირებით მიმდინარეობს ღარიბთა ჯგუფების გამოკვლევა, რომელიც სამწუხაროდ ვერ არის სათანადო დონეზე დამდგარი, რაც უნდა მიეწეროს სამაზრო ორგანოების სუსტ ხელმძღვანელობას.

კულაკების გამოსვლას ადგილი არ აქვს, რაც უნდა აიხსნას იმ მდგომარეობით, რომ ღარიბები და საშუალო შეძლების გლეხობა ფხიზლად სდგას თავის სადარაჯოზე.

საერთოდ ადგილობრივი კულტ. აქტივი სრული 100 პროცენტით ჩაბმულია მუშაობაში, რაც აუცილებლად ხელს შეუწყობს არჩევნების ნაყოფიერად ჩატარებას.

ტ. აცანელი.

კახეთის მაზრაში

წინასწარი სამზადისი

(წერილი გურჯაანიდან)

გურჯაანის თემში მოსამზადებელი მუშაობა არჩევნებისათვის უკვე დაწყებულია. გამოყოფილია სათემო საარჩევნო კომისია 11 წევრის შემადგენლობით. ამჟამად მოსახლეობის აღწერა უკვე დამთავრდა. სათემო კომისიის მიერ სხვადასხვა ორგანიზაციებს მიეცათ სათანადო დირექტივები.

25 დეკემბერს მოწვეულია ქ. გურჯაანში მოჯამაგირეთა სათემო კონფერენცია, რომელზედაც დაისმება მოხსენება საბჭოთა არჩევნების საკითხზე და მის პოლიტიკურ მნიშვნელობაზე. ამავე მიზნით მოწვეულ იქნება აგრეთვე გურჯაანში მუშა-მოსამსახურეთა გაერთიანებული კრება.

ს. დ—შვილი.

შორაპნის მაზრაში

(ხარაგოულის თემი)

სამზადისი საბჭოთა არჩევნებისათვის დაიწყო 1-ლ დეკემბრიდან. ამ რიცხვში შესდგა თემ-საბჭოს სხდომა. საბჭოს წევრებს დაევალათ საანგარიშო მოხსენებებისათვის მომზადება. საბჭომ გამოყო საარჩევნო კომისია 11 კაცის შემადგენლობით. სადაც დაცულია არამომადგენლობითი სისტემა. თემი დაყოფილია 24 საარჩევნო უბნად. შედარებით წარსულზე საარჩევნო უბნები გადიდებულია თითქმის ერთი-ორად, რაც აადვილებს ამომრჩეველების მონაწილეობას საბჭოთა არჩევნებში.

საარჩევნო კომისიამ მოიწვია თემის კულტურული ძალები (მასწავლებლები) თათბირი, სადაც იდგა საკითხი ამომრჩეველთა სიის შედგენაზე. თვითეული მათგანი მიმაგრებულია განსაკუთრებულ საარჩევნო უბანზე ამომრჩეველთა აღსარიცხავად, რაც დამთავრებულია და საარჩევნო უფლება აღკვეთილთა სიები შედგენილია.

18 დეკემბერს მოწვეულ იქნა თემის პარტ. და კომკავშირის აქტივის გაერთიანებული კრება, სადაც დასმული იყო საკითხი საბჭოთა არჩევნების შესახებ. მთავარი ყურადღება ექცეოდა საარჩევნო ინსტრუქციის ფართოდ განხილვას, არჩევნებს ირგვლივ გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს საბჭოთა დაწესებულებებში.

სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ ინტელიგენციის ერთი ნაწილი გულგრილად ეკიდება საბჭოთა არჩევნებს.

აი ამისი ერთი მაგალითიც: განათლების კავშირის სათემო ადგილკომმა მოიწვია განათლების კავშირის წევრების საერთო კრება, სადაც სხვა საკითხებს შორის ცენტრალური ადგილი ეჭირა საბჭოთა არჩევნებში მასწავლებლობის მონაწილეობის მიღებას. მასწავლებლების უმრავლესობა აღფრთოვანებით შეხვდა ამ საერთო მნიშვნელობის საკითხს, ზოგიერთმა კი გამოამჟღავნა თავისი ანტი-საბჭოთა განწყობილება და უარი განაცხადეს იმ დავალებების შესრულებაზე, რაც მასწავლებლობას ეკისრება მომავალ არჩევნებში, მათი ასეთი მოქმედება უნდა ჩაითვალოს ანტი-საბჭოთა მოძრაობის ჩანასახათ, რასაც ბრძოლა უნდა გამოეცხადოს.

შ. კიკნაძე.

ანანაურის, მლეთის და ფასანაურის თემებში

(თბ. აღმასკომის საინფორმაციო ნაწილის ცნობებით)

ანანაურის, მლეთის და ფასანაურის თემებში მოსამზადებელი მუშაობა დაიწყო ა. წ. 1 დეკემბერს. უპირველეს ყოვლისა, თანახმად ინსტრუქციისა, გამოყოფილ იქნა საარჩევნო კომისია 9 კაცის შემადგენლობით, კომისიაში შედიან სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები. თემებში საარჩევნო კამპანიის ჩატარებისათვის შედგენილია სამუშაო კალენდარული გეგმა, რომელიც დაყოფილია სამ პერიოდად. სამივე თემი დაყოფილია 46 საანგარიშო-საარჩევნო პუნქტად (გასულ წელს—33). შემდეგ ჩატარებულ იქნა თათბირები, როგორც საარჩევნო კომისიის წევრების, ისე სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად. თათბირზე აღინიშნა დღევანდელი არჩევნების პოლიტიკური მნიშვნელობა და წარსული არჩევნების დროს დაშვებული ზოგიერთი შეცდომები. აღსანიშნავია, რომ წლევანდელი საარჩევნო კომისიის წევრები უფრო აქტიურები არიან არჩევნებში, ვინემ წარსულში, იმ მიზნით, რომ არჩევნები წარმატებით და სასურველად ჩატარდეს, თემის მომუშავეებიდან უბნებზე მიმაგრებულნი არიან თითო-ოროლა პასუხისმგებელი პირები, გარდა ამისა ყველა საარჩევნო უბანში გამოყოფილია საბჭოს წევრი ანგარიშის ჩასაბარებლად.

რაც შეეხება საარჩევნო ხმა მოკლებულთა აღრიცხვას, აქ უმთავრესად ხელმძღვანელობენ ძველი შავი სიებით.

სამივე თემში ამომრჩეველთა რაოდენობა ახალი აღწერით აღმოჩნდა 14.680, საარჩევნო ხმის უფლება მოკლებულია 393.

სამკითხველოების მუშაობა, რომელიც დაკავშირებული უნდა იყოს ახალ საბჭოების არჩევნებთან, სუსტად მიმდინარეობს. არაა გამოცემული კედლის გაზეთები, არ ტარდება სამკითხველოებში საუბრები, ახსნა-განმარტება და სხვა.

ვ.

თათბირი მეაბრეშუმეობის საკითხებზე

მეორე დღე

მეაბრეშუმეობის განვითარების 5 წლ. გეგმა

(კამათი ამხ. ხოშფერიას მოხსენების გარშემო)

27 დეკემბრის საღამოს და 28 დეკემბრის დილის სხდომაზე სწარმოებდა აზრთა გაცვლა-გამოცვლა საგეგმო კომისიის მიერ შემუშავებულ მეაბრეშუმეობის განვითარების ხუთწლიან გეგმის გარშემო.

კამათში გამოსული ამხანაგების დიდმა უმრავლესობამ გაიზიარა მომხსენებლის მიერ წამოყენებული ზოგადი დებულებები მეაბრეშუმეობის განვითარების შესახებ, როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, მეაბრეშუმეობის წარმატების მთავარი შემაფერხებელი გარემოება არის თუთის ხეების განსაზღვრული რაოდენობა, რომელიც საშუალებას იძლევა ხუთწლიანი პერიოდის დასასრულს დასაგებელ თესლის რაოდენობა აყვანილი იქნეს მხოლოდ 119.000 კოლოფამდე. მაზრების წარმომადგენელთა აზრით,—მეაბრეშუმეობის განვითარების შესაძლებლობა თუთის ხეების არსებული რაოდენობის მიხედვით, ყველგან ერთგვარი არ არის. მეაბრეშუმეობის ზოგიერთ რაიონებში თუთის ხეები სავსებით ხმარდება საჭიროებას, ზოგან კი თუთის ხეების უმნიშვნელო რაოდენობა არის გამოყენებული. გეგმაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ რაიონებს, სადაც თუთის ხეების რიცხვი საკმაოა, ხოლო მეაბრეშუმეობა კი გავრცელებული არ არის.

მეაბრეშუმეობის განვითარების ერთ-ერთ დამაბრკოლებელ მიზეზად ზოგი მაზრის წარმომადგენელი ასახელებს დაბალ ფასებს აბრეშუმის პარკზე. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში სურსათ-სანოვაგის და სხვა სასოფლო სამეურნეო პროდუქტების ფასებმა წინ გაუსწრო აბრეშუმის პარკის ფასს. ასეთ პირობებში მეაბრეშუმეობა კარგავს რენტაბელობას, რაც გლეხს აიძულებს ხელი აიღოს ამ მეურნეობაზე. ზოგიერთი ამხანაგი წინადადებას იძლევა, რომ ყოველწლიურად მატულობდეს აბრეშუმის პარკის ფასი, თათბირის მონაწილეთა უმრავლესობა გადაჭრით ეწინააღმდეგება ამ წინადადებას. მათი აზრით 2—3 მანეთით ფასის გადიდება თვითეულ ფუთ პარკზე, გლეხს მაინც და მაინც ვერაფერს შემატებს. გეგმა უნდა ითვალისწინებდეს არა ფასების მომატებას, არამედ ღონისძიებებს აბრეშუმის მოსავლიანობის გასადიდებლად. თუ ამჟამად ერთი კოლოფი იძლევა საშუალოდ ფუთ-ნახევარ პარკს, ხუთი წლის ბოლოს, უნდა მივაღწიოთ იმას, რომ თვითეული კოლოფი იძლეოდეს ორ ფუთ ნახევარს; პარკის გამოსავლიანობის ამ პროპორციით ზრდა, თითქმის გააორკეცებს გლეხის ფულად შემოსავალს. შემდეგ ორატორები ეხებიან იმ ღონისძიებებს, რომელთა გატარებასაც უნდა მოყვეს პარკის მოსავლიანობის გადიდება. ამ საკითხშიდაც ისინი იზიარებენ მომხსენებლის დებულებას. პირველ ყოვლისა, ყურადღება უნდა მიექცეს თესლის ხარისხის გაუმჯობესებას. ამ მიზნით უნდა მოეწყოს საგრენაჟო სადგურები, გეგმით გათვალისწინებულია ასეთი სადგურების მოწყობა თელავის, ზუგდიდის მაზრებსა და აფხაზეთში.

თათბირზე დიდი შეხლა-შემოხლა გამოიწვია საკითხმა, თუ პირველ რიგში სად უნდა მოეწყოს საგრენაჟო სადგური: კახეთში, თუ ზუგდიდის მაზრაში. მეაბრეშუმეობის განვითარების მხრივ ზუგდიდს საქართველოს მაზრებს შორის უჭირავს მეორე-მესამე ადგილი, საკუთარი საგრენაჟო სადგური კი მას არ მოეპოვება. აუცილებლად პირველ რიგში უნდა მოეწყოს სადგური ზუგდიდში,—ამტკიცებდა ორატორთა ერთი რიგი, მეორენი იცავდნენ სადგურის აგების საჭიროებას ყოფ. თელავის მაზრაში, სადაც დღეს მეაბრეშუმეობის განვითარება ჩამორჩენილია, მაგრამ მეურნეობის ამ დარგს აქვს დიდი პერსპექტივები, ამავე დროს კახეთი დაშორებულია საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში არსებულ საგრენაჟო სადგურებს, აბრეშუმის თესლი შორეულ მანძილზე გატანას ვერ იტანს, მეაბრეშუმეობის წახალისებლად აუცილებლად უნდა მოეწყოს საგრენაჟო სადგური თელავის მაზრაში, სადაც ამჟამად არსებობს თუთის ხეების საკმაო რაოდენობა და ამავე დროს მოსახლეობაშიაც გაღვიძებულია მეურნეობის ამ დარგის შემოღების სურვილი.

შემდეგ, ორატორები შეეხნენ აგრო-კულტურულ მუშაობას, რომელიც მათი გადმოცემით, ამ უკანასკნელ წლებში შესამჩნევად გაუმჯობესდა, მაგრამ დასახული გეგმის განხორციელებლად საჭიროა ამ მუშაობის კიდევ უფრო გაძლიერება; მეაბრეშუმეობის დარგში მომუშავე მუდმივ აგრონომთა რიცხვის გადიდება 20-მდე, საკმაო იქნება იმ შემთხვევაში, თუ აგრო-კულტურულ მუშაობაში გარდა ამ სპეციალისტ-აგრონომთა, ჩაბმული იქნებიან სასოფლო მეურნეობის სხვა დარგებში მომუშავე აგრონომები. ორატორები იწონებენ მომხსენებლის მიერ დასახელებულ ღონისძიებებს აბრეშუმის ჭიის მოვლის ტექნიკის გასაუმჯობესებლად ნაკლები მოსავლიანობის ერთ-ერთ მიზეზს, მათი აზრით, წარმოადგენს ის გარემოება, რომ გლეხობამ არ იცის ჭიის მოვლა და არ მოეპოვება სპეციალური შენობები ჭიის გასაშენებლად; საჩვენებელ საინკუბატორო კამერების მოწყობა ხელს შეუწყობს მოსახლეობაში ჭიის მოვლის კულტურის გავრცელებას, ამავე დროს მიღებული უნდა იქნეს ზომები სპეციალური შენობის ტიპის შესამუშავებლად. მიზანშეწონილი იქნება ისეთი შენობის მოწყობა, რომელიც ერთის მხრივ, იაფი დაჯდება და მეორეს მხრივ გლეხისათვის გამოსადეგი იქნება სხვა საჭიროებისათვისაც. ორატორები ეხებიან აგრეთვე სხვადასხვა კოოპერატიული ორგანიზაციების მონაწილეობას მეაბრეშუმეობის განვითარებაში. ზოგიერთს წარმოდგენილი გეგმის პროექტის ნაკლად მიაჩნიათ ის, რომ იგი არ ითვალისწინებს ამ ორგანიზაციების როლს მეაბრეშუმეობის განვითარებაში.

ორატორები შეჩერდენ აგრეთვე სხვა წვრილმან საკითხებზე, როგორიც არის მაგ. აბრეშუმის თესლის დარიგების მოწესრიგება, თესლის რაციონალური გამოყენება და სხვ. ხშირად გლეხობას მიაქვს იმაზე მეტი თესლი, ვიდრე მოყვანა შეუძლია. თესლი ფუჭდება და უნაყოფოთ იკარგება. თუთის ხეების პლანტაციის გაშენებისათვის ზოგიერთი ამხანაგები საჭიროდ სცნობენ, რომ გლეხობას არა მარტო უფასოდ დაურიგდეს ნერგები, არამედ მიეცეს კრედიტი სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებიდან. ორატორები ერთხმად მოითხოვენ აგრეთვე, რომ მეაბრეშუმეობის რაიონში გაძლიერდეს სიმინდის, ხორბლის და აგრეთვე მანუფაქტურის მიწოდება, სურსათი და ფაბრიკატები გლეხობას უნდა დაურიგდეს შეღავათიან ფასებში.

კამათში მონაწილეობა მიიღეს შემდეგმა ამხანაგებმა: გაბუნიამ, ოვანეზოვმა, ალშიბაიამ, ცომაიამ, გურგენიძემ, მანჯგალაძემ, პეტრო სიაშამ, აფციაურმა, ნაფეტვარიძემ, ს. ჯულელმა, ჩხეიძემ, მაჭავარიანმა, ცქიტიშვილმა.

დასასრულ რეზოლუციის შესამუშავებლად არჩეულ იქნა კომისია

28 დეკემბრის საღამოს სხდომაზე თათბირმა მოისმინა „საქართველოს აბრეშუმი"-ს წარმომადგენლის მოხსენება მეაბრეშუმეობის საოპერაციო გეგმის შესახებ 1928—29 წლისათვის, მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის წარმომადგენლის მოხსენება ამავე საკითხზე და თბილისის ცენტრალური საცდელი სადგურის თანამოხსენება.

მეაბრეშუმეობის საოპერაციო გეგმა 1928-29 წლისათვის

(მომხსენებელი ამ ხ. მანჯგალაძე)

„საქართველოს აბრეშუმი" 1928—29 წლისათვის მიზნად ისახავს გაადიდოს აბრეშუმის მოსავალი, მას გამომუშავებული აქვს ღონისძიებები, როგორც კაპიტალური მშენებლობის, ისე აგროკულტურული მუშაობის გასაფართოებლად და გასაძლიერებლად. თუ გასულ წელს „საქართველოს აბრეშუმს" დარიგებული ჰქონდა 86.235 კოლოფი, ხოლო დამზადა 146.900 ფუთზე მეტი აბრეშუმის პარკი, 1928—29 წლის გეგმით განზრახულია დარიგდეს 100 ათასი კოლოფი, რომელიც მოგვცემს 180 ათას ფუთამდე პარკის მოსავალს, აქედან ტრესტის მიერ დამზადებული იქნება 155 ათას ფუთამდე. საშუალოდ მთელს საქართველოში ნავარაუდევია თვითეულ კოლოფზე მოყვანილი იქნეს ერთი ფუთი და 37 გირვანქა პარკი, რაც გასულ წელთან შედარებით ერთ გირვანქა ზრდას შეადგენს. რა ღონისძიებების გატარებას ფიქრობს მიმდინარე წლისათვის აბრეშუმის ტრესტი მეაბრეშუმეობის მოსავლიანობის გასადიდებლად?

პირველ ყოვლისა ტრესტს გადაწყვეტილი აქვს გაადიდოს თუთის ფოთლის მარაგი, ჩვენში მეაბრეშუმეობის ნორმალური ზრდა შეუძლებელია, თუ თუთის ფოთლის მარაგი დროზე არ იქნა გადიდებული, თუნდაც იმ დონემდე, რომ 1929 წლიდან შესაძლებელი გახდეს ყოველწლიურად ორი მილიონი ძირი ორ-სამ წლიანი ნერგის დარიგება, რისთვისაც გადაწყვეტილია წელსავე სანერგეების ფართობი აყვანილ იქნეს 154 დესეტინამდე, თუთის ხეების გაშენებაზე ნავარაუდევია 214 ათასი მანეთის დახარჯვა. მეორე ღონისძიებას მეაბრეშუმეობის ნორმალურ კალაპოტში ჩასაყენებლად წარმოადგენს ინსტრუქტორულ მუშაობის გაძლიერება. გეგმით განზრახულია ინსტრუქტორთა და აგრონომთა შტატი გადიდებულ იქნეს 47 კაცამდე. ამავე დროს დიდდება სეზონობით მომუშავე ინსტრუქტორები 150 კაცამდე. საინსტრუქტორო მუშაობაზე ნავარაუდევია წელს 95 ათასი მანეთის დახარჯვა. შარშან მოსავლიანობის გადიდებას ხელი შეუწყო ინკუბაციის წესით გამოყვანილ ჭიების დარიგებამ. შარშან დარიგებულ იქნა 6.600 კოლოფი, თვითეულმა კოლოფმა მოგვცა 42,1 კილოგრამი საშუალო მოსავალი იმ დროს, როდესაც სესხის სახით დარიგებულ კოლოფებზე მოსავალი 29 კილოგრამს არ აღემატებოდა, გეგმით გათვალისწინებულია 1929 წელს დარიგებული იქნეს 45 ათასი კოლოფი ინკუბაციაქმნილი მორი, ამ საქმეზე ნავარაუდევია დაიხარჯოს 60 ათასი მანეთი.

ინკუბაციის შემოღება საჭიროდ ხდის მაზრებში საინკუბაციო კურსების მოწყობას. ამ საქმეს ესაჭიროება ათი ათასი მანეთი პერსპექტიულ გეგმით გადასამზადებელი კურსების მოწყობა ნაგულისხმევია პერიოდულად ორ წელიწადში ერთხელ. ასეთი კურსების მსმენელად მოწვეულ იქნებიან საქართველოს აბრეშუმის თანამშრომლები, კურსების ორგანიზაციას დასჭირდება 5 ათასი მანეთი.

გარდა ამისა, განზრახულია წელს მოეწყოს ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით საჩვენებელი კვება მეაბრეშუმეთა ოჯახებში, სკოლებში და კოლექტივებში. ხარჯები შეადგენს 10 ათას მანეთს. გადაწყვეტილია აგრეთვე ტრესტის ხარჯზე ჩატარებულ იქნეს საჭიე ოთახების დეზინფექცია. რისთვისაც გადადებულია 10 ათ. მ. მომავალი წლიდან ზოგიერთ მეაბრეშუმეთა ოჯახებში ეწყობა სხვადასხვა ჯიშების სანიმუშო გამოკვება და დაკვირვებები ამა თუ იმ ჯიშის სხვადასხვა პირობებთან შეგუების უნარიანობაზე. ამ საქმისათვის ნავარაუდევია 4 ათასი მანეთის დახარჯვა დაწესებულია აგრეთვე პრემიები უკეთეს ხარისხის—და უმაღლესი მოსავლიანობის მიღებისა და თუთის ხის საუკეთესო მოვლა-მოშენებისათვის. საპრემიო ხარჯი ნავარაუდევია 5 ათასი მანეთის რაოდენობით. ჭიების სათანადოთ მოვლისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს შესაფერ შენობებს, ტრესტი ფიქრობს საჭიე შენობების ტიპების გამომუშავებას ჩვენი ქვეყნის ცალკე რაიონების პირობების მიხედვით. მას განზრახული აქვს საქართველოს მაზრებში, ყველა რაიონებში აგოს ორ-ორი, ან სამ-სამი საჩვენებელი ტიპიური ფაცხები, მოდელი უკვე შემუშავებულია, სულ განზრახულია აიგოს 20-დე ფაცხა, ამისათვის ნავარაუდევია 20 ათასი მანეთი.

ტემპერატურის რეგულიაციას ჭიის გამოყვანისა და კვების დროს ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს. მეაბრეშუმეებს ჩვენ საშუალება უნდა მივსცეთ დაიცვან სათანადო ტემპერატურა საჭიე ოთახებში. ამ მიზნით განზრახულია დაურიგოთ თერმომეტრები პირველ ხანებში იმ რაიონის მეაბრეშუმეებს, სადაც ტემპერატურის რყევადობას ხშირად აქვს ადგილი. ამ საქმისთვის განზრახულია 25 ათასი ტერმომეტრის დარიგება, აქედან 12 ათასი უკვე შეძენილია, დანარჩენი შეძენილი იქნება სეზონის დამდეგისათვის. სულ აგრო-კულტურულ მუშაობისათვის ნავარაუდევია 518 ათასი მანეთის დახარჯვა.

შემდეგ მომხსენებელი აცნობს თათბირს კაპიტალური მშენებლობის გეგმას და ფინანსიურ გეგმას.

* * *

ამავე სხდომაზე მოკლე თანამოხსენებით გამოვიდა მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის წარმომადგენელი ამხ. ნიჟარაძე.

დასასრულ თათბირს საცდელი სადგურის მუშაობა მოკლედ გააცნო ამავე სადგურის სპეციალისტმა ამხ. ივანოვმა.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ - კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისია აუწყებს პარტიის იმ კანდიდატებს, რომელთაც შემოწმების დროს მიესაჯა(ო) პარტსასჯელი, რომ

აპელიაცია რესპუბლიკათა ცენტრალურ საკონტროლო კომისიების დადგენილებებზე

ა.-კ. საოლქო საკონტროლო კომისიაში მიიღება 1929 წლის 15 იანვრამდე

ამ ვადის შემდეგ შემოტანილი განცხადებები უშედეგოდ დარჩება.

ს. კ. პ. (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო საკონტროლო კომისიის პარტკოლეგია.

ვებრძოლოთ უთავბოლო მუშაობას

თბილისის დამზღვევმა სალარომ საბუთების შეუმოწმებლივ დააზღვია ცნობილი მევახშე ს. კაკაროვი.—რკ.-გზის საავადმყოფოს აფთიაქის თანამშრომელმა მოქ. აგანჯანოვმა ბოროტად გამოიყენა ავადმყოფობის გამო მიღებული შვებულება.—გავაძლიეროთ საამქრო ბიუროების მუშაობა.

საამქრო ბიუროების შესახებ

საამქრო ბიუროების არსებობამ დიდი ნაყოფი მოიტანა, როგორც პროფკავშირის მუშაობის, ისე წარმოებისათვის. ამ ბიუროების საშუალებით მუშათა ფართო მასა ჩაება პროფესიონალურ მუშაობაში და გაცხოველდა საერთოდ მასიური მუშაობა საწარმოებში. ეს ამტკიცებს იმას, რომ საამქრო ბიუროების ჩამოყალიბება საწარმოებში აუცილებელი და მიზანშეწონილი იყო.

მაგრამ თუ გავეცნობით საფუძვლიანად საამქრო ბიუროების საქმიანობას, ვნახავთ რომ ყველგან არ არის სათანადო დონეზე დაყენებული საქმე. ბევრ საწარმოებში საამქრო ბიუროებს ჯერ კიდევ არ ესმით თავიანთი მოვალეობა. ჯერ კიდევ არ იციან რა უნდა გააკეთონ მათ, რა საკითხები უნდა გაარჩიონ თავიანთ სხდომებზე. გარდა ამისა ბევრ ადგილას საამქრო ბიუროები, მიუხედავად იმისა, რომ ბიუროს წევრები აქტიური მუშები არიან და აინტერესებთ მათ მუშაობა, მაინც ვერ მუშაობენ ნაყოფიერად, რადგან არც ერთი დღე არა აქვთ თავისუფალი. ასეა მაგალითად: ბ. ტრესტის ბევრ საწარმოში და ლითონტრესტის ქარხნებშიც. საამქრო ბიუროებში უნდა შედიოდნენ რაც შეიძლება თავისუფალი ამხანაგები, რომ შეეძლოთ საამქრო ბიუროს მუშაობის გაცხოველება და ამ მუშაობაში ფართო მასების ჩაბმა. დღემდე ამ საკითხს ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ ადგილობრივი პროფუჯრედები.

უნდა ითქვას აგრეთვე ისიც, რომ საამქრო ბიუროები ხშირად ვერ აქცევენ სათანადო ყურადღებას მუშა გამომგონებლებს და ვერ უწევენ მათ სათანადო დახმარებას. ამას ზოგიერთები იმით ხსნიან, რომ საწარმოებში არსებობს საწ. კომისია, რომელიც მოვალეა მუშა გამომგონს მიაქციოს მეტი ყურადღება. მართალია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საამქრო ბიურო არ ჩაერიოს მუშა გამომგონებლების დახმარების საქმეში. პირიქით, საამქრო ბიუროებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ მუშების წინადადებების განხილვაში და ყოველგვარი დახმარება უნდა გაუწიონ მუშა-გამომგონებლებს თავისი წინადადებების განხორციელებაში. ამით, საამქრო ბიურო დიდ დახმარებას გაუწევს საწარმოო თათბირების მუშაობას და ხელს შეუწყობს მუშა გამომგონებლების ქსელის გაფართოებას.

ადგილობრივმა პროფორგანიზაციებმა უნდა გააძლიერონ ხელმძღვანელობა საამქრო ბიუროებზე და მიიღონ ზომები მათი მუშაობის გასაცხოველებლად.

პროფმუშაკი.

ვებრძოლოთ უბილეთო მოგზაურობას

მიმდინარე წლის ნოემბრიდან ა. კ. რკინის გზებზე გამგეობის განკარგულებით მოიხსნა მატარებლების რევიზორები და სამარშრუტო და საბარგო მატარებლებზე უბილეთო მოგზაურობის წინააღმდეგ მებრძოლი რაზმი. მატარებლების რევიზორების გაუქმების გამო გზათა სამმართველომ დაავალა ყველა უფროს აგენტებს, დაწყებულ მესამე კლასის სადგურის უფროსიდან ზევით, რომ თვითეულმა მათგანმა უნდა გასინჯონ მატარებელი თვის განმავლობაში არა ნაკლებ სამჯერ. რის შესახებაც ისინი ვალდებულნი არიან წერილობითი მოხსენებები წარმოუდგინონ მოძრაობის დარგს.

რაც შეეხება სამარშრუტო და საბარგო მატარებლებს, ამის შესახებ არაფერია ნათქვამი, და არც არავინ იცის ვინ უნდა აწარმოოს ამ მატარებლებზე უბილეთო მგზავრების წინააღმდეგ ბრძოლა. ისე რომ სამარშრუტო და საბარგო მატარებლები გამიჯნულია მარტო მემანქანეთა ბრიგადების ანაბარად, რომელთაც არავითარი ძალა არ შესწევთ უბილეთობასთან ბრძოლისათვის. მატარებლები დადიან სავსე უბილეთო მგზავრებით და შესაძლებელია ამას მოჰყვეს უბედურებაც. გამგეობის განკარგულებაც, სახალხო მატარებლების გასინჯვის შესახებ, არ სრულდება პირნათლად. კახეთის ხაზზე მომუშავე ერთი პასუხისმგებელი ამხანაგი, თავის მოხსენებაში ამბობს, რომ „ოქტომბრის განმავლობაში ჩემს მიერ კახეთის ხაზზე იქნა გასინჯული სხვადასხვა დროს სამი მატარებელი. უბილეთო მგზავრები არ აღმოჩნდნენ“-ო. ყველაფერი დასაშვებია. მაგრამ კახეთის ხაზზე, რომ მატარებელში უბილეთო მგზავრები მოისპოს, ეს რაღაც დაუჯერებელია.

უბილეთო მგზავრობას როგორც კახეთის ხაზზე, ისე სხვა ხაზზეც, ისევ აქვს ადგილი და გაცილებით უფრო მეტი, ვიდრე იყო მანამდე. უფროსი აგენტები, რომლებთაც დავალებული აქვთ უბილეთო მგზავრებთან ბრძოლა, ან სრულებით არ ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას, ან და ძალიან გულგრილად ეპყრობიან ამ საქმეს. ამით კი რკინის გზა საკმაოდ დიდ თანხებს კარგავს—როგორც მატერიალურად, ისე შრომის დისციპლინის დარღვევითაც. ამ გარემოებას გზების გამგეობამ უნდა მიაქციოს სათანადო ყურადღება და გამონახოს უფრო რეალური ძალა უბილეთო მგზავრებთან საბრძოლველად.

ბეჟნეველი.

პროტექციონიზმი თუ უთავბოლო მუშაობა

უყურადღებობასა და უთავბოლობას, თბილისის დამზღვევ სალაროში ბოლო არ ელება. ამ უთავბოლო მუშაობით სარგებლობენ ზოგიერთი ბოროტმოქმედები და შეცდომაში შეჰყავთ როგორც თვით დამზღვევი სალარო, ისე სხვა ორგანოებიც. აი ამის მაგალითი:

მოქ. სოლომონ კაკაროვს, საბინაო სასამართლოში ჰქონდა საქმე. მან იცოდა, რომ მუშურ-გლეხური სასამართლო დიდ შეღავათებს აძლევს მშრომელ ელემენტებს და უმსუბუქებს მათ ყოველგვარ საქმეს. ამიტომ მოქ. კაკაროვმაც გადასწყვიტა როგორმე თავისი თავი მშრომელად გაესაღებინა; მივიდა იგი დამზღვევ სალაროში და განაცხადა, რომ ის არის ხევის ქუჩაზე მდებარე № 2-სახლის გამგე, რისთვისაც მოითხოვა დაზღვევა, როგორც დაქირავებული მომუშავე.

დამზღვევმა სალარომ დაუჯერა კაკაროვის განცხადებას და გამოუძიებლივ დააზღვია იგი. დამზღვევ სალაროს ამ შეცდომას მოჰყვა პროფკავშირის შეცდომაც; დამზღვევ სალაროს წიგნაკით მან შესძლო პროფკავშირის წევრად გახდომა და თავისი თავის მშრომელ ელემენტად გასაღება. მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა მისი პროფკავშირში ყოფნა, შემოსულ განცხადებების მიხედვით, კავშირმა მოახდინა კვლევა-ძიება, რომლითაც აღმოჩნდა, რომ მოქ. კაკაროვი არასდროს არ ყოფილა საბჭოთა მოსამსახურე.

ამჟამად კაკაროვი გარიცხულია პროფკავშირიდან, მაგრამ ეს არ არის მთავარი საკითხი. მთავარი აქ არის ის თუ როგორ და რა საშუალებით შესძლო მოქ. კაკაროვმა დაეზღვევა თავისი თავი. რატომ არ გამოიკვლია დამზღვევმა სალარომ კაკაროვის განცხადების სინამდვილე და რატომ არ შეამოწმა იგი? ვფიქრობთ აქ ან პროტექციას აქვს ადგილი, ან კიდევ უთავბოლო და უყურადღებო მუშაობას. სათანადო ორგანომ უნდა გამოიკვლიოს ეს საქმე.

მცოდნე.

ბოროტმოქმედება მიჩქმალულია

(რკ. გზის დამზღვევ სალაროს საყურადღებოდ)

რკინის გზის საავადმყოფოს აფთიაქში მსახურობს ვინმე აგანჯანოვი, რომელმაც მიმდინარე წლის პირველ აგვისტოს მიიღო ორკვირის შვებულება. 15 აგვისტოდან 12 სექტემბრამდე კი ის განთავისუფლა დამზღვევმა სალარომ დასასვენებლად. რით ხელმძღვანელობდა დამზღვევი სალარო, როცა სრულიად ჯანსაღ თანამშრომელს აძლევდა შვებულებას არ ვიცით, მაგრამ, რომ ხშირად დასუსტებულ და ნამდვილ ავადმყოფს არ აძლევენ ერთი თვის შვებულებას, ეს კი ყველასათვის ცხადია.

დასასვენებლად განთავისუფლებული მოქ. აგანჯანოვი პირობით შეეკრა სამხედროებას, რომ ის მიიღებს ერთი წლით თავის თავზე ახალციხის მაზრაში ხერთვისის აფთიაქის გამგეობას. ხელშეკრულების დადების შემდეგ მიიღო სამგზავრო და ზოგიერთ ხარჯებისათვის 300 მანეთი და გაემგზავრა ხერთვისის აფთიაქის მმართველის მოვალეობის ჩასაბარებლად.

აფთიაქში მან დაჰყო 10 სექტემბრამდე, შემდეგ კი სამხედროების გაუფრთხილებლად დატოვა აფთიაქი და 13 სექტემბრიდან დაიწყო რკინის გზის საავადმყოფოს აფთიაქში მუშაობა. ამგვარად მოქ. აგანჯანოვმა ჩაიდინა რამოდენიმე ბოროტმოქმედება; მან დამზღვევი სალაროს მიერ ავადმყოფობის გამო მიცემული შვებულების დროს იმუშავა ხერთვისის აფთიაქში და აიღო ზედმეტი ჯილდო. მოატყუილა სამხედროება და ერთი წლის მაგიერ იმუშავა ერთი თვე. შემდეგ კი სოფლის გლეხკაცობა დასტოვა უაფთიაქოთ, რამაც დიდი არევ-დარევა გამოიწვია გლეხობაში, ყველა ამისათვის მოქ. აგანჯანოვი პასუხისგებაში უნდა ყოფილიყო მიცემული. მაგრამ ალბად ნათლი მამობით სამხედროებაში საქმე მიიჩქმალა.

საჭიროა მუშათა და გლეხთა ინსპექციამ გამოარკვიოს ეს საქმე და დამნაშავეს მოსთხოვოს სათანადო პასუხი.

საქმის მცოდნე.

ნაგავი პურში

პურის წესიერად გამოცხობას დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ჯანმრთელობისათვის. ცუდათ გამომცხვარი და გამოუშრობელი პური იწვევს კუჭის დაავადმყოფებას. ამიტომ ფქვილის გაცრას უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს. განსაკუთრებით ეს წესი უნდა მიიჩქიოს განსაკუთრებით ის წესი ცხობებმა, მაგრამ ასე არ ხდება. ხშირია შემთხვევა, როცა კოოპერატივები, ცომ-პურთან ერთად მომხმარებლებს აწვდიან მეტად უსუფთაო და გამოუცრელ ფქვილისაგან გამომცხვარ პურსაც. აი ამის მაგალითი: იურიევის ქუჩაზე სახლი № 5-ში მოთავსებულია „ზაკტპო“-ს პურის დუქანი № 48. აღნიშნულ დუქანში 26 დეკემბერს ერთმა მუშამ იყიდა პური, რომელშიაც აღმოჩნდა ძალზე ჭუჭყიანი ტომრის ნაგლეჯი, რაც ნიშნავს იმას, რომ „ზაკტპო“-ს პურის საცხობში ფქვილის გაცრა და სისუფთავის დაცვა ვერ სდგას სათანადო ზედამხედველობის ქვეშ.

სანიტარულ კომისიის მოვალეობას შეადგენს ზედამხედველობა გაუწიონ პურის საცხობებს და მიიღონ ზომები პურის გამოცხობის დროს სისუფთავის დასაცავად საცხობებში.

მოკეთე.

ჭიათურა

კომკავშირის აქტივის კრებაზე

ჭიათურის მაღაროების მდგომარეობა

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

25 დეკემბერს ჭიათურის მუშათა კლუბში თავი მოიყარა 400-მდე კომკავშირელმა. კრებას უნდა გამოეთქვა თავისი აზრი მრეწველობის აღორძინების შესახებ.

დიდის ყურადღებით იქნა მოსმენილი ამხ. შ. თალაკვაძის მოხსენება ჭიათურის მრეწველობის პერსპექტივებისა და კომკავშირის ამოცანების შესახებ.

ამხ. შ. თალაკვაძე ფართოდ შეეხო ჭიათურის წარსულს, კერძო მწარმოებლების და აქციონერის მოღვაწეობას ჭიათურაში. მან აღნიშნა, რომ კერძო მწარმოებლები არ აქცევდნენ არავითარ ყურადღებას წარმოების ტეხნიკურად გაუმჯობესებას და სცდილობდნენ მარტო მოგების გადიდებაზე.

კონცესიონერმაც ვერ შეასრულა თავის თავზე აღებული ვალდებულებანი. ამას გარდა კონცესიონერმა ვერ წაიყვანა საქმე შესაფერისად, რის გამო მან დაუკარგა ჭიათურის შავ ქვას ბაზარი, გაადიდა ფასები და ზედნადები ხარჯები.

მიმდინარე წელს ჭიათურის შავი ქვის ტრესტმა ჩაიბარა კონცესიონერისაგან ჭიათურის ქარხანა-მაღაროები ისეთი სახით, რომ ერთბაშად შეუძლებელი იყო მათი ამუშავება.

იწყება ჭიათურის მრეწველობის აღდგენის პერიოდი.

უკვე ამუშავებულია 9 ქარხანა, ამ დღეებში დაიწყებს მუშაობას 8 ქარხანა, მრავალ ქარხანაში მიმდინარეობს კაპიტალური რემონტი.

შესყიდულია უცხოეთის ფირმების ქარხნები, სახლები, ქარხანა-მაღაროების მოწყობილობა.

ამუშავებულია 42 მაღარო.

ჭიათურაში უკვე დაბანდებულია 3.137 მუშა. აქედან მაღაროებში მუშაობს 2.608 კაცი, ქარხნებში — 529 კაცი.

ჭიათურის შავი ქვის ტრესტის და პარტიული და პროფესიონალური ორგანოების მიერ მიღებული ზომებით გადიდებულია წარმოება, აწეულია შრომის ნაყოფიერება.

ამასთანავე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კომკავშირი და ახალგაზრდობა ჯერ-ჯერობით არ არის ჩაბმული აქტიურ მუშაობაში, ახალგაზრდობა ჯერ-ჯერობით სუსტად მონაწილეობს საწარმოო თათბირებში.

ჭიათურას აკლია ბევრი რამ. ჭიათურა საჭიროებს სპეციალისტების კადრებს, კვალიფიციურ მუშა ხელს, ტეხნიკურად იგი არ არის მოწყობილი.

ამასთანავე შემჩნეულია, რომ მავნე ელემენტებს არ სძინავთ, ესენი სცდილობენ შეუშალონ ხელი ჭიათურის წინსვლას. იყო კიდეც მავნებლობის რამოდენიმე მაგალითი. ჭიათურაში მოკალათებულნი არიან ყოფილი მრეწველები, თავად-აზნაურები, რომლებიც მტრულად არიან განწყობილნი საბჭოთა ხელისუფლების მიმართ.

კომკავშირის ვალია შეამჭიდროვოს თავისი რიგები ამ მავნე ელემენტებთან ბრძოლისათვის.

კომკავშირი უნდა დაეხმაროს პარტიას, რომ ჭიათურა გაწმენდილ იქნეს არასასურველ ელემენტებისაგან.

კომკავშირი, თავისი მაგალითით, წინ უნდა წაუძღვეს ჭიათურის მშრომელ ახალგაზრდობას და შეუწყოს ხელი წარმოების აყვავებას, შრომის ნაყოფიერების გადიდებას.

ამისათვის კომკავშირს სჭირია მუშაობა კულტურულ და იდეოლოგიურ ფრონტზე, რიგების შემჭიდროება, ცხოვრებაში გატარება ყველა იმ მოთხოვნილებების, რომლებსაც უყენებს კომკავშირს პარტიის მე-15 ყრილობა.

ამხ. შ. თალაკვაძის სიტყვის შემდეგ ილაპარაკეს თვით კომკავშირელებმა.

ამხ. ღვალაძემ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ კომკავშირელები ვერ იჩენდნენ დღევანდლამდე საჭირო აქტივობას. არიან ისეთი ამხანაგები— ამბობს ამხ. ღვალაძე,—რომლებიც არ ესწრებიან კრებებს, საწარმოო თათბირებს და არ შეაქვთ თავისი წვლილი საერთო საქმიანობაში.

ამხ. ჭეიშვილი ამბობს, რომ კომკავშირი გაამართლებს პარტიის იმედებს და მედგრათ შეუტევს ყველა იმ მტრებს, რომლებიც სცდილობენ წინ გადაეღობონ ჭიათურის აღორძინების საქმეს.

ამხ. ბოცვაძე მოუწოდებს ამხანაგებს ბრძოლისაკენ იმ უარყოფითი მოვლენებთან, რომლებსაც ადგილი აქვთ ახალგაზრდობის შორის. ამასთანავე მას საჭიროდ მიაჩნია დაუყოვნებლივ განდევნილ იქნენ ჭიათურის წარმოებიდან ძველი თავად-აზნაურები, ყოფილი მრეწველები, რომლებიც ჯერ-ჯერობით ისევ მოკალათებულნი არიან ჭიათურაში.

ამხ. ფხალაძე ამბობს, რომ კომკავშირმა უნდა შეიტანოს მუშებში კულტურა. ყურადღება უნდა მიექცეს სისუფთავეს, მუშების ჯანმრთელობის დაცვას, რაც წინ წასწევს წარმოებას.

ამხ. შატბერაშვილი მოითხოვს, რომ კომკავშირმა მიიღოს მხურვალე მონაწილეობა საწარმოო თათბირების მუშაობაში. კომკავშირი — ამბობს ამხანაგი — ვალდებულია წაუძღვეს წინ მთელ მშრომელ ახალგაზრდობას და თავისი მაგალითით აჩვენოს მას, თუ როგორ უნდა მუშაობა წარმოების აყვავებისათვის.

რეზოლიუციაში, რომელიც კრების მიერ მიღებულ იქნა ერთხმად, ნათქვამია, რომ ჭიათურის სამრეწველო რაიონის კომკავშირი შეუწყობს ხელს ჭიათურის მრეწველობის ზრდას და დაეხმარება პარტიას და ხელისუფლებას, რათა პროგრამა შესრულებულ იქნეს მთლიანად.

ე. ხუციშვილი.

ჭიათურა.
26 დეკემბერი.

რემედასის კვირეული

დაიწყო რემედასის კვირეული.

წარმოება-დაწესებულებებში კეთდება მოხსენებები რემედასის მნიშვნელობის შესახებ. ადგილობრივ მუშათა კლუბში ჩატარდა რემედასის კითხვა-პასუხის საღამო და დაიდგა ფასიანი წარმოდგენა.

ქალაქში და ქარხანა-მაღაროებში სწარმოებს ფულის შეგროვება ყულაბებით.

ინჟენერ საპიცკის გამგზავრება

ჭიათურის შავი ქვის ტრესტის მთავარი ინჟენერი კ. საპიცკი გაემგზავრა თბილისში.

კულტმუშაკთა თათბირი

ორშაბათს, 31 დეკემბერს, ჭიათურის მუშათა კლუბში მოწვეულია სამრეწველო რაიონის კულტურულ მუშაკთა თათბირი, რომელიც განიხილავს ჭიათურის მუშათა კლუბების და აკადემიური თეატრის მომავალ მუშაობის საკითხებს.

თავდაცვა-ავიაქიმის ჭიათურის ორგანიზაციაში

ამჟამად თავდაცვა-ავიაქიმის ჭიათურის ორგანიზაცია აწარმოებს უჯრედების ჩამოყალიბებას ქარხანა-მაღაროებში და დაწესებულებებში, რის შემდეგ ორგანიზაცია შეუდგება სისტემატიურ სამხედრო მუშაობას.

ჭიათურაში ორგანიზაციამ მოაწყო ტირი, რომელიც მუშაობას შეუდგება ამ დღეებში.

საქართველოს პროლეტარულ სტუდენტთა მე-6 კონფერენცია

მეორე სხდომა

პროლეტ. სტ. ცენტრ. ბიუროს მუშაობა

გუშინ დილის სხდომაზე მოსმენილი იქნა საქართველოს პროლეტარულ სტუდენტობის ბიუროს თავმჯდომარის ამხ. გეგენავას მოხსენება ბიუროს გასული წლის მუშაობის შესახებ.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ბიუროს აქტიური მონაწილეობა მიუღია უმაღლეს სასწავლებლებში რაციონალიზაციის ჩატარების საქმეში. მიმდინარე წლის 28 სექტემბრისათვის ბიუროში გაერთიანებულ სტუდენტთა რაოდენობა უდრიდა 14.970 კაცს. აქედან პროფკავშირის წევრთა რიცხვი უდრის 7.980 კაცს. გასულ წელთან შედარებით პროფკავშირის წევრ სტუდენტების რაოდენობა გაზრდილია 18 პროც.

ბიუროს კავშირი აქვს გაბმული პროლეტ. სტუდენტთა საკავშირო ცენტრალურ ბიუროსთან, მოკავშირე რესპუბლიკების სტუდენტთა ბიუროებთან, საქართველოს პროფსაბჭოსთან, თბილისის საბჭოსთან, პარტიულ ორგანიზაციებთან და განათლების სახ. კომისარიატთან, რომლებსაც უთანხმებს ყოველგვარ პრაქტიკულ საკითხს. ბიუროს აკადემიური მუშაობა უმთავრესად გამოიხატებოდა სტუდენტების პრაქტიკაზე და სტაჟზე მოწყობაში. სულ პრაქტიკაზე და სტაჟზე მოწყობილია 1.305 კაცი. სტაჟზე და პრაქტიკაზე გაგზავნილ სტუდენტებს ბიურომ მისცა გზის ხარჯები და სხვა დახმარება 2600 მანეთის რაოდენობით, წლის განმავლობაში მოწყობილ იქნა 10 აკადემიური და მეცნიერული ექსკურსია, რაზედაც დაიხარჯა 900 მანეთი. ბიურო უწევდა ხელმძღვანელობას სტუდენტთა სამეცნიერო წრეებს და სახელმწიფო უნივერსიტეტის ტეხნიკურ სექციას, რომელშიაც გაერთიანებულია 3.400 კაცი. ჩატარებულ იქნა გამოკვლევა, თუ როგორ ეპყრობიან ადგილებზე სტაჟიორ და პრაქტიკანტ სტუდენტებს. გამოკვლევამ დაამტკიცა რომ სამეურნეო ორგანოებს არა აქვთ შეგნებული პრაქტიკანტ-სტაჟიორების მნიშვნელობა და მათთან მივლინებულ სტუდენტებს მეტ წილად არ აქცევენ სათანადო ყურადღებას. ამჟამად ეს საკითხი გადატანილია გასარჩევად უმაღლეს ორგანოებში.

სტიპენდიით უზრუნველყოფილია სულ 1.900 სტუდენტი, აქედან 1500 კაცს სტიპენდია ეძლევა განათლების კომისარიატიდან და 400 კაცს სხვადასხვა სამეურნეო ორგანიზაციიდან.

აგრონომიულ ფაკულტეტთან მოწყობილია ერთი საერთო საცხოვრებელი ბინა, სადაც მოთავსებულია 130 კაცი. ამ დღეებში დამთავრდება კიდევ ერთი საცხოვრებელი სახლი, რომელშიაც მოთავსებული იქნება 160 კაცი. ამჟამად ბიუროს გადმოეცა მე-1[illegible] [illegible] შენობა, სადაც მოთავსებული იქნება 180 კაცი. ყოფილ სასტუმრო „პარიზი“-ს შენობაში მოთავსებული იქნება 80 კაცი. გარდა ამისა მიღებულია გადამჭრელი ზომები ახალი სახლების ასაშენებლად და ზოგიერთ დიდი სახლების გამოსაყოფად სტუდენტთა საერთო-საცხოვრებლად. ერთდროული დახმარების სახით სტუდენტობას მიეცა 18.000 მანეთი. უფასო სადილი ეძლევა 300 სტუდენტს. რაზედაც თვიურად იხარჯება 3.600 მანეთი. საგრძნობლად გაუმჯობესდა სტუდენტთა სასადილოს ფინანსიური მდგომარეობაც. ახლო მომავალში სასადილოსთვის მოგვეცემა ახალი ფართო შენობა. მოეწყობა საჩაიე და სადალაქო. საანგარიშო პერიოდში საკურორტო პანსიონატში გაგზავნილ იქნა 120 კაცი. სტუდენტებს ეძლევათ აგრეთვე საექიმო დახმარება.

სტუდენტთა კვირეულის დროს შეგროვილ იქნა 34.620 მანეთი, მთავრობისაგან მიღებული გვაქვს—44.000 მანეთი თბილისის აღმასკომიდან—15.000 მან.; მიღებული გვაქვს დაპირება, რომ ბიუროს გადმოეცემა ტრამვაის უფასო ბილეთები. სტუდენტობისათვის თეატრებისა და კინოების მიერ გამოყოფილია შეღავათიანი ბილეთები. და მიღებულია ზომები კულტურული მუშაობის გასაძლიერებლად.

ამხ. გეგენავას მოხსენების შემდეგ მოსმენილი იქნა ამხ. მეთოდიევის მოხსენება.

მესამე სხდომა

სარევიზიო კომისიის მოხსენება

კონფერენციის საღამოს სხდომაზე, 21 დეკემბერს, მოსმენილი იქნა სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის ამხ. ანთიძის მოხსენება სტუდენტთა ბიუროს ფინანსიური მდგომარეობის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ბიუროს შემოსავალი ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული იყო 27.919 მან. რაოდენობით, ფაქტიური შემოსავალი კი უდრიდა 115.277 მანეთს. ამრიგად ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული შემოსავალი გადამეტებული იქნა 87.358 მან. ხარჯთაღრიცხვით გასავალი ნავარაუდევი იყო 27.202 მანეთის რაოდენობით; ფაქტიური გასავალი კი უდრის 58.969 მანეთს. ხარჯთაღრიცხვა გადამეტებულია 31.767 მანეთით. სხვადასხვა პირებზე ირიცხება სესხი— 4.655 მან. რაოდენობით.

გერმანელი სტუდენტები კონფერენციაზე

კონფერენციას ესტუმრა ამჟამად თბილისში მყოფი გერმანელ სტუდენტების ექსკურსია, რომლის სახელითაც კონფერენციას მიესალმა სტუდენტი ელმერმანი, რომელმაც განაცხადა: საბჭოთა სინამდვილის გასაცნობათ გერმანიის სტუდენტობამ გასულ წელს გადასწყვიტა გამოეგზავნა საბჭოთა კავშირში სტუდენტების ექსკურსია. ჩვენ გადავწყვიტეთ მთელი საბჭოთა კავშირის დათვალიერება და ჰამბურგიდან სკანდინავიით გადმოვედით არხანგელსკში, დავათვალიერეთ მოსკოვი, სარატოვი, ვოლგის სანაპიროებზე მცხოვრებ გერმანელების რესპუბლიკა, ტაშკენტი, საიდანაც გადმოვედით კავკასიაში. მოგზაურობის დროს ჩვენ უშუალოთ ვეცნობოდით საბჭოთა კავშირის სინამდვილეს და ჩვენი თვალით ვნახეთ, თუ რა გიგანტური ნაბიჯით აწარმოებს საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი სოციალისტურ მშენებლობას. ჩვენ განსაკუთრებით გაგვაკვირვა იმ უსაზღვრო მზრუნველობამ, რომელსაც ხელისუფლება იჩენს სწავლა-აღზრდის საქმეში და განსაკუთრებით სტუდენტობისადმი. მსგავსი რამ ჩვენ არ გვინახავს არც ერთ ბურჟუაზიულ ქვეყანაში. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ჩვენ ყველგან გულთბილად გვეპყრობოდნენ, რისთვისაც უღრმეს მადლობას უცხადებთ საბჭოთა ხელისუფლებას და მშრომელ ახალგაზრდობას. ჩვენ ღრმად გვწამს, რომ საბჭოთა კავშირის მშრომელი მასა, რომელიც არაფერს არ ზოგავს შრომის სახელმწიფოს გაძლიერებისათვის, სავსებით განახორციელებს თავის მისწრაფებებს.

კონფერენციის სახელით გერმანელ სტუდენტებს მიესალმა ამხ. კუპრაძე.

კამათი ცენტრალურ ბიუროს მუშაობის შესახებ

სტაჟიორ-პრაქტიკანტების და სტიპენდიანტების შესახებ სახ. მეურნეობის უმ. საბჭოს სახელით მოკლე განცხადება გააკეთა ამხ. ელბაქიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ მიღებულია ზომები ამ საკითხის მოსაგვარებლად.

შემდეგ გაიმართა კამათი მოხსენების გარშემო. კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. მანჯავიძემ, თოფურიამ, ფურცელაძემ, მეგრელიშვილმა და სხვებმა. კამათში გამოსული ამხანაგები აღნიშნავდნენ, რომ: მეტი ყურადღება უნდა მიექცეს სტუდენტთა პოლიტიკურ აღზრდას. ფულადი დახმარების ნაცვლად მიზანშეწონილია უფასო სადილების რაოდენობის გადიდება; სტიპენდიების განაწილება უნდა ხდებოდეს ფართო მასის მონაწილეობით; აკადემიური მუშაობის ნაყოფიერების ასამაღლებლად საჭიროა სალექციო მეთოდის ნაცვლად შემოღებულ იქნეს ლაბორატორიული მეთოდი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საერთო საცხოვრებელი ბინების და სასადილოს გაფართოებას; მოგვარებული უნდა იქნეს სტუდენტთა დაზღვევის პრაქტიკა, სტაჟიორობის საქმე და სხ.

თავდაცვა-ავიაქიმის თბ. აქტივის კრება

27 დეკემბრის საღამოს პროფსაბჭოს ახალ დარბაზში შესდგა თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების თბილისის აქტივის კრება, რომელზედაც მოსმენილ იქნა ამხ. თაგნეტინსკის მოხსენება თავდაცვა-ავიაქიმის საქალაქო საბჭოს მუშაობის შესახებ, თავდაცვა-ავიაქიმის საკავშირო საბჭოს წარმომადგენლის ამხ. ავინოვიცკის მოხსენება—თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციების მიმდინარე ამოცანების შესახებ და ამხ. ალაფუზოს მოხსენება თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების მონაწილეობის შესახებ მომავალ საბჭოთა არჩევნებში.

ამხ. თაგნეტინსკიმ განაცხადა, რომ საბჭოები ვერ უწევდნენ შესაფერ ხელმძღვანელობას ზოგიერთ ორგანიზაციებს, მოიკოჭლებდა აქტივის მომზადების საქმე და საერთოდ მუშაობაში ადგილი ჰქონდა მთელ რიგ დეფექტებს. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ თავდაცვა-ავიაქიმის ადგილობრივი ორგანიზაციების მუშაობის გასაუმჯობესებლად საჭიროა, რათა, ყველა საბჭოთა საზოგადოებრივმა დაწესებულებებმა და ორგანიზაციებმა ხელი შეუწყონ მას.

ამხ. ავინოვიცკიმ თავის მოხსენებაში წამოაყენა სამი ძირითადი ამოცანა, რომელთა გადაწყვეტას უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება. უპირველესად ყოვლისა მომხსენებელს საჭიროდ მიაჩნია, რომ თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციების საქმიანობაში აღმოფხვრილ იქნას უპასუხისმგებლობა, თუ საზოგადოების რომელიმე უჯრედი ცუდად მუშაობს, პასუხისმგებლობა ამისათვის ეკისრება უჯრედის ხელმძღვანელ აპარატს. გულგრილ მუშაობაში შემჩნეულები უნდა გაიკიცხონ საჯაროდ. მეორე ამოცანა—ინერგიული მუშაკების კადრის შექმნა. მაშინ თავისთავად იქნება აცილებული თავიდან დაბრკოლებები მიმდინარე მუშაობაში. მესამე ამოცანას წარმოადგენს ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ყურადღების მიპყრობა ქვეყნის თავდაცვის საკითხებისადმი.

თავდაცვა-ავიაქიმის ამოცანები

მომხსენებელი ამხ. ალაფუზო საჭიროდ თვლის, რომ საბჭოთა საარჩევნო კამპანიის დროს მშრომელ მასებს ფართოდ გაემარტოს, თუ რა ინტრიგებს და მახინაციებს მიმართავენ კაპიტალისტური სახელმწიფოები, რათა ხელი შეუშალონ სოციალისტურ მშენებლობას საბჭოთა კავშირში. საარჩევნო კამპანია გამოყენებული უნდა იქნეს აგრეთვე თავდაცვის გაძლიერების პროპაგანდისათვის.

თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციების ამოცანაა—გამოიყენონ არჩევნების მოსამზადებელი კამპანია იმ მიზნით, რომ თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოება უფრო მასიური გახდეს სოფლად და მოხდეს თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციების დაახლოება სასოფლო და სათემო საბჭოებთან.

ამხ. ალაფუზოს მოხსენება კრებამ მიიღო სახელმძღვანელოდ.

თბ. უზნის რკინისგზელთა მე-9 ყრილობა

მესამე და მეოთხე სხდომები

27 დეკემბრის საღამოს და 28 დეკემბრის დილის სხდომებზე გრძელდებოდა კამათი ამხ. რაზმაძის მოხსენების გარშემო. სულ კამათში მონაწილეობა მიიღო 60-მდე დელეგატმა და მომხსენებელს მიეცა 150-ზე მეტი შეკითხვა.

კამათში გამოვიდა საქართველოს კომპარტიის (ბ) ლენინის რაიკომის ქალთა განყოფილების წარმომადგენელი ამხ. გეგეშიძე, რომელიც შეეხო საუბნო კომიტეტის მუშაობას ქალთა შორის და განაცხადა, რომ საჭიროა რკინისგზელ ქალების კვალიფიკაციის აწევა. მან წამოაყენა წინადადება ქალებისათვის სპეციალური კურსების გახსნის შესახებ და საჭიროდ აღიარა ქალიშვილების რიცხვის გადიდება საფაბრიკო - საქარხნო სკოლებში.

შრომის ბირჟის წარმომადგენელი ამხ. მამისაშვილი შეეხო უმუშევარ რკინისგზელების გაგზავნას სამუშაოზე და სთქვა, რომ ადმინისტრაცია ხელს უშლის ბირჟას მუშაობაში. ზოგჯერ ადმინისტრაცია სამუშაოზე არ უშვებს ბირჟის მიერ გაგზავნილ უმუშევარს, თუ ის არ არის ის პირი, რომელიც მას სურს.

ა.-კ. სატრანსპორტო - სამომხმარებლო საზოგადოების მუშაობის გამო გამოთქმულ საყვედურებზე პასუხი გასცა ა.-კ. სატრანსპორტო - სამომხმარებლო საზოგადოების გამგეობის წევრმა ამხ. ვ. ბეჟანოვმა. ის აცხადებს, რომ არ არის სწორი ბრალდება თითქოს საზოგადოება არ აქცევდეს ყურადღებას თავის მომხმარებელთა დაკმაყოფილების საქმეს. თუ ადგილი აქვს შეფერხებას წევრთათვის საქონლის მიწოდებაში, ეს აიხსნება იმ მდგომარეობით, რომელიც არსებობს ბაზარზე.

შეკითხვებზე, რომლებიც ეხებოდა საუბნო კომიტეტის მუშაობას საორგანიზაციო დარგში პასუხი გასცა საუბნო კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების უფროსმა ამხ. ქურდოვანიძემ. კულტურული მუშაობის შესახებ შემოსულ კითხვებზე უპასუხა კომიტეტის კულტგანყოფილების უფროსმა ამხ. მუქერიამ.

მეხუთე სხდომა

28 დეკემბრის საღამოს სხდომაზე საბოლოო სიტყვით გამოვიდა ამხ. რაზმაძე. მან გზადაგზა პასუხი გასცა სატარიფო - ეკონომიური ხასიათის შეკითხვებზედაც.

ამხ. რაზმაძე არ დაეთანხმა ზოგიერთ დელეგატს თითქოს წარმოების ტეხნიკური მხარე მოისუსტებდეს. მან ფაქტებით დაამტკიცა, რომ წარმოების ეს მხარე წინა წლებთან შედარებით გაუმჯობესდა. მთავარ სახელოსნოებში დაიდგა ახალი მანქანები და მისი პროდუქცია გაიზარდა 10,7 პროცენტით.

საუბნო დამზღვევ სალაროს მოხსენება

ამავე სხდომაზე ყრილობამ მოისმინა თბილისის საუბნო დამზღვევ სალაროს მოხსენება. მოხსენებით გამოვიდა ამხ. გადაბაძე.

როგორც მოხსენებიდან ჩანს, დამზღვევი სალარო ემსახურება 16.253 დაზღვეულს. აქედან 949 პენსიონერია, 126 დასახიჩრებული.

დროებით შრომის უნარ მოკლებულებზე 1927—28 წელში გაცემულ იქნა 552.103 მან., პენსიონერებზე 657.353 მანეთი.

დასასვენებელ სახლებში და კურორტებზე გაიგზავნა 979 კაცი. გაგზავნილთა შორის უმეტესობას მუშები შეადგენენ.

ამიერ-კავკ. სახკომსაბჭოში

სესხის ანარიცხები

ა. კ. სახკომსაბჭომ დაამტკიცა დებულება ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის რეალიზაციიდან მიღებულ 10 პროცენტიანი ანარიცხების ადგილობრივ საჭიროებისათვის გამოყენების შესახებ.

საგანაკვეთო დაზღვევის გადასახადი

ა. კ. სახკომსაბჭომ თავის უკანასკნელ სხდომაზე აღნიშნა, რომ საგანაკვეთო დაზღვევის გადასახადის აკრეფა ნელი ტემპით მიმდინარეობს საქართველოსა და აზერბეიჯანში. რესპუბლიკანურ სახ. კომისართა საბჭოებს წინადადება მიეცა მიიღონ ზომები გადასახადის დაჩქარებით ასაკრეფათ იმ ანგარიშით რომ 15 იანვრისათვის აკრეფილ იქნეს წინა წლების ნარჩენები და მიმდინარე წლის გადასახადის არა ნაკლებ 70 პროცენტისა. ამავე დროისათვის მთლიანათ უნდა იქნეს გამოყენებული საგანაკვეთო დაზღვევის საშეღავათო ფონდი.

ა. კ. რკ. გზათა სამმართველოს სატყეო განყოფილება

ა. კ. სახკომსაბჭომ მიზანშეწონილად სცნო ა. კ. რკ. გზათა სამმართველოს სატყეო განყოფილების გაუქმება.

საქართველოს სატყეო მრეწველობის ტრესტს წინადადება მიეცა დაამზადოს და გადასცეს რკინის გზას 100.000 კუბ. მეტრი შეშა, აზერბეიჯანის ტრესტმა რკინის გზას უნდა გადასცეს 70.000 კუბ. მეტრი და სომხეთის სატყეო მრეწვ. ტრესტმა—30.000 კუბ. მეტრი შეშა. ა. კ. საგეგმო კომისიას წინადადება მიეცა ერთი თვის განმავლობაში შეამუშაოს საჭილაოს ხე-ტყის ქარხნის მუშაობას გეგმა.

საჭიროდ იქნა ცნობილი, რომ ლეჩხუმის სატყეო რაიონში დაჩქარებით დამზადდეს 850.000 კუბ. ფუტი ხე-ტყის მასალა.

მედსანშრომის კავშირის საექიმო სექციის რესპ. ბიუროს პლენუმი

28 დეკემბერს პროფსაბჭოს მცირე დარბაზში გაიხსნა მედსანშრომის მუშაკთა კავშირის საექიმო სექციის რესპუბლიკანური ბიუროს პლენუმი, რომელსაც დაესწრნენ ყველა მაზრების და ავტონომიური რესპუბლიკების ექიმთა წარმომადგენლები.

პლენუმის 1-ლ სხდომაზე მოსმენილ იქნა რესპუბლიკანურ ბიუროს საანგარიშო მოხსენება. მომხსენებელმა ექ. სტეფანოვმა პლენუმს გააცნო ის საქმიანობა, რომელიც ბიურომ ჩაატარა გასული სამეურნეო წლის განმავლობაში და მიმდინარე სამეურნეო წლის პირველ კვარტალში. პირველ რიგში მომხსენებელი შეეხო სოფლად მომუშავე ექიმების მდგომარეობის და მათი მუშაობის პირობების გამოკვლევაზე, რომელიც ჩაატარა ბიურომ.

ამ გამოკვლევის შედეგები ასეთია:

სოფლად, თითქმის არსად არ ყოფილა შემჩნეული ექიმების წინააღმდეგ რაიმე ხულიგანური გამოსვლები, ან ცუდი დამოკიდებულება. სოფლად მომუშავე ექიმები ჩაბმული არიან საზოგადოებრივ მუშაობაში.

ზოგიერთ ადგილებში, როგორიცაა რაჭა-ლეჩხუმი და ნაწილობრივ ზუგდიდ-სენაკის მაზრები, ექიმები ცოტაა. აღნიშნულ ადგილებში ერთეული ექიმის სამუშაო რაიონის რადიუსი 20 კილომეტრს აღემატება. ექიმების მუშაობას ადგილებზე აბრკოლებს აგრეთვე შესაფერი ბინების უქონლობა. ხელფასის მხრივ მდგომარეობას შესამჩნევი გაუმჯობესება ეტყობა. ზოგიერთ მაზრებში ექიმების ხელფასი უწინ ძლივს აღწევდა 75 მანეთიდან 100 მანეთამდე. ამჟამად კი ექიმების ხელფასი თითქმის ყველგან ას მანეთზე მეტია.

მოხსენების შემდეგ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომელიც გაგრძელდა პლენუმის საღამოს სხდომაზე.

პლენუმის დღევანდელ სხდომაზე მოსმენილი იქნა ამხ. ა. ფრანგულიანის მოხსენება ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მუშაობის 5 წლიანი გეგმის შესახებ.

პროფკავშირები და მრეწველობის 5 წ. გეგმა

ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს პრეზიდიუმის უკანასკნელ სხდომაზე განხილული იქნა საკითხი ამიერ-კავკასიის მრეწველობის განვითარების ხუთწლიან პერსპექტიულ გეგმის შესადგენ სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ (გეგმას ადგენს ა.-კ. სახელმწიფო საგეგმო კომისია). პრეზიდიუმმა დაადგინა სთხოვოს ა.-კ. სახკომსაბჭოს, რათა ყურადღება მიაქციოს ამიერ-კავკასიის საგეგმო კომისიის და რესპუბლიკურ ს. მ. უ. საბჭოს და საგეგმო კომისიას დირექტივების გაუთვალისწინებლობას ა.-კ. საგეგმო კომისიის მიერ მთელ რიგ მომენტებში, ვარიანტს ხშირად შეცვლას. მუშაობის პროცესში და გეგმის ცალკე ნაწილების ერთმანეთთან შეუთანხმებლობას.

არანორმალურად იქნა ცნობილი ხუთწლიან გეგმის მასალების და პროექტების არ წარმოდგენა ა.-კ. საგეგმო კომისიის მიერ პროფორგანიზაციებისათვის. იმის შემდეგ, როცა ცალკე პროფორგანიზაციების მიერ განხილული იქნება ა.-კ. საგეგმო კომ. და რესპუბლიკანური სახკომსაბჭოების მოხსენებები ხუთწლიანი გეგმის შესახებ ა.-კ. პროფსაბჭოსთან მოწვეული იქნება რესპუბლიკანურ პროფსაბჭოების საგეგმო მუშაკთა თათბირი, რომელიც შეიმუშავებს დასკვნას ხუთწლიან გეგმაზე.

მასწავლებლების დანიშვნის შესახებ

სწავლისა და აღზრდის დაწესებულებათა კვალიფიციური სამასწავლებლო პერსონალით უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა:

განათლების სახალხო კომისარიატისა და მისი ადგილობრივი ორგანოს გამგებლობაში მყოფ სწავლისა და აღზრდის დაწესებულებაში მასწავლებლის თანამდებობაზე დაინიშნონ:

საბავშო სახლში და შრომის სკოლა—ოთხწლედებში პედაგოგიური ტეხნიკუმისა ან პედაგოგიურ განხრის მქონე ცხრაწლედის კურსდამთავრებული;

შრომის სკოლა—შვიდწლედში და გლეხ. ახალგაზრდობის სკოლაში—უმაღლესი სასწავლებლისა ან ყოფილი პედაგოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებული;

შრომის სკოლა—ცხრაწლედში, ტეხნიკუმებში, მუშათა ფაკულტეტებში, საფაბრიკო, საქარხნო სკოლაში, მაღალი ტიპის სკოლაში მოზრდილთათვის და მუშათა უნივერსიტეტში—უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებული;

პროფტეხნიკურ სკოლაში (დაბალი ტიპისა) და სასოფლო-სამეურნეო სკოლაში—პედაგოგიური ტეხნიკუმების კურსდამთავრებული; გარდა აგრონომისა, რომელსაც სასოფლო-სამეურნეო სკოლაში მასწავლებლად დანიშვნისათვის უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლება.

პარტსკოლაში—კომუნისტური უნივერსიტეტის ან უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებული; წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირე-მცოდნეობის ლიკვიდაციის სკოლაში—საშუალო განათლების მქონე პირი.

რა მოგვცა ღარიბთა ჯგუფების შემოწმებამ

ღარიბთა შორის მუშაობას ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდა ჩვენი პარტია, მაგრამ მაინც დიდი დრო არ არის გავლილი მას შემდეგ, რაც ჩვენში ეს საკითხი მთელი თავისი სიგრძე-სიგანით იქნა წამოყენებული და პრაქტიკულად შეუდექით პარტიის დადგენილების ცხოვრებაში გატარებას. მიუხედავად ამისა მუშაობის ამ დარგში საგრძნობი მიღწევები გვაქვს და ეს იმით აიხსნება, რომ ამ მხრივ ყოველთვის სწორი ხაზი გვქონდა აღებული და მუშაობას ადგილებზე სწორი ხელმძღვანელობა ეწეოდა. კერძოთ თბილისის მაზრაში რამდენჯერმე იქნა შემოწმებული ღარიბთა შორის მუშაობა გამოკვლევით, თათბირების მოწვევით და სხვა საშუალებებით. უკანასკნელად ს.კ.პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მიერ ჩატარდა ღარიბთა ჯგუფების გენერალური შემოწმება, რომელიც დამთავრდება ღარიბთა ჯგუფების სარაიონო თათბირების და სამაზრო კონფერენციის მოწვევით. სათემო-სარაიონო თათბირები უკვე ჩატარდა დეკემბრის პირველ ნახევარში და პირადათ მე წილად ხვდა უშუალო მონაწილეობა მიმეღო ამ თათბირების მუშაობაში ერწო-თიანეთის, კოპორტ-საგურამოს, დუშეთის და მუხრანის რაიონებში.

თათბირების მიზანს შეადგენდა გაეხილა და შეემოწმებია ღარიბთა შორის ჩატარებული მუშაობა, კერძოთ აღენიშნა ის, თუ როგორი მატერიალური დახმარება ეძლეოდა ღარიბ გლეხობას და როგორ სრულდება ამ მხრივ პარტიის დირექტივა ადგილობრივ საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციების მიერ. თათბირი იხილავდა აგრეთვე მომავალ საბჭოთა გადარჩევასთან დაკავშირებულ საკითხებს და პრაქტიკულ ღონისძიებებს იმუშავებდა იმის შესახებ, თუ როგორი მონაწილეობა უნდა მიიღოს ამ გადარჩევებში ღარიბთა ჯგუფებმა. დასასრულ თათბირებზე ირჩეოდა დელეგატები ღარიბთა ჯგუფების თბილისის სამაზრო კონფერენციაზე დასასწრებლად.

ამ წერილში მე მინდა აღვნიშნო თათბირების შედეგები, მინდა შევეხო, თუ რა გამოირკვა ამ თათბირებზე, როგორ მუშაობენ ღარიბთა ჯგუფები და რა ამოცანები სდგას ჩვენს წინაშე მომავლისათვის. მხოლოდ წინასწარ უნდა განვაცხადო, რომ აქ უარყოფით მხარეზე და ჩვენს ნაკლზე მეტად ვილაპარაკებ, რადგან ნაკლისა და შეცდომის გამოაშკარავება, მისი მიზეზების გამორკვევა იმის საუკეთესო საშუალებაა, რომ მომავალში ეს შეცდომები ნაკლებათ გვექნეს.

სად არის ჩამოყალიბებული ღარიბთა ჯგუფები

ღარიბთა ჯგუფები უკვე ჩამოყალიბებულია ყველა თემსაბჭოებთან, სამომხმარებლო კოოპერატივებთან და საკრედიტო ამხანაგობებთან. ჯერ კიდევ ჯგუფები მოწყობილი არ არის გლეხკომებთან და რამდენიმე სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ ორგანიზაციებთან ჯგუფები სწორად არ არიან ჩამოყალიბებული და დაცული არ არის ამისათვის არსებული წესები. იმის მაგიერად, რომ ღარიბთა ჯგუფები მხოლოდ არჩევითი ორგანოებთან იქნეს ჩამოყალიბებული, ხშირად მას აარსებენ ამა თუ იმ ორგანიზაციის ღარიბ წევრთა საერთო შემადგენლობიდან. მაგალითად—საკრედიტო ამხანაგობასთან ღარიბთა ჯგუფები უნდა მოეწყოს გამგეობის, სარევიზიო კომისიის, საბჭოს და რწმუნებულთა რიცხვიდან; სამომხმარებლო კოოპერატივთან—გამგეობის, სარევიზიო კომისიის და რწმუნებულთა რიცხვიდან და სხვ.

ზოგიერთ ადგილას კი ეს წესი დარღვეულია და ღარიბთა ჯგუფები ჩამოყალიბებულია საკრედიტო ამხანაგობაში თუ სამომხმარებლო კოოპერატივში წევრად შემავალ ღარიბთა საერთო რიცხვიდან. ასეთ მოვლენას აქვს ადგილი ერწოში, დუშეთში და ზოგიერთ სხვა ადგილასაც. ამაზე მითითებული აქვს ადგილებს და ეს შეცდომა უნდა გამოსწორდეს იმით, რომ ღარიბთა ჯგუფები ჩამოყალიბებული იქნეს მხოლოდ არჩევითი ორგანოებთან.

როგორ მუშაობენ ღარიბთა ჯგუფები

ერწო-თიანეთის რაიონში ღარიბთა ჯგუფები ჯერ კიდევ 1927 წელში იქნა ჩამოყალიბებული. მათ უკვე გარკვეული აქვთ თუ როგორ უნდა იმუშაონ და კიდევაც დაწყებული აქვთ ეს მუშაობა. ჩატარებულია რამდენიმე სხდომა და მათზე გარჩეულია ღარიბ გლეხობისათვის საჭირბოროტო საკითხები. რაც შეეხება დანარჩენ რაიონებს, იქ ეს ჯგუფები შედარებით ახლად ჩამოყალიბებულია და ჯერ-ჯერობით მუშაობაც არ დაუწყიათ. დაჩქარებით უნდა იქნეს დაწყებული მუშაობა ღარიბთა ჯგუფებში; ადგილობრივი მომუშავენი კარგად უნდა გაერკვენ ამ საკითხში, შეისწავლონ ის და უკეთ აწარმოონ მუშაობა. ცენტრიდან კი მათ უნდა გაეწიოთ შესაფერი ხელმძღვანელობა და მიეწოდოთ სახელმძღვანელო ლიტერატურა.

ვინ მიდიოდა თათბირზე

თათბირზე მოწვეული იყო ღარიბთა ჯგუფების წევრები და ადგილობრივ საბჭოთა-საზოგადოებრივ ორგანიზაციების წარმომადგენლები. ზოგან თათბირები სწორად არ იწვეოდნენ, მასზე ყველა ღარიბებს იწვევდნენ და ასეთ ადგილას ღარიბთა ჯგუფების თათბირის ნაცვლად საერთო კრებებს ვღებულობდით. ამის მაგალითად შეგვიძლია კოპორტ-საგურამოს და ერწოს რაიონი დავასახელოთ. საგურამოს თემში თათბირზე მთელი თემის ღარიბები გამოცხადდნენ და ერწოში კი გარდა ღარიბებისა, თემსაბჭოს ყველა წევრები გამოეწვიათ. ეს იმით აიხსნება, რომ ადგილებზე ძალიან სუსტად ჩატარდა წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა, თათბირების მიზან-დანიშნულებას გაცნობილი არ იყო ადგილობრივი მოსახლეობა და ბევრგან თათბირზე მოწვეულებმაც კი არ იცოდნენ, თუ რაზე იბარებდნენ მათ.

რა გაკეთდა ადგილებზე

თიანეთში გამოჰყვეს კომისია, რომელსაც უნდა გამოეკვლია ღარიბთა ჯგუფების მუშაობა და შედეგზე მოხსენება გაეკეთებია ღარიბთა ჯგუფების სხდომაზე. მაგრამ ამ კომისიამ თათბირის მოწვევამდე მუშაობის დასრულება ვერ შესძლო. არც კედლის გაზეთში დაწერილა რამე და რაიონში არსებული საბჭოთა საზოგადოებრივი ორგანიზაციები ჩაბმულნი არ იყვნენ ჯგუფების შემოწმების საქმეში.

შედარებით უკეთესად ჩატარდა ეს მუშაობა ერწოს რაიონში. აქ გამოყოფილმა კომისიამ გამოიკვლია მუშაობა, შედეგზე მოხსენება წარუდგინა როგორც პარტიულ ორგანიზაციებს, ისე ღარიბთა ჯგუფებსაც და შემოწმების საქმეში გამოყენებულ იქნა ადგილობრივი კედლის გაზეთი.

კოპორტ-საგურამოს და დუშეთის რაიონში მუშაობის შემოწმება სრულებით არ ყოფილა ჩატარებული, მუხრანის რაიონში კი მართალია კომისია გამოჰყვეს, მაგრამ მან მუშაობის დასრულების და შედეგების შეჯამება თათბირის მოწვევამდე ვერ შესძლო.

ამნაირად, ღარიბთა ჯგუფების შემოწმება ადგილებზე სუსტად ჩატარდა, ამ საქმეში ვერ იქნა ჩაბმული ადგილობრივი საბჭოთა-საზოგადოებრივი ორგანიზაციები, გაზეთებში საკითხი არ გაშუქდა, ვერ მოხდა ამ საკითხის ირგვლივ საზოგადოებრივი აზრის მობილიზაცია და ამან უთუოდ გავლენა მოახდინა თვით თათბირების მუშაობაზე:—საკითხები დღის წესრიგისათვის სათანადოთ დამუშავებული და მომზადებული არ იყო, განსაკუთრებით საკითხი ღარიბთათვის მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ მოითხოვდა წინასწარ მომზადება-დამუშავებას, რომ მის ირგვლივ მსჯელობა და აზრთა გაცვლა-გამოცვლა უფრო ფართოდ გაშლილიყო და მომავალ მუშაობისათვის უფრო კონკრეტულად დამუშავებულიყო პრაქტიკული ღონისძიებები. ყველაზე უფრო კარგად ეს საკითხი მუხრანში აღმოჩნდა დამუშავებული, შემდეგ კი ერწო-თიანეთში; რაც შეეხება კოპორტ-საგურამოს რაიონს, აქ საკითხი სრულებითაც არ იყო მომზადებული; დუშეთის ღარიბთა ჯგუფების თათბირზე კი მომხსენებელმა სიტყვიერ ილაპარაკა იმის შესახებ, თუ რა დახმარებას უწევს საბჭოთა ხელისუფლება ღარიბებს და ნაკლებათ, ან და თითქმის სრულებით არ ულაპარაკია იმის შესახებ, თუ პრაქტიკულად რა გაკეთდა ამ მხრივ თვით დუშეთის რაიონში.

ყოველივე ამას ანგარიში უნდა გაეწიოს, ყოველივე ეს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული იმისათვის, რომ შემდეგში ასეთი საქმე მეტი დაკვირვებით და მეტი წინასწარი მოსამზადებელი მუშაობის წამძღვარებით იქნას ჩატარებული.

რას ამბობენ ღარიბები

თათბირების მონაწილენი დიდ აქტიურობას იჩენენ როგორც შეკითხვების მიცემით, ისე კამათში მონაწილეობის მიღებით და მომავალ მუშაობისათვის პრაქტიკული წინადადებების შეტანით. 6 ადგილას ჩატარებულ თათბირზე შეკითხვებით გამოვიდა 55 კაცი, ხოლო კამათში 66 კაცმა მიიღო მონაწილეობა.

კამათში გამოსულნი უმთავრესად შემდეგ საკითხებს ეხებოდნენ:

1. საბჭოს წევრების მოვალეობის შესახებ ამბობდნენ, რომ დღეს ეს მოვალეობა მტკიცედ ჩამოყალიბებული განსაზღვრული არ არის. სოფლად საბჭოს წევრებს ყოველ საქმეზე მიმართავენ. ის არის ის საბჭოს რწმუნებულიც და ხშირად მილიციელის მოვალეობის ასრულებასაც კი მოითხოვენ მისგან. შედეგად—ის იმდენად იტვირთება წვრილმანი საქმეებით, რომ დრო აღარ აქვს შეასრულოს თავისი პირდაპირი მოვალეობა: მონაწილეობა მიიღოს საბჭოს მასიურ მუშაობაში, ხელმძღვანელობა გაუწიოს საბჭოს მიერ გამოტანილ დადგენილებების შესრულების საქმეს და საერთოდ უხელმძღვანელოს სოფლის საზოგადოებრივ საქმიანობას. გარდა ამისა საბჭოს წევრის ასეთი გადატვირთვა—მოჯამაგირე და ღარიბთა გლეხისათვის საძნელოს ხდის დეპუტატის მოვალეობის ასრულებას, რადგან ის მეურნეობიდან ხანგრძლივ მოწყვეტას იწვევს. გამოსულმა ორატორებმა მოითხოვეს საბჭოს წევრის უფლება-მოვალეობის მტკიცედ განსაზღვრა, რომ ის განთავისუფლდეს წვრილმანი საქმეებისაგან და შექმნას პირობები თავისი პირდაპირი მოვალეობის სწორად შესრულებისათვის.

2. მოჯამაგირეებს დამქირავებლები არ აძლევენ საშუალებას, რომ მათ მონაწილეობა მიიღონ საბჭოების მუშაობაში. საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს.

3. ხშირად ღარიბი, საშუალო გლეხის და კულაკის განსაზღვრის დროს შეცდომებს აქვს ადგილი. ამის შესახებ მიუთითებდნენ მოკამათენი. თუ ვინ უნდა ჩაითვალოს კულაკად.

4. ყველა კრებებზე დიდი ინტერესით ეკითხებოდნენ საარჩევნო ინსტრუქციის საკითხებს, თუ ვის უნდა წაერთვას საარჩევნო ხმის უფლება და აღნიშნავდნენ რომ ამ საკითხებს დაკვირვებით მოპყრობა ესაჭიროება, სწორად უნდა შესდგეს ამომრჩეველთა და საარჩევნო ხმის უფლება მოკლებულ პირთა სიები, რომ წინა არჩევნების დროს დაშვებული შეცდომები წელს აღარ განმეორდეს.

5. მოჯამაგირე და ღარიბი გლეხობა საშუალო გლეხობის აქტივთან ერთად სერიოზულად უნდა მოეკიდოს საბჭოების არჩევნების წინასწარ მოსამზადებელ მუშაობას, განსაკუთრებით კანდიდატების შერჩევას, რომ შესაფერისად მოვემზადოთ, საშუალო გლეხობასთან მჭიდრო კავშირში დარაზმული გამოვიდეთ და წინააღვდგეთ კულაკობისა და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტების ცდას—გაიყვანონ საბჭოებში მშრომელი გლეხობის მტრები.

6. აღნიშნავდნენ, რომ შესაფერისად ვერ ვსარგებლობთ კიდევ კანონის იმ მუხლით, რომლითაც უფლება გვეძლევა უკან გავიწვიოთ უმოქმედო და ყველა შეუთვისებელი დეპუტატი, წინადადებას იძლეოდნენ, რათა მოსახლეობისთვის ყოველ საჭირო შემთხვევის დროს ფართოდ იქნას გამოყენებული საბჭოთა კონსტიტუციის ეს უფლება.

7. მოჯამაგირეთა შორის მუშაობა სუსტად სწარმოებს და მოითხოვდნენ, რომ გაუმჯობესდეს ამ მხრივ მდგომარეობა.

8. აღნიშნავდნენ ქალების სუსტ მონაწილეობას წინა არჩევნებში და მოითხოვდნენ, რათა წელს ეს ნაკლი გამოსწორებული იქნას. ამასთანავე მიმდინარე არჩევნებში მშრომელმა ახალგაზრდობამ უფრო მეტი აქტიური მონაწილეობა მიიღოს.

9. საბჭოთა ორგანოებში საკმაოდ მსახურობენ ძველი მოხელეები და საერთოდ ისეთი ხალხი, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ შეუგნია, ან არ უნდათ შეიგნონ საბჭოთა ხელისუფლების სტრუქტურა და პრინციპები. ამ ხალხის მეოხებით ჩვენს საბჭოთა ორგანოებში კვლავ ადგილი აქვს ბიუროკრატიზმს, საქმის გაჭიანურებას და სხვა სახის ბოროტ-მოქმედებას; როდესაც გლეხები ასეთ ორგანოებს მიმართავენ და პასუხს ვერ ღებულობენ, ეს მათში სამართლიან უკმაყოფილებას ჰქმნის და სახელს უტეხს საბჭოთა ხელისუფლებას. ამის თავიდან ასაცილებლად მოითხოვდნენ, რომ ასეთ ელემენტებისაგან გადაჭრით და საბოლოოდ გაიწმინდოს ჩვენი საბჭოთა აპარატი.

10. მოკამათენი აღნიშნავდნენ, რომ მართალია ღარიბებს ეწევა დახმარება, მაგრამ ამ საქმეში ჩაბმული არ არიან ღარიბთა ჯგუფები და ღარიბმა გლეხობამ არც კი იცის, თუ რა კეთდება ამ მხრივ. გლეხკომები, კოოპერატივები და საკრედიტო ამხანაგობები უფასოდ სწერენ ამ ორგანიზაციების წევრებად ღარიბ გლეხობას, მაგრამ წინასწარ საკითხი იმის შესახებ, თუ ვინ ჩაიწეროს, რა პირობებში და სხვა, არ ისმება ღარიბთა ჯგუფებში. ღარიბებმა ამის შესახებ არ იციან და ხშირად ის გლეხიც, რომელიც ჩაწერეს წევრად, ამას მხოლოდ მაშინ გებულობს როდესაც საწევრო წიგნაკის მისაღებად იბარებენ.

11. ზოგიერთ ადგილას (საგურამო) გლეხკომების მუშაობის სისუსტეს აღნიშნავდნენ და ითხოულობდნენ მუშაობის გაძლიერებას, რისთვისაც საჭიროდ სთვლიდნენ გლეხკომებზე ხელმძღვანელობის გაძლიერებას საბჭოთა და პარტიული ორგანიზაციების მხრივ.

12. კოოპერაცია ვერ ზრუნავს შესაფერი საქონლის თავის დროზე მომარაგებისათვის. ერწოს თათბირზე აღნიშნავდნენ, რომ იმ დროს, როდესაც კოოპერატივებს ფართალი ურიგდებოდათ და კოოპერატივები იმის მიღებაზე უნდა ზრუნავდნენ, ის ღვინის მოტანით უფრო მეტად არის დაინტერესებული.

13. მიუთითებდნენ სახ-დაზღვევის სააგენტოების სუსტ მუშაობაზე. ხშირად კუთვნილი დახმარების მისაღებათ რამდენჯერმე მოსვლა სჭირდება სააგენტოში. დიდი ხნის შემდეგ, რაც დადგენილება არის გამოტანილი ერწოს რაიონში ცალკე სააგენტოს დაარსების შესახებ, მაგრამ დღემდე ის შესრულებული არ არის. მოითხოვდნენ ამ დადგენილების შესრულებას და პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმას სახ. დაზღვევის მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

14. ღარიბ გლეხების სიები უფასო საექიმო დახმარების მიღებისათვის ძალიან ხშირად დიდ შეცდომებით სდგება, რასაც მომავალში ყურადღება უნდა მიექცეს.

15. ზოგ შემთხვევებში ღარიბი გლეხები არამიზანშეწონილად იბეგრება სახ.-სამ. გადასახადით და მას დიდი სიძნელე და დროის დაკარგვა სჭირდება იმისათვის, რომ შეცდომა გამოსწორდეს და ის გადასახადისაგან განთავისუფლდეს.

16. კამათში მონაწილენი საბჭოს წევრები აღნიშნავდნენ, რომ საბჭოს არ იქნება მიღწევები ისე, თუ მის მუშაობაში არ იქნება ჩაბმული გარდა დეპუტატებისა—მოჯამაგირე, ღარიბი და საშუალო გლეხობის ფართო ფენები.

17. ეხებოდნენ აგრეთვე მიწათმოწყობის დაჩქარების საჭიროებას და ღარიბ გლეხებს შორის ტყის მასალის მიზანშეწონილ და სწორ განაწილების საქმეს.

ყველა ამ საკითხებზე თათბირებმა პრაქტიკული წინადადებები გამოიტანეს, რომელიც გათვალისწინებული უნდა იქნას შემდეგი მუშაობის დროს.

დასკვნა

წარსულთან შედარებით ღარიბთა შორის მუშაობის დარგში საგრძნობი მიღწევები გვაქვს: თითქმის ყველა ორგანიზაციებთან უკვე ჩამოყალიბებულია ჯგუფები, მუშაობა დაწყებულია. ღარიბებს საკმაოდ აქვთ შეთვისებული, რომ აუცილებელია მათი დარაზმვა, შემჭიდროება და შეკავშირება, რათა დარაზმულად, საშუალო გლეხობასთან მჭიდრო კავშირში, შეებრძოლონ კულაკობას და სოფლის ყველა ანტისაბჭოთა ელემენტებს, არ მისცენ მათ საშუალება თავიანთი მიზნების განხორციელებისათვის.

ღარიბებს დღეს შეგნებული აქვთ რომ ისინი უნდა შემჭიდროვდნენ და შემოკრბნენ პარტიული ორგანიზაციის გარშემო, დახმარება გაუწიონ მას, ადგილობრივმა ორგანიზაციებმა სწორად გაატარონ ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ხაზი.

მაგრამ ამასთან ერთად ადგილი აქვს მთელ რიგ უარყოფითი მხარეებს, როგორიცაა მაგალითად: ზოგან ღარიბთა ჯგუფები სწორად არ არის ჩამოყალიბებული, ვერ ეწევა მათ საკმაო ხელმძღვანელობა ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციების მხრივ, რის გამოც ჯერ კიდევ მოისუსტებს ღარიბთა ჯგუფების მუშაობა.

მომავალში უნდა გავაძლიეროთ ხელმძღვანელობა ადგილებზე, რათა შესაფერ დონეზე დავაყენოთ ღარიბთა ჯგუფების მუშაობა. ამ მიზნით ადგილებს საკმაო რაოდენობით უნდა მიეწოდოს სახელმძღვანელო ლიტერატურა, რათა ამ საკითხში უფრო მეტი გარკვეულობა იქნეს შეტანილი, უნდა მიეცეს მათ დირექტივა იმის შესახებ, თუ რა პრაქტიკულ მუშაობას უნდა აწარმოებდნენ ღარიბთა ჯგუფები და შეეძლოთ მუშაობა გამოცოცხლება ცოცხალი კავშირის გაბმისა და უშუალო ხელმძღვანელობის გაწევის საშუალებით.

სათემო კომიტეტების წარმომადგენლების მოხსენებიდან—ღარიბთათვის მატერიალური დახმარების გაწევის შესახებ, გამოირკვა, რომ მათ მიერ ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის შესწავლილი საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობენ ადგილობრივი საბჭოთა საზოგადოებრივი ორგანიზაციები და როგორ ტარდება მათ მიერ პარტიის ხაზი. ამიტომ ისინი უნდა შეუდგნენ ჩვენი სოფლის მდგომარეობის უფრო დაწვრილებით შესწავლას და მასზე ააგონ შემდეგი მუშაობის გეგმები.

ვ. ტ.

ხელოვნება

სახელმწიფო კონსერვატორიაში

ს. ბეზროდნის კონცერტი

28 დეკემბერს სახელმწიფო კონსერვატორიის საკონცერტო დარბაზში გაიმართა სკრიპკაზე დამკვრელის ს. ბეზროდნის კონცერტი.

ახალგაზრდა ვიოლონისტმა 3 წლის წინად დაამთავრა მოსკოვის კონსერვატორია (პროფესორ კრეინის კლასი); შარშან ბეზროდნი მოიწვია თბილისის კონსერვატორიამ, სადაც ის ასწავლის სკრიპკაზე დაკვრას და უძღვება საკვარტეტო კლასს.

კონცერტის პროგრამაში შეტანილი იყო კლასიკოსები (1 განყ.): ბახი, ტარტინი, მენდელსონ-ბურმესტერი. მე-2 განყოფილებაში, პაგანინი-კრეისლერის (კაპრიზი № 24) და ერნსტის (ფანტაზია ირლანდიურ თემაზე) ვირტუოზულ ნაწარმოებებთან ერთად, ბეზროდნიმ შეასრულა სხვადასხვა ახალი ნაწარმოებნი: შოსონის პოემა, სკოტის „ლოტოსის ქვეყანაში“ და მოხდენილი ნაწყვეტი პროკოფიევის სავიოლინო კონცერტიდან.

ს. ბეზროდნიმ მეტად სასიამოვნო შთაბეჭდილება დასტოვა: მისი სახით თბილისის კონსერვატორიამ შეიძინა მშვენიერი ვიოლონისტი და კულტურული მუსიკოსი, რომელიც მსმენელებს დიდ სიამოვნებას ანიჭებს.

ბეზროდნის საუცხოოდ განვითარებული ტეხნიკა აქვს—მეტადრე მარცხენა ხელისა: უძნელეს აკორდებს, ორმაგ ფლაჟოლეტებს, ყოველგვარ სავიოლინო ეფექტებს ბეზროდნი ადვილად, სუფთად და მარჯვედ ასრულებს. ბახის სონატაში, რომელიც დაწერილია solo-სათვის, ბეზროდნიმ გამოიჩინა უნარი სტილის გადმოცემაში, და შეგნება ბგერებისა. დიდის ლაზათით შეასრულა ბეზროდნიმ აგრეთვე ბახის ცნობილი არია სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული კვარტეტის აკომპანემენტით (მხოლოდ მეტის-მეტ piano-დ უკრავდა კვარტეტი,—ამის გამო ბახის პოლიფონიის სილამაზე დაიჩრდილა რამდენიმედ). ასევე კარგად შეასრულა ბეზროდნიმ ტარტინის ცნობილი სონატა „ტრილ დია ვოლო“. მაგრამ ამ შესრულებაში სასურველი იყო ბგერათა მეტი მრავალფეროვნება, მეტი დინამიკა. აღსანიშნავია კადენციის ბრწყინვალე შესრულება ტარტინის სონატაში. ბეზროდნიმ გასაოცარი სიმარჯვე გამოიჩინა მენდელსონ-ბურმესტერისა და სხვადასხვა წმინდა-ტეხნიკურ ნაწარმოებთა შესრულებაში.

ბეზროდნის ნაკლად უნდა ჩაითვალოს: ვირტუოზისათვის საჭირო მძლავრი ტონის უქონლობა და ერთგვარი ერთფეროვნება ხმების შეფარდებაში (თუმცა, შესაძლებელია, ეს შემთხვევითი მოვლენა იყო).

მცირერიცხოვანი აუდიტორია ბეზროდნის გულთბილად შეხვდა.

დ.

ქუთაის-ბათომის სახელმწიფო თეატრი

— თეატრის დადგმები 29—30 დეკემბერს. ქუთაის-ბათომის სახელმწიფო თეატრი 29—30 დეკემბერს მართავს წარმოდგენებს დილაობით და საღამოობით. შაბათს, 29 დეკემბერს, დილით დადგმული იქნება „ცხვრის წყარო“, ამავე დღეს საღამოს შ. დადიანის კომედია „კაკალ გულში“. კვირას, 30 დეკემბერს, დილით წარმოდგენილი იქნება ბ. შოუს „წმინდა ქალწული“, ამავე დღეს საღამოს ტოლლერის—„ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“.

— **მორიგი პრემიერა.** თეატრი მორიგ პრემიერად სდგამს კირშონის პიესას „ლიანდაგი გუგუნებს“ თარგ. ს. ჩიქოვანის; დადგმა ვახტანგ აბაშიძის; დეკორაციები ელ. ახვლედიანის. მთავარ როლებში:—შ. ღამბაშიძე (ვასილი), სალუსა ჭიჭინაძე (ვასილის ცოლი), ან. ქიქოძე (ლიუდმილა მიხაილოვნა), შ. გომელაური (ტელესფორ ედმუნდოვიჩ), ი. ზარდალიშვილი და სხვ.

— **„ურიელ აკოსტა“.** შემდეგ პრემიერად თეატრი აახლებს „ურიელ აკოსტა“-ს. მთავარ როლებში უშანგი ჩხეიძე (ურიელ), ვერიკო ანჯაფარიძე (იუდითი), იმედაშვილი და სხვ. პიესას სდგამს რეჟისორი გ. სულიაშვილი. დეკორაციები ახალგაზრდა მხატვარ პ. ოცხელის, მუსიკა ვახვახიშვილის.

— **ახალი დადგმები.** ამჟამად თეატრი გარდა „ურიელ აკოსტა“-სი ამზადებს შექსპირის „მაკბეტს“, ლავრენევის „რღვევას“, დ. კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალს“, და დ. შენგელაიას „თეთრებს“. თეატრის მიერ დასადგმელად მიღებულია აგრეთვე ქართველ ავტორების ახალი ორიგინალური პიესები.

— „ლიანდაგი გუგუნებს“ ბათომში. მორიგ პრემიერად ბათომში წავა კირშონის „ლიანდაგი გუგუნებს“.

როგორც ბათომში, ისე ქუთაისში წარმოდგენები მიდის სრული ანშლაგით. პროფორგანიზაციების მიერ წინასწარ შეყიდულია რამდენიმე წარმოდგენა.

ხელოვნების ქრონიკა

◆ ქართველ მხატვართა საზოგადოება აწყობს თავის დარბაზში (სასტუმრო „ორიანტი“-ს შენობა) სათეატრო-დეკორატიულ ხელოვნების გამოფენას. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება სახელმწიფო თეატრების (თბილისის და ქუთაისის) მნიშვნელოვან დადგმების ნახატები და მაკეტები. გახსნა დანიშნულია კვირას, დეკემბრის 30 12 საათზე. მონაწილეობენ: ირაკლი გამრეკელი, კარპ იოანოვი, დავით კაკაბაძე, ევგენი ლანსერე, ნიკოლოზ [illegible] [illegible] [illegible] რობერტი, ვლადიმერ ტატიშჩევი და იოსებ შარლემანი.

ქრონიკა

გასაღებულია ინდუსტრ. მეორე სესხის 20.199.000 მან ობლიგაცია

— ა. კ. ფინანსთა სახ. კომისარიატის ცნობით, 25 დეკემბრისათვის მთელ ამიერ-კავკასიაში ხელის მოწერა ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხზე ჩამოყალიბებული იყო 20.199.000 მან. ობლიგაციაზე. აქედან საქართველოში—8.997.000 მან.; აზერბეიჯანში—9.020.000 მან. და სომხეთში—2.182.000 მან.

სოფლებში ხელის მოწერით გასაღებულია 1.948.000 მან. ობლიგაცია, აქედან საქართველოში—978.000 მან., აზერბეიჯანში—594.000 მან. და სომხეთში—376.000 მან.

სესხის რეალიზაციის გეგმა საქართველოში შესრულებულია 225 პროცენტით, აზერბეიჯანში—164 პროცენტით და სომხეთში—214 პროცენტით. მთელ ამიერ-კავკასიაში გეგმა შესრულებულია 192 პროცენტით.

გერმანელი სტუდენტების ჩამოსვლა

გუშინ დილით ბაქოდან თბილისში ჩამოვიდა გერმანიის სხვადასხვა უნივერსიტეტების სტუდენტთა ჯგუფი 9 კაცის შემადგენლობით.

გერმანელ სტუდენტთა ჩამოსვლის მიზანია საბჭოთა კავშირის სტუდენტთა მდგომარეობის, უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის პირობების და საერთოდ საბჭოთა წყობილების გაცნობა. ჯგუფი საბჭოთა კავშირში ერთი თვეა რაც იმყოფება და ამ ხნის განმავლობაში შემოიარა რუსეთის (ცენტრალური გუბერნიები, ვოლგის მხარე, თურქესტანი და აზერბეიჯანი.

თბილისში ჩამოსულ სტუდენტებს შეხვდნენ საქართველოს პროლეტარულ სტუდენტთა ბიუროს წევრები, რომლებთანაც ერთად ჯგუფი დაათვალიერებს თბილისის უმაღლეს სასწავლებლებს და სამეცნიერო დაწესებულებებს.

ჯგუფი თბილისში დარჩება ორი დღე.

ცვალებადელთა საყურადღებოდ

მეორე ქართულ საარტილერიო ლეგიონის მეორე დივიზიონი ამით აცხადებს მასზედ მოწერილ (ცვალებად შემადგენლობის წითელ) არმიელების საყურადღებოდ რომ 1929 წლის 6 იანვარს დილის 8 საათისათვის დანიშნულია ერთდღიანი შეკრება ლეგიონის შენობაში (კლარა ცეტკინის ქუჩა № 11.) აღნიშნული რიცხვისათვის გამოცხადება ყველასათვის სავალდებულოა.

საქ. საგეგმო კომისიის პრეზიდიუმის დამტკიცება

საქართველოს სახკომსაბჭომ დაამტკიცა საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის პრეზიდიუმი შემდეგი შემადგენლობით:

ამხ. ა. კაკაბაძე (თავმჯდომარე), ა. კირიაკაძე (თავმჯდომარის მოადგილე), ე. ალშიბაია (მეორე მოადგილე), გ. ელისაბედაშვილი (სახ. სამ. სექციის თავმჯდომარე), დოლიძე (კომუნალური სექციის თავმჯდომარე), კ. ორაგველიძე, ა. ზუაბიძე, (სოც. კულტ. სექციის თავმჯდომარე), ი. მამულია (სტატისტიკის ცენტრალური სამმართველოს მმართველი), ს. გოდაბრელიძე (საქ. პროფსაბჭო), გ. თევზაია, (მ.-გ. ინსპექცია) დ. თოფურიძე, ბ. თევზაია, ა. ჭუმბურიძე და გ. ჯალიაშვილი

ღარიბულ გლეხობის ჩაბმა სამომხმარებლო კოოპერაციაში

ცეკავშირის გამგეობის უკანასკნელ სხდომაზე განხილულ იქნა სამომხმარებლო კოოპერაციაში ღარიბულ გლეხობის შეკავშირების საკითხი.

სხდომაზე აღნიშნული იქნა, რომ ღარიბი გლეხობის სრული შეკავშირება კოოპერაციაში მოსალოდნელია ორი წლის განმავლობაში.

გამგეობის დადგენილებით, ღარიბ გლეხობის სამომხმარებლო კოოპერაციაში ჩასაბმელად გადადებული იქნება თანხები ყველა სამომხმარებლო ორგანიზაციის წლიური მოგებიდან.

ფართალი მეგამბე გლეხებს

ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს ცნობით, საქართველოს მეიაში გლეხებს მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გადაეცა 305.000 მეტრი ფართალი, ღირებული 153.000 მანეთად.

კრებები და მოხსენებები

◆ დღეს, 29 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე, განათლების მუშაკთა სახლში გაიხსნება ფიზკულტურის მასწავლებელთა კონფერენცია სკოლის გამგეების და სასკოლო ექიმების თანდასწრებით.

◆ საქ. მთიელთა კულტურული საზოგადოება კვირას, 30 დეკემბერს, დილის 10 საათზე მთიელთა საბავშვო სახლის საკრებულოში იწვევს თბილისში მცხოვრებ სვანების კრებას.

შემთხვევები

შეიარაღებული თავდასხმა ბოტანიკური ბაღის მუშებზე ყარაიაში—ბანდიტები დაპატიმრებულია

ა. წ. 17 დეკემბერს, 4 შეიარაღებულმა ბოროტმოქმედმა გაძარცვის მიზნით თავს დაესხა ბოტანიკური ბაღის მუშებს ყარაიაში. თავდასხმის შესახებ ცნობის მიღებისთანავე თბილისის სისხლის სამართლის მილიციამ ყარაიაში გაგზავნა ინსპექტორის თანაშემწე ზ. აზარიანცი, რომელიც ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად შეუდგა ბანდიტების ძებნას.

როგორც გამოირკვა, თავდასხმა მომხდარა შემდეგ პირობებში: თავდამსხმელებმა თავიანთი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად პირველად განაიარაღეს ბოტანიკური ბაღის გამგის მოადგილე ვახტანგ მახაბელი, რომელსაც წაართვეს შაშხანა თოფი, ნაგანის სისტემის რევოლვერი და ხანჯალი.

ეს ამბავი შენიშნა ბაღის მცველმა სოლომონ საბადაშვილმა, რომელიც გაიქცა გამგის ბინაზე და იქ მყოფთა აცნობა ბანდიტების თავდასხმა.

ამ დროს ყაჩაღებმა, შეამტვრიეს ბაღის გამგის ბინის კარები და წინადადება მისცეს ოთახში მყოფთ ხელები მაღლა აეწიათ.

ამის შემდეგ ისინი შეუდგნენ ჩხრეკას. ყუთი ლაფერი ყირამალა გადააბრუნეს, ეძებდნენ ფულს. ხმაურობაზე გამოეშველნენ მამულის მუშებს, რომლებმაც თავდამსხმელებს აუტეხეს სროლა. თავდამსხმელებმაც სროლითვე უპასუხეს. სროლის დროს, რომელიც გაგრძელდა 1 საათი, დაიჭრა მუშა შაქრო მიხოს ძე ბანეთიშვილი.

ბანდიტებმა გაიტაცეს სხვადასხვა ნივთები და მიიმალნენ.

ამ დღეებში ყველა ბანდიტები დააპატიმრეს. ისინი აღმოჩნდნენ: იდრის ომარ-ოღლი, სამად მუხტი-ოღლი, აჯი ხალილ ოღლი და ნამაზ ნამაზ-ოღლი (მცხოვრებნი სოფ. ქაფანაკჩი, ბორჩალოს მაზრა).

გაჩხრეკისას ბანდიტების ბინაზე იპოვნეს გატაცებული ნივთები. იდრის ომარ-ოღლის პურის ფქვილში დაემალა ნაძარცვი იარაღი.

იდრის ომარ-ოღლი და ნამაზ-ოღლი რამოდენიმეჯერ იყო მიცემული სასამართლოს პასუხისგებაში მძარცველობისათვის.

ბანდიტები გამოტყდნენ დანაშაულში.

თავდასხმელთა დაპატიმრება

ა. წ. 9 დეკემბერს, სოფ. სოღანლუღის და ხარაბურის შუა (წითელ ხიდის ახლოს) ალბულაღში მიმავალ 10 მეურმეს თავს დაესხა 4 შეიარაღებული ყაჩაღი, რომლებმაც გაძარცვეს მეურმე გლეხები. მოქ. ასან სულეიმან-ოღლიმ წინააღმდეგობა გაუწია ყაჩაღებს, რის შემდეგ განიზრახა მიმალვა. ყაჩაღებმა შაშხანა თოფიდან ესროლეს მას და მძიმედ დასჭრეს. ამ დღეებში თბილისის სისხლის სამართლის მილიციამ ყველა ბოროტმოქმედნი დააპატიმრა. ისინი აღმოჩნდნენ: ახმედ ასკეროღლი ალახვერდიევი და ბახტიარ ვალი-ოღლი (სოფ. სოღანლუღში მცხოვრებნი). გაძარცულმა გლეხებმა ბოროტმოქმედნი გამოიცნეს.

ზემო-თიანეთის სასოფლო საბჭოს სალაროს გამქურდავთა დაპატიმრება

სოფ. ზარიძეებში (თიანეთის სამილიციო რაიონი) გატეხეს ზემო-თიანეთის სასოფლო საბჭოს სალარო. წაიღეს ფულად 365 მანეთი და 460 მანეთის ობლიგაციები. ამ საქმეზე მილიციამ დააპატიმრა: ნიკო კაციას ძე ამარზაშვილი, შალვა (ივივე ალექსი) დიმიტრის ძე ლეინაშვილი, არჩილ ალექსის ძე ჯანგარაშვილი, სიმონ ადომილის ძე ლეინაშვილი და არჩილ ბასილის ძე ჯანგარაშვილი.

ბანდიტის მოკვლა

რამდენიმე ხნის განმავლობაში სოფ. იორმუღანლოში თარეშობდა ბანდიტი მახმუდ მამედ ოღლი. სისხლის სამართ. მილიციის ცნობებით, მახმუდ მამედ-ოღლიმ შურისძიებისა და გაძარცვის მიზნით სხვადასხვა დროს მოკლა სოფ. იორ-მუღანლოს საბჭოს თავმჯდომარე ალი სულეიმან-ოღლი, გაძარცვის მიზნით დასჭრა მოქ. ნამაზ იუსუფ-ოღლი. მანვე სიკვდილის მუქარით გაძარცვა იოსებ ზურაბიშვილი, რომელსაც წაართვა ერთი ცხენი და ფულად 780 მანეთი. ა. წ. 31 აგვისტოს, მახმუდ მამედ-ოღლისა და ყარაიას ადგილობრივ ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის მოხდა შეტაკება. სროლის დროს მახმუდ მამედ-ოღლიმ მოკლა სოფ. იორ-მუღანლოს მაშინდელი საბჭოს თავმჯდომარე ხაზარ-ოღლი, მოკლა აგრეთვე ყარაიას მილიციის თანამშრომელი ციხიელი და მძიმედ დასჭრა მოქ. ნამაზ ხაზარ-ოღლი და მიიმალა. იმავე დღეს მახმუდ მამედ ოღლი მიხვიდა მახლობლად თავს დაესხა თბილისში მიმავალ მეურმე გლეხებს და გაძარცვა.

მილიციასთან შეტაკების დროს სოფ. იორ-მუღანლოში ბანდიტი მოკლულ იქნა.

თვითმკვლელობა

თვითმკვლელობის მიზნით თოკით თავი ჩამოიხრჩო 13 წლის გაბრიელ ესტატეს ძე ნაჭიმანიძემ (მცხ. სოფ. საფუძოში, მანგლისის სამილიციო რაიონი). თავის ჩამოხრჩობის მიზეზი ირკვევა.

გაფლანგვა

დაპატიმრებულია მუშკოოპის პურის დუქნის (№ 187) ყოფილი გამგე ივანე მიხეილის ძე საფიანცი, რომელმაც მიითვისა სახაზინო ფული.

შეპყრობა

მილიციამ დააპატიმრა: იაკობ ზაქარიას ძე ალიხანაშვილი, ივანე გიორგის ძე არუთ ნინანცი, მიხეილ ვასილის ძე სანინი, სტეფანე კუზმას ძე ლუკიანოვი (ივივე სერგო პეტრეს ძე ლებედევი) და მიხეილ არტემის ძე ასმარიანი, ხსენებულ პირებს ბრალდებათ ქურდობა და ჯიბგირობა.

ქურდობა

ნინო აბელიძის სანიტარულ-ჰიგიენურ ინსტიტუტში მოპარეს საექიმო ხელსაწყოები.—გაქურდეს ტიგრან კარაშოვის ბინა; მოპარულია 100 მანეთის ნივთები.—ევგენია ვარაზოვას ტრამვაის ვაგონში ჯიბიდან ამოაცალეს 70 მანეთი.—სარდიონ აბუთიძის ბინიდან (კრილოვის ქ. № 2) მოიპარეს 100 მანეთის ნივთები და ნაგანის სისტემის რევოლვერი.—გაქურდეს თამარ ხაჩატუროვას ბინა (ბატარეის ქ. № 12); წაიღეს 2000 მანეთის საოჯახო ნივთები.

დაჯახება

გუშინ, დილით დროგი, რომელსაც მართავდა მოქ. მოროზოვი, რიყის ქუჩაზე დაეჯახა ნადეჟდა იოსების ასულ ვეფხვაძეს (მცხ. არსენალის ქ. № 35) და მძიმედ დაშავა. დაშავებულს აღმოუჩინეს სასწრაფო საექიმო დახმარება და მოათავსეს თავის ბინაზე. მოროზოვი დაპატიმრებულია.

კულაკი მევახშე

სისხლის სამართლის მილიციამ პასუხისგებაში მისცა კულაკი მურად ბალა-ოღლი (სოფ. ქოსალოში მცხოვრები), რომელიც ეწეოდა მევახშეობას. გამორკვეულია, რომ მან სამ გლეხს ასესხა 1200 მანეთი და გადაახდევინა

სასამართლო

ვინ აწვდიდა ფართალს კერძო ვაჭრებს

ამ წლის დამდეგს ხელისუფლების ყურადღება მიიქცია იმ გარემოებამ, რომ იმ დროს, როცა კოოპერატიულ და სახელმწიფო სავაჭრო დაწესებულებები პირველი საჭიროების ფართლეულის დიდ ნაკლებობას განიცდიდნენ, კერძო ვაჭრები აწარმოებდნენ ასეთი საქონლის ხელში ჩაგდებას, რომლითაც ისინი უსაზღვრო სპეკულაციას ეწეოდნენ.

მიღებულ იქნა სასწრაფო ზომები იმის გამოსარკვევად, თუ საიდან [illegible] კერძო ვაჭრები დეფიციტიან ფართალს. მუშათა და გლეხთა ინსპექცია შეუდგა მუშათა კოოპერატივების მუშაობის გამოკვლევას. ამ საქმეს ხელი მოჰკიდა აგრეთვე სახელმწიფო პოლიტსამმართველომ.

შესაფერი საბუთების შეკრების შემდეგ სახელმწიფო პოლიტიკურმა სამმართველომ დააპატიმრა მუშკოოპის № 90 მაღაზიის გამგე ტიგრან მილოვი და იმავე მაღაზიის ნოქარი ბაგრატ ნათენაძე, რომელთაც, როგორც შემდეგ გამოირკვა, მჭიდრო კავშირი ჰქონიათ კერძო ვაჭრებთან.

მათ ჰყავდათ კერძო გადამყიდველების მთელი შტატი, რომლებიც კერძო ვაჭრებს აწვდიდნენ ფართლეულს და მიღებულ ფულს ენაწილებოდნენ „კოოპერატორებს".

გადამყიდველთა „შტატში" ტიგრან მილოვს და ბაგრატ ნათენაძეს ჰყავდათ შემდეგი პირები: ანტონ მგალობლიშვილი, მაიკ ტერ-კაზაროვი, ოგანეზ ეგანოვი, სიმონ მონაზეროვი, სოლომონ გალუსტოვი, გრიგოლ კალთმაზოვი და მიხეილ თედიაშვილი, რომელთაც პირადად ეკუთვნით სახელმწიფო და სავაჭრო დაწესებულებებიდან ფართლეული, ზოგჯერ ორდერებით და ზოგჯერ დაწესებულებების გამგეებთან შეთანხმების გზით.

ტიგრან მილოვთან და ბაგრატ ნათენაძესთან ერთად დაპატიმრებულ იქნენ ზემოდ დასახელებული გადამყიდველებიც.

დაპატიმრებულ იქნენ აგრეთვე კერძო ვაჭრები სერგო ალიხანოვი, თადეოზ მელიტოვი, არამ ლიტოევი და სერგო ხადაგოვი, რომლებიც ხელსაყრელ ფასებში იძენდნენ ფართლეულს გადამყიდველებისაგან და მომატებულ ფასებში ჰყიდდნენ.

საქმის გამოძიება უკვე დამთავრდა. ცამეტივე ბოროტმოქმედი ახლო მომავალში წარსდგება სასამართლოს წინაშე.

შურისძიება

ამბავი ხდება სოფელ ვაშლოვანში (ასურეთის თემი, თბილისის მაზრა).

გლეხი ილო გიორგის ძე წიქარაძეს ამ სამი წლის წინათ გადაწყვეტილი ჰქონდა ცოლად შეერთო არუსიაკ ჩაფიაშვილის ასული, მაგრამ მათი შეუღლება რაღაც მიზეზების გამო არ მოხდა. არუსიაკა სხვას გაჰყვა. ილო კი ცოლი შეირთო.

მიუხედავად ამისა ილო და არუსიაკა ერთიმანეთს მაინც ხვდებოდნენ. ეს გაიგო ილოს ცოლმა შუშანიკა მაკირტუმაშვილის ასულმა, რომელიც დიდი გულის წყრომით შეხვდა ამ ამბავს.

შუშანიკა იმასაც ხედავდა, რომ ქმრის ოჯახში მას უკანასკნელ ხანებში სათანადო პატივისცემით არ ეპყრობოდნენ. ხშირად გაიგონებდა შუშანიკა დედამთილისაგან: „ნეტავი ილოს არუსიაკა შემოეყვანა ოჯახში, ბედნიერი ვიქნებოდით".

ქმარიც არ ეპყრობოდა პატივისცემით შუშანიკას. უკანასკნელი დარწმუნდა იმაში, რომ ყოველივე ამის მიზეზი არის არუსიაკა და გადასწყვიტა მისი მოკვლა. ეძებდა მოხერხებულ შემთხვევას და ადგილს.

არუსიაკა და შუშანიკა მეზობლად ცხოვრობდნენ. ერთ დღეს შუშანიკა ეძახის არუსიაკას და სთხოვს, რომ ბზით გავსებული გოდორი აუწიოს, რადგან ვერ დასძრა სიმძიმის გამო.

გოდორი ბოსელშია, სადაც შუშანიკას მომზადებული აქვს თოკი და ხანჯალი და სადაც უნდა მოხდეს შურისძიება.

არუსიაკა, რომელმაც არაფერი იცის ამ ბოროტი განზრახვის შესახებ, მიდის შუშანიკასთან ერთად ბოსელში.

დაიხარა თუ არა გოდრის ასაწევად, შუშანიკამ არუსიაკას ყელზე მოხვია თოკი და [illegible] დასახრჩობად. ქალმა სწრაფად ხელები ჩასჭიდა თოკს და ისე მაგრა ისე, რომ სუნთქვა არ შესწყვეტოდა. გაიმართა ბრძოლა.

შუშანიკამ ბაწრით ათრია არუსიაკა ბოსლის კუთხემდე, სადაც ქვებზე მიარტყმევია თავი და როცა დარწმუნდა, რომ ამ გზით ვერ მოჰკლავდა, სტაცა იქვე წინასწარ მომზადებულ ხანჯალს ხელი და დაუსვა რამდენიმეჯერ ყელზე და პირის სახეზე.

არუსიაკა განაგრძობდა ბრძოლას ცალი ხელით და თან ჰყვიროდა ცივი ხმით. [illegible] ხელში სისხლის ღვარი იდგა.

შემთხვევით ამ სურათს წააწყდა მეზობელი, რომელმაც მორთო ყვირილი. შეკრბა ხალხი და არუსიაკა სიკვდილს გადაარჩინა.

შუშანიკა წიქარაძე დაპატიმრებულია.

საქმეს გაარჩევს თბილისის მაზრის სასამართლო.

ზერ.

განმარტება. ჩვენი გაზეთის 296 №-ში მოთავსებული სასამართლოს განაჩენი მიხეილ ფილაძის საქმეზე არ შეეხება მიხეილ დავითის ძე ფილაძეს, რომელიც მსახურობს „ტრანსშენი"-ს საორგანიზაციო განყოფილების გამგის თანამდებობაზე.

რკინის გზებზე

ბრძოლა უბილეთოდ მგზავრობასთან

ამ დღეებში ა.-კ. რკ. გზების გამგეობასთან შედგა თათბირი, რომელზედაც განხილულ იქნა რკ. გზებზე უბილეთოდ მგზავრობასთან ბრძოლის საკითხი. თათბირს დაესწრნენ: რკ. გზების დამცველ რაზმის, მოძრაობის, საშემოსავლო და ფინანსიური განყოფილებების წარმომადგენლები.

როგორც თათბირზე გამოირკვა, უკანასკნელ ხანებში უბილეთო მგზავრთა რიცხვი ყველა მატარებლებზე და განსაკუთრებით სამარშრუტო მატარებლებზე არაჩვეულებრივად გაიზარდა.

გარდა იმისა, რომ უბილეთოდ მგზავრობა ზარალს აყენებს გზას, ამავე დროს საშიშროებას წარმოადგენს მატარებლების მოძრაობისათვის. უბილეთო მგზავრები ხშირად ამოხრუშებენ ვაგონებს, რაც იწვევს ვაგონის გადავარდნას ლიანდაგიდან ან შემადგენლობის გაწყვეტას. სამარშრუტო მატარებლებზე უბილეთო მგზავრები ეწევიან თამბაქოს, რაც ჰქმნის ხანძრის გაჩენის საფრთხეს.

კონდუქტორებს არ აქვთ შესაძლებლობა ებრძოლონ უბილეთოდ მგზავრობას, რადგან უკანასკნელი მასიურ ხასიათს ატარებს. მაგალითად, ხაშურ-თბილისის და თბილის-თელავის მატარებლები ორმაგად არის დატვირთული მგზავრებით და კონდუქტორებს ვაგონებში გავლის საშუალება არა აქვთ. უბილეთო მგზავრები ხშირად ადიან ვაგონების სახურავებზე, რომ კონტროლს დაემალონ.

ამასთან ერთად თათბირზე ისიც აღინიშნა, რომ მატარებლების სარევიზიო აპარატი სუსტად მუშაობს.

უბილეთოდ მგზავრობასთან ბრძოლის მიზნით თათბირმა შეიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებები. ამ ღონისძიებებთა შორის აღსანიშნავია: შეიარაღებული საკონტროლო რაზმის დაარსება, კონდუქტორების დასახმარებლად ზოგიერთ მატარებლებზე შეიარაღებულ რაზმელების გაყოლება. ხაზებზე პერიოდულად გზის უფროს აგენტების გაგზავნა, კონდუქტორთა პასუხისმგებლობის გაფართოება და სხვა.

ბილეთის ვადის გაგრძელება

გზის სამმართველოს მიერ გაცემული უფასო სამგზავრო ბილეთებით სარგებლობის ვადა გზათა კომისარიატის ამ.-კავკასიის რწმუნებულის განკარგულებით გაგრძელებულია 1929 წლის 31 იანვრამდე.

ამ თარიღისათვის ყველა ბილეთები შეცვლილი იქნება ახალი ბილეთებით.

მატარებელი № 9—10

1929 წლის 2 იანვრიდან მატარებელი № 9—10 თბილის-ბათომის შუა კვირაში ივლის სამჯერ: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ქარმა შეაფერხა მატარებლის მიმოსვლა

უკანასკნელი დღე-ღამის განმავლობაში ა.-კ. რკ. გზების დასავლეთ უბანზე ჰქონდა ძლიერი ქარი. ამის გამო თოთი-სამტრედია-ზესტაფონ-ხაშურს შუა მატარებლები იგვიანებენ.

ნარევი

წყალქვეშა ნავის დაღუპვის თავიდან აცილება

წყალქვეშა ნაოსნობის ისტორიაში იშვიათი შემთხვევა მოხდა ამ რამდენიმე ხნის წინათ ნეაპოლის ნავთსადგურში. წყალქვეშა ნავი „H 34" მექანიზმის დაზიანების გამო ჩაიძირა და ღრმად ჩაეფლა ზღვის შლამში. კატასტროფის ნიშანი კარგალად მიიღო „H 34"-ის უფროსის ძმამ კაპიტანმა პერუჩეტიმ—წყალში ახლად ჩაშვებულ წყალქვეშა ნავის „ველილა"-ს უფროსმა. პერუჩეტიმ არ დაუცადა ბრძანებას და თავისი წყალქვეშა ნავით გაეშურა „H 34"-ის დასახმარებლად. მიუახლოვდა რა დაძირულ ნავს, პერუჩეტიმ რამდენჯერმე დაეჯახა „ველილა" „H 34"-ს კორპუსს. შენიშნა რა რომ ხანა ახლოა, გამოუშვა ნავიდან მთელი წყლის მარაგი (რომელიც სიმძიმისათვის იყო დაგროვილი) და ამრიგად შემსუბუქებული ნავი რამდენიმე დაჯახების შემდეგ „H 34" ჩაძირულ შლამიდან და ნელ-ნელა ამოიყვანა წყლის ზედაპირზე. ამრიგად წყალქვეშა ნავიც და მისი რაზმიც გადარჩენილ იქნა.

მაგრამ ყველაზე საინტერესო მთელ ამ ისტორიაში ის არის, რომ კაპიტანი პერუჩეტი დაპატიმრებულ იქნა „დაუმორჩილებლობისათვის" რაც იტალიის სამხედრო-საზღვაო სამინისტროს აზრით იმაში გამოიხატა, რომ მას არ ჰქონდა ბრძანება დახმარების აღმოჩენის შესახებ.

სამოქალაქო ავიაცია გერმანიაში

1928 წ. 1-ლი სექტემბრისათვის გერმანიაში გზათა მიმოსვლის სამინისტროს მიერ სათანადოდ დაშვებულ აეროპლანების რიცხვი 747 უდრიდა. ამ რიცხვიდან—57 მრავალმოტორიანი იყო.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 29 დეკემბერს, თბილისის შრომის ბირჟიდან სამუშაოზე იგზავნებიან შემდეგი უმუშევრები.

კვალიფიციურ მუშათა პირველ სექციიდან: ალექსანდრე ჩიხლაძე, მიხეილ მირზოევი, დავით კახიანი, ნიკოლოზ გენკინი, ცაგან ვარშაგონიანი, ერასტი წივწივაძე, ლეონიდ იანუშევსკი, მიხეილ ფილენიშვილი, ფირუზ ბრეგაძე.

შავ მუშათა მესამე სექციიდან: ბაბში დანდუროვი, სირანუშ ოსიპოვი, ბარბალე ნებიერიძე, ელისაბედ ხაჩატურიანი, ნინო აბრამიშვილი, მარიამ ტესინოვა, მარიამ გრიგორიანცი, მარიამ ივანოვა.

მშენებელ მუშაკთა მეხუთე სექციიდან: გიორგი მახაბლიშვილი, ამალია მიკირტიჩიანი, გრიგოლ პავლოვი, მარქარ არუთინოვი, ილია ხანოვა, გრიგოლ ტატიანცი, ტელემაკ კირაკოსიანი და სარქის ილიაევი.

მედსექციიდან: ლ. მიტნიკ-კომისაროვა და ა. ვაინბერგი. ამას გარდა სექციამ მიიღო ახალი მოთხოვნილება მედპერსონალზე: სამხრეთ ოსეთში საჭიროა ერთი კბილის ექიმი და ორი ბებია-ქალი. კახეთის მაზრაში—საექიმო წერტილის გამგე, სამი ექიმი და ერთი ფერშალი.

რკინისგზელთა მეშვიდე სექციიდან: თამარ ლომიძე, ალექსანდრე ზმიევსკი, ვიქტორ კამოევი და გიორგი მეივიდიანი.

ახალი კოლექტივი

ამ დღეებში შრომის ბირჟასთან გაიხსნება უმუშევართა მარილის მთქმელი კოლექტივი.

კოლექტივის მოსაწყობად ბირჟის კომიტეტმა გადასდო 500 მან.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს შაბათს 29 დეკემბერს, შუადღის 12 საათზე საქართველოს კომპარტიის (ბ) ცეკას სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში ამხ. მამულიას კაბინეტში შედგება თათბირი, რომელსაც უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: ჩხარტიშვილი (პოლიტგანი), ხოსიანი, ქაცარავა, ნიორაძე (საქართველოს მუზეუმი), გორგაძე (ისტორიული მუზეუმი), პარკაძე (რევ. მუზეუმი) მიქაძე (პროფსაბჭოს კულტგანყოფილება). დემეტრიძე (კომკავშირის ცეკა), ზედია, ადამიანი.

—:—

ქვემოთ დასახელებულ ამხანაგებს ვთხოვთ გამოცხადდნენ დღეს 29 დეკემბერს. დღის 3 საათამდი ცეკას აგიტპროპგანყოფილებაში ამხ. ი. კოლოთასთან.

ს. ხუნდაძე, ს. კაკაბაძე, დოც. გ. გაბტმანი, პროფ. არაყიშვილი, ვ. კოტეტიშვილი, ს. გოდაბრელიძე; ა. ზანდუკელი; ტ. კალანდარიშვილი და პ. ინგოროყვა.

სახ. უნივერსიტეტის აგრო-ფაკულტეტთან არსებული ა. ლ. კ. კ. პირველი უჯრედის ბიურო ამით აცხადებს, რომ დღეს, 29 დეკემბერს, სრულ 3 საათზე შედგება ამავე უჯრედის მორიგი კრება. უნდა დაესწრონ უჯრედის წევრ-კანდიდატები. დღის წესრიგში ძრიად მნიშვნელოვანი საკითხები.

—:—

ლენინის რ. მ. კ. ქალთა შორის მომუშავე განყოფილება იწვევს რომ შაბათს 29 დეკემბერს საღამოს 6 საათზე „ზაკპო"-ს კულტ განყოფილების შენობაში მოწვეულია კოოპერატორ ქალთა აქტივის კონფერენცია. სარევიზიო-საკონტროლო კომისიის წევრთა და კოოპერატიულ წრის მშენებელთა (ქალების) დასწრება სავალდებულოა.

დღის წესრიგი: ქალთა მონაწილეობა საბჭოთა არჩევნებში; ქალების მონაწილეობა რეჟიმის კვირეულის ჩატარებაში.

კვირას, 30 დეკემბერს, ქ. ქუთაისში გადასვენებული იქნება საოჯახო [illegible]

გაიანე მიხეილის ასული რუხაძის

ხსოვნის აღსანიშნავად, რასაც აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ განსვენებულის მეუღლე ვასილი როსტომის ძე რუხაძე თავის ოჯახით. 6117

ღრმად დამწუხარებული მეუღლე დესპინე ალექსის ასული [illegible], შვილიშვილი ვახტანგ იასონის ძე გეგელაშვილი, ცოლისძმა ლევან ალექსის ძე კურცკიძე მეუღლით ეკატერინა ილიას ასულით, ცოლისდები ეკატერინა და მარიამ ალექსის ასული კურცკიძის, სულით და ქვრივი გედეონ დიმიტრის ძე წერეთელი მეუღლით ელენე ალექსის ასულით და შვილებით თამარი, კეთო და ლეონ აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

ექვთიმე (ჯარისხან) დავითის-ძე ჩიჩინაძის

გარდაცვალებიდან 1 წლის შესრულების გამო 30 დეკემბერს, დილით კვირას 12 საათზე, [illegible] სასაფლაოზე დანიშნულია საერთო პანაშვიდი. ნ. 2044

ღრმად დამწუხარებული ძმა და ძმისწული [illegible] ხა, მიშა, მარგალიტა, ბაბუცა აუწყებენ საზოგადოებას. რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი დიდებული და დეიდაშვილი, მასწავლებელი

თამარა ალექსანდრეს ასული (ასათიანი) ყრუაშვილისა

დაკრძალვა 30 დეკემბერს ლეჩხ. მაზრაში. 6121

სახ. უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტობა ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას. რომ 20 დეკემბერს უდროოდ გარდაიცვალა ამავე კურსის სტუდენტი

მიხაკო აქსენტის-ძე სიხარულიძე

დაკრძალვა 24 დეკემბერს დაბა ჩოხატაურში (გურია). 6128

---

28 დეკემბერს გარდაიცვალა

ელისაბედ გრიგოლის ასული მალიევისა

რასაც მწუხარებით იუწყება შვილი კონსტანტინე კონსტანტინეს-ძე მალიევი ცოლშვილით. პანაშვიდი 29 დეკემბერს საღ. 6 საათზე ბინაზე. ბესიკის მოედანი 29. გასვენება კვირას, 30 დეკემბერს დილის 10 საათზე. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე 1 საათზე. 6123

სოფ. ამბროლაურის (რაჭა) ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ღრმა მოხუცებაში მყოფი

სინა სიმონის-ძე გიორგობიანი

რასაც მწუხარებით აუწყებს ნათესავებს და ნაცნობებს მარო და მიხეილ გოგაშვილი შვილებით; ანთო, ლეონტი და ვარო გიორგობიანი შვილებით, კატო და ალექსი კახიაშვილი შვილებით დაკრძალვა მოხდება ოქვა 29 დეკემბერს. ნ 2047

კომუნისტი

დიდი პოლიტიკური გაზეთი

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის და თბილისის კომიტეტის და სრ. საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ორგანო.

მიიღება ხელისმოწერა 1929 წლისათვის

გაზეთის წლიურ ხელისმომწერთ 1929 წელს დაურიგდება



კ. მარქსის „კაპიტალი" ქართულ ენაზე

ტომი I-ლი, ათას გვერდამდე ყდაში, საუცხოო გამოცემა

თარგმნილი გერმანულიდან ქართულად—დ. მ. ონიაშვილის მიერ.

ქართული თარგმანის პასუხისმგებელი რედაქტორი—სახ. უნივერსიტეტის რექტორი მ. ტოროშელიძე.

გაზეთი წლიურად „კაპიტალი"-ს დამატებით ეღირება:

შეღავათიან ხელისმომწერთათვის 15 მ. 50 კ.

დაწესებულებების ორგანიზაციებისა და კერძო პირებისათვის 19 მან.

დაწესებულებანი და კერძო პირნი 19 მანეთს იხდიან ერთდროულად, ხელისმოწერისთანავე.—

შეღავათიან ხელისმომწერლებს შეუძლიათ ნაწილ-ნაწილ შემოიტანონ ხვედრი (15 მ. 50 კაპ.) ფული შემდეგ ვადებში: ორი მანეთი ხელისმოწერისთანავე (წლიური ხელისმოწერა მიიღება მხოლოდ 5 იანვრამდე), დანარჩენი კი თვიურად მანეთნახევარი, 9 თვის განმავლობაში იანვრიდან დაწყებული.

ხელისმოწერა მიიღება ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებებში, რკინისგზის კიოსკებში, „კომუნისტი"-ს გამოცემლობის კონტრაგენტებთან და **გამომცემლობის მთავარ კანტორაში**

რუსთაველის პრ. № 34

რუსთაველის თეატრი

კვირას, 30 დეკემბერს ვ. კირშონის

„ლიანდაგი გუგუნებს"

დრამა 4 მოქმედებად და 9 სურათ. თარგმ. ალ. ბოკერიასი

დადგმა შ. აღსაბაძის მხატვარი ირ. გამრეკელი.

სამხატვრო ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი: ალ. ახმეტელი

დასაწყისი სრულ 8 საათზე

დარჩენილი ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში და პროფსაბჭოს კულტგანყოფილებში მუშათა ზოლის სალაროში მუშათა სასახლე ოთახი № 1

2—1 ნ. 2050

სახკინმრეწვის კინოები

განთიადი		ალანის სიზმარი	დუგლას ფერბენქსის მონაწილეობით
არფასტოლ	მსოფლიო ფილმი	თავდასხმა ვირჯინიის ფოსტაზე	
სოლეი	ახ ტრფული სურათი	კირა კირალინა	პ. ისტრატის რომანის მიხედვით.
მინიონი		ნიკოლოზ მეორეს რუსეთი და ლევ ტოლსტოი	
[illegible]	მხატვრული ფილმი	ფუჯი	მხოლოდ სამ დღეს.
აპოლო	დიდი [illegible] გამო ბრძოლა [illegible]	მორალი	[illegible] „პირა პოლა"
დარბაზი	მხატვრული სურათი	მარიიკა	
[illegible]		თეთრი არწივი	რუსულ რომანის ძოხაწ. 1 და 2 სერია ერთად.

0—24

ცირკი კოლოსი

ტელეფ. № 8—64

დღეს

განახლებული სანახაობა

ახალი გასტროლები

3 განყოფილება.

მხეცების მწვრთნელის ნ. ა. გლადილშჩიკოვის

გასტროლი ძუ და ხვადი ლომებით, დათვებით და დოგებით

კვირას 30 დეკემბერს დღის სანახაობანი

მონაწ. მთელი დასი, ყველა გასტროლიორები და მწვრთნელი გლადილშჩიკოვი ლომებით, დათვებით და დოგებით.

დასაწყისი დღის 2 საათზე.

3—1 ნ. 2042

იჩქარეთ ნახოთ!

პირველად საბჭოთა კავშირში! პირველად თბილისში! ისეთი რამ. რაც ჯერ არავის უნახავს!

სამხეცე ცხოველთა სამყარო

ყოფილი კლუბის (ოფ. ბარტოს) ბაღში

ჩამოყვანილია იშვიათი ექსემპლიარები

მფრინავი ძაღლები

ყველამ უნდა ნახოს ეს მეტად იშვიათი ექსემპლიარები.

სამხეცე ღია ყოველდღე დილის 8 საათიდან ღამის 12 საათამდე

ანონსი: ჩამოდის ტროპიკულ ტყეების საშინელება?

ნ. 1834 11-16.

ქ. ქუთ. 1-ლი რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი ი. მილორავა

ამით აცხადებს, რომ ქუთაისში მე-3 ინტერნაციონალის ქუჩის № 2 შესახვევში 8 იანვარს 1929 წ. დღის 2 საათზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის შალომ აბრამის-ძე რიჟინაშვილის უფლებას სახლის ერთ მეოთხედ ნაწილზე. სახლის ზედა სართული ხის არის, ნაწილი დაფიცრულია, შემდგარია ზედა სართული 7 საცხოვრებელი ოთახისაგან და ერთი სამზარეულოსაგან. ქვედა სართული ქვიტკირის არის და შესდგება ორი საცხოვრებელი ბინისა ან, სამზარეულოთი და ღვინის სარდაფით. რიჟინაშვილის უფლება შეფასებულია 300 მან., რომელი თანხიდან დაიწყება საჯარო ვაჭრობა. სახლი იყიდება რახილ რიჟინაშვილის და ხაზ-აშვილის დასაკმაყოფილებლად. ვინც სურს საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება, უნდა წარმოადგინოს ცნობები, აღნიშნული სამოქ. საპ. კოდ. 311 მუხ. და შეფასების თანხის საწინდარი 10 პროც. ნ. 2049

ქუთაისის 1-ლი უბ. სასამართლოს აღმასრულებელი ი. მილორავა

ამით აცხადებს, რომ ის 4 იანვარს 1929 წ. დღის 2 საათზე, ხანჩალიშვილის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის შალვა ჯიმშელეიშვილის მანქანებს, მუშაობის პროცესს მისი მოწყობილობით, მომზადების დაზგას თავისი მოწყობილობით და კანფეტის შესახვევ ქაღალდებს, შეფასებულს 212 მან. მარიამ რუხაძის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. ქუთ. სანოტარო კანტორის წარწერისა თამასუქზედ 7 ივლისს 1928 წ. № 1004. ნ. 2044

ქ. ქუთაისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი ი. მილორავა

ამით აცხადებს, რომ ის 4 იანვარს 1929 წ. დღის 12 საათზე აკაკი წერეთლის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის სარეწაო კოოპერატივის „ვადი"-ს მოძრავ ქონებას—ცეცხლგამძლე სალაროს „ვეჰერ"-ს შეფასებულს 91 მან. და 54 კაპ. ლიდა ბობოხიძის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქუთაისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი ფურცლისა 5 დეკემბრიდან 1928 წ. № 6161. ნ. 2049

ექიმი

ქ. ს. ფონ-ირტელი

სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, ასრულებს ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე, ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და საღ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.

პლეხანოვის პროსპ. № 10

ლოგოპედი

ა. ა. კაიშაური

ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა

ასწორებს

ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, იდეტიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს

იღებს: საღამოს, 5—7 საათ

კლარა ცეტკინის ქ. № 132.

13—1 ნ. 1608

დღეს, საღამოს სრულ 6 საათზე

საქართველოს პროფსაბჭოს ახალ დარბაზში

შედგება

ამიერ-კავკასიის და საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებათა სარევიზიო კომისიების გაერთიანებული

პლენუმი

თავდაცვა-ავიაქიმის თბილისის ორგანიზაციის სარევიზიო კომისიის წევრებთან ერთად

დღის წესრიგი:

1. ამიერ-კავკასიის და საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებათა სარევიზიო კომისიების მუშაობის შესახებ—ამხ. **ლეჟავას** მოხსენება.
2. „26" კომისარის სახელობის რაიონის საბჭოს სარევიზიო კომისიის მუშაობის შესახებ—მომხს. ა. ხ. **ჩოდრიშვილი.**

ტრამვაელთა უჯრედის სარევიზიო კომისიის მუშაობის შესახებ—ამხ. **კემულარიას** მოხსენება.

4. საბჭოთა კავშირის თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალურ საბჭოს პრეზიდიუმის მიერ გამოყოფილი გამომკვლევი კომისიის მუშაობის შესახებ,—ცენტრალურ სარევიზიო კომისიის წევრის ამხ. **კოსტიუკოვის** მოხსენება.
5. მიმდინარე საქმეები.

სავალდებულოა სარევიზიო კომისიების ყველა წევრთა გამოცხადება.

ა.-კ. და საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებათა სარევიზიო კომისია. 6172

ქ. ქუთაისის მე-2 უბნის სასამართლოს აღმასრულებელი დ. აშორდია

ამით აცხადებს, რომ ის 9 იანვარს 1929 წ. დღის 12 საათზე სოფ. ქუტირში ქუთაისის მაზრა **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ივანე ფაქტაიას-ძე მიქაბაძის ერთ უშობელ ძროხას, პატარა ხბოს, ორ ჩაფიან ტიკს და 3 ცალი სულის სკამს შეფასებულს 81 მანეთად, აგრაფინა ნასარიძეს ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. ქუთაისის სანოტარო კანტორის 30 ნოემბრის 1928 წ. თარიღით, № 2155 გაცემულ თამასუქისა. ნ. 2048

დაკარგა. რკინის გზის სამგზავრო ბილეთი № 81, საქართველოს ცაკ-იდან გაცემული ერგო ანდრიას ძე ცოვრებაშვილის სახელზე. ჩ. გ. 6119

დაკარგა ქუთაისის სამხედრო კომისარიატის „მებრძოლი"-ს საწევრო წიგნაკი № 4870 სილოვან პორფილეს ძე ჯაჯიძეს სახელზე. ჩ. გ. ნ. 2048

ი. პ. მჭედლიშვილი

შინაგან ავადმყოფობა ა. სპეციალურად კუჭის და ნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს. სანაპირო ქუჩა (ყოფილი ნაბერეჟნაია) № 7—ვერის ხიდთან. ტელეფონი № 15—02 ნ.

ექ. დ. ლ. თევზაძე

ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებანი და მოშლილობანი ხმისა და მეტყველებისა.

პლეხანოვის ქ. № 4 (ყ. გუდოვიჩისა) მიღება: დილით 12—1 ნახ. საათამდე—საღამოს 7—8 ს. გარდა კვირა დღეებისა. 25—1

ქ. ქუთაისი

ექიმი

თ. ვ. აკოფაშვილი

შინაგან სნეულება—სპეციალ ფილტვების ავადმყოფობა.

ბროსეს ქ. № 7 (მესამე საბჭოთა აფთიაქის გვერდით.

ნ. 25—8

ექიმი

პ. ი. ჯალალოვი

(კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი. შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა

მამაკაცთა მიღება: დილით—8—9 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 14 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—40. ნ. 25—19.

დაკარგა: ს. ა. ლ. კ. კ. მანდატი № 67242 და ა. კ. პ. (ბ) საკანდიდატო მანდატი № 6/16 არსენა ქანტარიას სახელზე ჩ. გ. 6127

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

პლეხანოვის პროსპ. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12, საღ. 7—8 საათამდე ტელეფ. —12-67 ნ. 21—1

სამალარიო და პარაზიტულ სნეულებათა

დისპანსერი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე (გარდა უქმეებისა) ნაშუადღევის 5—9 საათამდე. (წინასწარი ჩაწერა 4—7 საათ.) კეცხოველის (ყოფ. ლორის-მელიქოვის ქუჩა) № 9. ტელეფონი № 24—35. 6067 6—4

დაკარგა. მუშკოოპის წიგნაკი ბარბალე დოლიძეს სახელზე. ჩ. გ.

დაკარგა. მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 1106 პეტრე ნესტორის-ძე ნადირაშვილის სახელზე. ჩ. გ. 6125

დაკარგა სამხედრო სააღრიცხვო წიგნაკი № 850 ნესტორ იაგორის ძე კორკოტაძის სახელზე. ჩ. გ. 6120

დაკარგა. სამსახურის წიგნაკი № 765 თოდორე გონგლიაშვილის სახელზე. ჩ. გ. 6120

დაკარგა საქ. კომუნალური ბანკის ქვითარი № 492 ერთი 50 მან. აქციის მიღებაზე პავლე ქავთიას სახელზე. ჩ. გ. 6127

დაკარგა: ცხენის სააღრიცხვო წიგნაკი № 619 ფორმა № 2 ელისბარ ველუას სახელზე. ჩ. გ. 6127

დაკარგა ტაბელი 600 მანეთის ქვითარი 81 მან., ხელწერილი სპირიდონ მიქავას ხელმოწერილი ჩოლო ჩიქვანის სახელზე. ჩ. გ. 6127

დაკარგა. კავშირის წიგნაკი და ბავშვების მეტრიკული ამონაწერი: 1) შოთას, 2) ირაკლის ალექსის მათიკაშვილის სახელზე. ჩ. გ. 6126

დაკარგა. პირადობის მოწმობა იზმაილ გიორგის ძე აბაშიძის სახელზე, ჩ. გ. 6129

პოლიგრაფტრესტის მე-6 სტამბა, კამოს ქუჩა № 68.

მთავლიტი № [illegible]